1990

ISSN 0132 - 6007



# ნაკადული

3
1990



„თორელთა კავშირის“ წევრები მსჯელობენ ეკოლოგიურ პრობლემებზე.

ახალი გზების ძიებაში

# თორელები

**თემურ ცაგარელი**
ფოტო ავტორისა

აგერ უკვე მეხუთე წელია, რაც გარდაქმნის სიო ქრის ქვეყანაში. მისმა ცხოველმყოფელმა ძალამ პიონერიაშიც შეაღწია. ნორჩებმა მოინდომეს თავიანთი ორგანიზაციის გარდაქმნა, ხმა აღიმაღლეს და თავიანთი გულისტკივილი საქვეყნოდ გამოთქვეს. მათ აღარ მოსწონთ, აღარ აკმაყოფილებთ დოგმატური, ყველა ეროვნებისა თუ რეგიონის თავისებურებათა გაუთვალისწინებლად ერთიანი, „ზემოდან“ ნაკარნახევ-ნაბრძანები მზამზარეული რეცეპტებითა და წესებით ცხოვრება. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ნორჩები გონივრულად მოქმედებენ და ყველაფერი ძველი ხელის ერთი მოსმით როდი უარყვეს. ის, რაც კარგია, სიკეთის მომტანია, შეინარჩუნეს და კიდევ უფრო განავრცეს. ამის შესახებ ცოტა ქვემოთ გიამბობთ.

საქვეყნოდ ცნობილია, რომ ყველას, უწინარეს ყოვლისა, თავისი სატკივარი აწუხებს და აღელვებს. ამ მხრივ არც საქართველოს უმშვენიერესი კუთხე, ბორჯომის ხეობაა გამონაკლისი. რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობა აქტიურად ჩაება გარდაქმნისათვის ბრძოლის კეთილშობილურ საქმეში, საინტერესო საქმიანობაა გაჩაღებული საქართველოს ალკკ ბორჯომის რაიკომთან არსებულ ახალგაზრდულ გაერთიანება „თორელთა ეკოლოგიურ კავშირში“. რამდენიმე თვის წინ შექმნილმა ამ კავშირმა შეიმუშავა თავისი წესდება, სამოქმედო გეგმა. კავშირი ნებაყოფლობითია და მასში შესვლა შეუძლია ბორჯომის რაიონის ყველა სკოლის მოსწავლეს განურჩევლად ეროვნებისა. „იმას არ ეთქმის ადამიანი, ვინც აღიარებს მარტო თავის ერს და სხვა ერის შვილს ისე შეჰყურებს, შესაჭმელივით როგორც მგელი — მგელს“ — დიდი პოეტის ეს შეგონება წითელი ზოლივით გასდევს მათ საქმიანობას, თერთმეტ-ჩვიდმეტი წლის გოგო-ბიჭები ხალისით ერთიანდებიან „თორელთა კავშირში“ და აქტიურად იბრძვიან ისეთი საჭირბოროტო ამოცანების განხორციელებისათვის, როგორიცაა ქალაქის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება, მცირე მდინარეების — ბორჯომულას, ნეძვურას, ყვიბისურას, ბანისხევისწყლისა და სხვათა სისუფთავის დაცვა, ისტორიული ძეგლების მოვლა-პატრონობა, ბუნების დაცვა ეკოლოგიური დარღვევებისაგან, ფაუნისა და ფლორის ბრაკონიერებთან ბრძოლა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კავშირი შედგება როგორც ნამდვილი, ისე საპატიო წევრებისაგან. საპატიო წევრებსა და უფროს მრჩევლებს კავშირი ერთობლივი გადაწყვეტილებით ირჩევს. საპატიო წევრებად და მრჩევლებად თორელებმა ერთხმად აირჩიეს ბორჯომის რაიონის კულტურის განყოფილების გამგე, ამავე განყოფილებასთან არსებული საქართველოს „რუსთაველის საზოგადოების“ ბორჯომის განყოფილების თავმჯდომარე მამია შარიქაძე, ბორჯომის მარიონეტების თეატრის დირექტორი გურამ მელიქიძე, ბორჯომის საექსკურსიო-სამოგზაურო ბიუროს ექსკურსიამძღოლი ალეკო თედიაშვილი და კომკავშირის რაიკომის მეორე მდივანი ქეთევან ნოზაძე.

კავშირის უმაღლესი ორგანოა სათათბირო, რომლის გადაწყვეტილება კანონია ყველა წევრისათვის. სამწუხაროდ, აქვე უნდა ითქვას, რომ თორელებს ჯერჯერობით საკუთარი სამუშაო ოთახი არ გააჩნიათ და ამიტომ კრებებსა და თათბირებს ხან პირველი სკოლის პიონერთა ოთახში იწვევენ, ხანაც — რაიკომის მდივნის კაბინეტში. ეს გულისტკივილით გვითხრა „თორელთა ეკოლოგიური კავშირის“ თავმჯდომარემ, პირველი სკოლის XI კლასის მოსწავლე თამარ მახარაშვილმა, და თან დასძინა, რომ იმედს არ კარგავენ და კომკავშირის რაიკომისა და უფროსი მრჩევლების დახმარებით ეს საკითხიც გადაწყდება.

მრავალმხრივია თორელთა საქმიანობა. გოგო-ბიჭები დიდ ყურადღებას უთმობენ ზნეობრივი აღზრდის საკითხებს, სიკეთე, გულმოწყალება და, საერთოდ, ყოველივე კეთილშობილური, ადამიანური თვისებები მათ ყოველდღიურ საქმიანობაში ვლინდება. ასე, მაგალითად, თორელებს აღრიცხვაზე ჰყავთ აყვანილი ბორჯომში მცხოვრები ოცდაათამდე მარტოხელა და

ხანდაზმული პენსიონერი, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ. გულმოწყალე ახალგაზრდობა სწავლობს მათ საცხოვრებელ პირობებს: ვის ექიმი სჭირდება, ვის — წამალი, ვის პურის მიტანა, ვის კიდევ — სახლში რაიმეს შეკეთება — კარის საკეტი იქნება ეს თუ ელექტროხელსაწყო. თორელები, ცხადია, შესაძლებლობის პირობებში, არაფერზე უკან არ იხევენ და უმწეოებს საოჯახო საქმეებში ეხმარებიან.

ყველაფერი ეს ის „ძველებურია", ზემოთ რომ ვახსენეთ.

თემურელთა ეს კეთილშობილური საქმიანობა თორელებმა არა თუ დაივიწყეს, გაითავისეს და განავრცეს კიდეც.

ისე, როგორც მთელ ქვეყანაში, ბორჯომშიც არის აღმართული შინმოუსვლელთა მემორიალი, რომლის წინ ყოველთვის ჩერდება გამვლელი და წუთიერი დუმილით პატივს მიაგებს დიდ სამამულო ომში დაღუპულ გმირთა სახელებს. და აი, ეს წმინდა ადგილი ვიღაც გარეწარმა და უგვანომ შეურაცხჰყო, აბუჩად აიგდო, უშვერი, ბილწი სიტყვები მიაჯღაბნა. ცხადია, თორელებს ამან გული ატკინა და თავიანთი თავმჯდომარის, თამარ მახარაშვილის ავტორობით რაიონულ გაზეთ „ბორჯომში" წერილით ამხილეს და დაგმეს ის არაკაცი.

უეჭველია, ყველა, ვინც კი ეს მამხილებელი წერილი წაიკითხა, უთუოდ დაგმობდა ბოროტებას და, ამდენად, კიდევ ერთი ზნეობრივი აღზრდის გაკვეთილი მიიღო თორელებისაგან.

როგორც უკვე ვთქვით, „თორელთა ეკოლოგიური კავშირი" დიდ ყურადღებას უთმობს ისტორიული ძეგლების მოვლა-პატრონობას. ცხადია, ბორჯომის ხეობაში არსებულ ყველა ისტორიულ ძეგლს ისინი ვერ გასწვდებიან, მაგრამ სადაც შეუძლიათ თავიანთი სიტყვა თქვან, იქ უკან არ იხევენ.

ბორჯომში, მტკვრის ორივე მხარეს, ამაყად დგანან ძველი სათვალთვალო ციხე-კოშკები. ერთს, მტკვრის მარცხენა მხარეს რომ დგას, „გოგიას ციხეს" უწოდებს ხალხი. მეორეს, მტკვრის მარჯვენა მხარეს რომ აღმართულა, „პეტრეს ციხეს" სახელით იცნობენ. ამ ციხე-კოშკებს ხეობაში მდგომი კაცი ერთდროულად ვერ დაინახავს. ეს გასაგებიცაა: ადრეული ხანის სამხედრო სტრატეგიის თანახმად, ასეთი ნაგებობანი ისეთ ადგილებში შენდებოდა, საიდანაც ერთმანეთის დანახვა შეეძლოთ. მტრის შემოსევისას სათავო კოშკებზე ცეცხლს ანთებდნენ ხოლმე, ავარდნილ ალსა და კვამლს ყველაზე უწინ მეზობელ კოშკში შენიშნავდნენ და ახლა, თავის მხრით, ისინი აბრიალებდნენ ცეცხლს, რომლის ალსა და კვამლს მომდევნო კოშკში დაინახავდნენ. ასე, თანდათან ატყობინებდნენ ხალხსა და მთავარ ციხე-სიმაგრეს მტრის შემოსევის ამბავს.

ასეთი კოშკები თავისებური კავშირგაბმულობის როლს ასრულებდნენ.

როცა თორელებმა ეს შეიტყვეს, კიდევ უფრო დაინტერესდნენ ქართველი ხალხის წარსულით, მისი ისტორიით და კიდევ უფრო მეტი მზრუნველობით მოეკიდნენ გოგიას და პეტრეს ციხეების მოვლა-პატრონობას.

იმ დღეს, როცა გოგიას ციხესა და მის შემოგარენს თორელები ეწვივნენ ქვა-ღორღისა და ეკალ-ბარდისაგან გასაწმენდად, პატარა გიორგი სახვაძეც იქვე ტრიალებდა. უფროსებმა დაუტატანეს — ემანდ რამე არ იტკინო, სახლში წადიო. გიორგიმ ითაკილა, — სადღა უნდა წავიდე, ჩემი სახლიც აქვეაო, და თითით იქვე მდგარ კოხტა სახლზე უჩვენა. უფროსებმა მაინც არ გაიკარეს ახლოს. გულნატკენი გიორგი ძეგლის ჩამონაშალ ქვებზე ჩამოჯდა — სულ ხომ აქ არ იქნებიანო, — გული გაიკეთა. მართლაც, როცა უფროსი გოგო-ბიჭები იქაურობას გაეცალნენ, ახლა გიორგიმ შემოურბინა ციხე-კოშკს და რაც უფროსებს დაუსუფთავებელი დარჩათ, იმას შეეჭიდა. კარგად რომ დაიღალა და ხელებიც საკმაოდ დაიკაწრა — თხა-თხაზე ნაკლებიო... — ნიშნისმოგებით თქვა და შინისაკენ გაეშურა.

ეს ამბავი სკოლაში სწრაფად გახმიანდა და, რაღა უნდა ექნათ, პატარა გიორგი სახვაძეც თორელთა კავშირის წევრი გახდა.



✻ თორელები მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხშირი სტუმრები არიან

თბილისში 9 აპრილს დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ საქართველოში მრავალი მემორიალი აღიმართა, მრავალ ქუჩას შეეცვალა სახელი და „9 აპრილის" ქუჩა ეწოდა. ერთ-ერთი ასეთი მემორიალი და ქუჩა ქალაქის მესვეურთა გადაწყვეტილებით და მხარდაჭერით მოსახლეობისა და „თორელთა" თხოვნით ბორჯომ-პარკშიც გაჩნდა.

„თორელთა ეკოლოგიური კავში-

დასასრული იხილეთ მე-10 გვ.

ყოველთვიური საყმაწვილო ჟურნალი
ნაკადული
გამოდის 1926 წლიდან
№3 მარტი 1990

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთ...



გ უ ჩ ა  კ ვ ა რ ა ც ხ ე ლ ი ა

# საკუთარ თავსაც მოვთხოვოთ

ამჯერად ჩვენი თანამოსაუბრე გახლავთ ქალბატონი გუჩა კვარაცხელია — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის გამგე, საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატი, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების განათლების კომისიის თავმჯდომარე და... ხუთი შვილის დედა.

**— ქალბატონო გუჩა, თქვენი მრავალმხრივი საქმიანობიდან და ინტერესებიდან გამომდინარე, ჩვენ ალბათ ბევრი საკითხის გარშემო შეგვეძლო გვესაუბრა, მაგრამ, დაგვეთანხმებით, ახლა უფრო მართებული იქნება, თუ ძირითადად იმაზე ვიმსჯელებთ, რაც დაეხმარება ჩვენს მოზარდებს, ახალგაზრდებს, ისეთ მამულიშვილებად, მოქალაქეებად ჩამოყალიბდნენ, დამოუკიდებელ საქართველოს რომ სჭირდება და ეკადრება.**

— გეთანხმებით, დანარჩენზე სხვა დროს ვისაუბროთ.

**— საქართველოში აღორძინებულ-გაღონიერებულ ეროვნულ მოძრაობაში ახალგაზრდობის როლის შეფასებაში ჩვენ ალბათ, ყველანი ერთსულოვანნი ვართ — ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა უთუოდ დაატყვეს ამ მოძრაობას თავიანთი უშურველი ძალისხმევა და ჭეშმარიტად მოიპოვეს უფლება, იმათ გვერდით იდგნენ, ვინც სანუკვარი მიზნისკენ წარუძღვება საქართველოს. დღეს-ხვალ მათ ამჟამინდელი მოზარდი თაობა უნდა ამოუდგეს მხარში და უაღრესად დიდი მნიშვნელობა ექნება იმას, თუ რამდენად ღირსეული აღმოჩნდება სწორედ ეს თაობა, ხვალინდელი საქართველო რომ უნდა ჩაიბაროს საპატრონოდ. კი, ჩვენ ჭეშმარიტად ბევრი გვყავს ნიჭიერი, განსწავლული, შრომისმოყვარე, მიზანსწრაფული, ზნემაღალი, მოაზროვნე ყმაწვილი, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ დამოუკიდებელი საქართველოსთვის ეს ბევრი მაინც ცოტა იქნება და ამთავითვე თუ არ ვიზრუნეთ, შეიძლებ- ის დრო კარგა დაგვიშორდეს, ასე რომ გვწადია საქართველოსთვის... მოდით, ამ აზრით ვიხელმძღვანელოთ და უფრო ნაკლოვან მხარეებზე გავამახვილოთ ყურადღება.**

**ალბათ თქვენ, როგორც პედაგოგი, ლექტორი, ახალგაზრდებთან უშუალო ურთიერთობაში კარგად ამჩნევთ მის ავსაც და კარგსაც...**

— დიახ, და მის შემხედვარეს ბევრი რამ მახარებს, მაგრამ, გამოგიტყდებით, ასევე ბევრი მაფიქრებს.

ყველაზე მეტად ის მაწუხებს, რომ უმაღლეს სასწავლებელში (ბუნებრივია, მე, კერძოდ, ჩვენი პედაგოგიური ინსტიტუტი მაქვს მხედველობაში) შემომსვლელი ახალგაზრდობის დიდ ნაწილს აღარა აქვს ისეთი საფუძვლიანი ცოდნა, როგორიც ჰქონდათ, თუნდაც, 50-იანი, 60-იანი წლების სკოლადამთავრებულებს. ზოგჯერ ახალგაზრდამ ისეთი ელემენტარული რამ არ იცის, რომ, უბრალოდ, გაოცებული ვრჩები, არ იცის ქართული ლიტერატურა, სხვა რომ აღარაფერი ვთქვათ. არა მგონია, ეპატიებოდეს ეს იმ ახალგაზრდას, რომლისთვისაც, რომ ჰკითხო, ყველაფერი ქართული სათაყვანოა...

**— ამ ბოლო დროს მოსწავლე ახალგაზრდობაში ასეთი განწყობილებაც შეინიშნება — რა დროს სწავლაა, საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ვიბრძვითო!**

— დიახ, დიახ, სამწუხაროდ, ასეა... არადა, სწორედ დამოუკიდებელ საქართველოზე ფიქრი და ოცნება უნდა უკარნახებდეს თითოეულს, მუყაითად შრომობდეს, სწავლობდეს, ცოდნას იძენდეს. თუ გუშინ შეიძლებოდა, მოსწავლეს ტყუილად ევლო სკოლაში, არ ესწავლა, უცოდინარს დაემთავრებინა სკოლა, შესულიყო უმაღლესში, და ისიც ასევე უშრომელად, უსწავლელად დაემთავრებინა, მერე კი უცოდინარი გასუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიყო ფონს. ხვალ ასე აღარ იქნება. უბრალოდ. დავფიქრდეთ: დამოუკიდებელი საქართველო ხომ ფართო საერთაშორისო ასპარეზზე უნდა ვავიდეს. უნდა შეუდგეს ეკონომიკურ თუ კულტურულ ურთიერთობათა დამყარებას, ვინ მოინდომებს საქმის უცოდინარ, ნაკლებგანსწავლულ, უხეირო სპეციალისტებთან ურთიერთობას? ცივილიზებული ევროპა?!. ჩვენ უნდა ვამართლებდეთ უძველეს ქართულ კულტურას, ცივილიზაციას, განსწავლულობას, ვიქცევით კი პირიქით.. რამდენს კარგავს ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა, სწავლას რომ სცდება! დღევანდელი დანაკარგის ანაზღაურება მომავალში უაღრესად ძნელი იქნება.

ძალზე გულს მტკენს ისიც, რომ მოზარდებს, ახალგაზრდებს პასუხისმგებლობის გრძნობის, საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობის ნაკლებობას ვამჩნევ. აკრიტიკებენ. — სამართლიანადაც და უსამართლოდაც. — ყველას, გარდა საკუთარი თავისა; საკუთარი ნაკლის დაუნახაობა კი კარგს არაფერს უქადის ადამიანს.

თვალში საცემი გახდა ჩვენში და, კერძოდ, ახალგაზრდობაში, ინტელიგენტობის დეფიციტი. ეს უბრალო ქცევაშიც მჟღავნდება. მაფიქრებს ის ამბავი, რომ ჩვენს ჭაბუკებსა და ქალიშვილებს ველარ ვამჩნევ მოკრძალებულობას, მორიდებულობას, ერთგვარად დაიკარგა პატივისცემა, მოწიწება ქალის მიმართ, უფროსების მიმართ... შეიძლება ყოველივე ამას თავისი მიზეზებიც ჰქონდეს და ახსნაც, მაგრამ რაკი ჩვენი ერი, ჩვენი საზოგადოება სულიერი და ზნეობრივი განწმენდა-სრულყოფისკენ ისწრაფვის, ამასაც უსათუოდ უნდა მივაქციოთ ყურადღება.

**— გამოღვიძებულმა ქართველობამ ისიც შეახსენა საკუთარ თავს, რომ მამულის მოვლა ყველა ჩვენგანის ვალია და...**

— დიახ, და ეს დიდი ბედნიერებაა... მაგრამ მამულის მოვლა ძნელი საქმეა და ყმაწვილებმა, ახალგაზრდებმა უნდა ირწმუნონ, რომ მამულიშვილური ვალის აღსრულებას ვერ შეძლებენ, თუ არ ისწავლეს, არ გაისარჯნენ, არ იშრომეს.

ახალგაზრდობა ისწრაფვის, ყველაფერში მიიღოს მონაწილეობა. მაგრამ ზოგჯერ სწორედ იქ იხევს უკან, სადაც ყველაზე მეტად არის საჭირო მისი ძალისხმევა. ნამდვილად გასაკეთებელს არცთუ ისე ბევრი ჰკიდებს ხელს...

**— სახელდობრ, რა გაქვთ მხედველობაში?**

— თუნდაც ის მოძრაობა ავიღოთ, დემოგრაფიული თვალსაზრისით მწვავე რეგიონებში ქართველობის დასახლება-საქმიანობას რომ ითვალისწინებს. ვფიქრობ, ყველასთვის გასაგები უნდა იყოს ის, რომ იმ სპეციალისტთა რიცხვში, ვინც პირველი უნდა მიდიოდეს ქვემო ქართლში, მესხეთ-ჯავახეთსა თუ სხვა ადგილებში, ახალგაზრდა პედაგოგები უნდა იყვნენ, მაგრამ ბევრი უწინდებურად თბილ ადგილს ეძებს, ბევრს პირადული სძლევს, არ უნდა მსხვერპლის გაღება, რაღაცის დათმობა, რაღაცაზე უარის თქმა... საქმე საქმეზე რომ მიდგება, ზოგიერთი ახალგაზრდა პედაგოგი ივიწყებს მამულიშვილურ, მოქალაქეობრივ ვალს და თითო-ოროლაღა თუ მიდის დასახელებულ რაიონებში სამასწავლებლოდ.

ყველაფერი ბევრად უფრო რთულია, ვიდრე ჩვენ გვგონია. მიზნის მისაღწევად გაცილებით მეტი შრომა და მოთმინებაა საჭირო.

რამდენი რამ უნდა შეიცვალოს, გარდაიქმნას, შეიქმნას...

**— დიახ, და ეს შეცვლა, გარდაქმნა, შექმნა უთუოდ ჩვენს ახალგაზრდულ საბავშვო ორგანიზაციებსაც ეხება — რაღა თქმა უნდა, ასეთი სახით პიონერული ორგანიზაცია, კომკავშირი არავის უნდა...**

— უნდა მოგახსენოთ, რომ მე, საერთოდ, წინააღმდეგი ვარ ყმაწვილის ფსიქიკაზე ყოველგვარი პოლიტიზებული ზემოქმედებისა. ასეთ შემთხვევაში ჩვენ ბავშვს, მოზარდს არჩევანის საშუალებას ვართმევთ. მიმაჩნია, რომ ისინი ჯერ ეროვნულ იდეალებს, მსოფლიო იდეალებს უნდა ეზიარონ, იაზროვნონ და მერე თვითონ მიიღონ გადაწყვეტილება.

დარწმუნებული ვარ, იდეოლოგიზაცია, პოლიტიზაცია რომ არა, არც პიონერული თუ კომკავშირული ორგანიზაციები იქნებოდა ფორმალისტური და ყალბი. მომავალში ბავშვების, მოზარდებისა თუ ახალგაზრდების გაერთიანება უნდა ხდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ ნებაყოფლობით, სურვილით, გატაცებების, ინტერესების მიხედვით.

**— დღეს მთელ ჩვენს ხალხს — ერსაც და ბერსაც, დიდსაც და პატარასაც — გაცნობიერებული აქვს ის მიზანი, რომლისკენაც უნდა იაროს საქართველომ. დაწყებულის კეთილად დაგვირგვინებაც ხალხის ხელშია და თითოეულ ჩვენგანს თავისი საქმიანობით, სწავლით, შრომით, ფიქრით უნდა შეჰქონდეს თავისი წვლილი ამ დიად საქმეში. ალბათ ამის შეგნებით უნდა ხელმძღვანელობდეს ჩვენი ახალგაზრდობაც?**

— ილიას სახით ქართველობას ისეთი მოძღვარი ჰყავდა, რომ ჩვენ დღევანდელობას შინაგანად შემზადებულნი, ეროვნული თვითგამორკვევის სულისკვეთებით გამსჭვალულები შევხვდით, რამაც განსაზღვრა ჩვენი ეროვნული მოძრაობის თავისებურება, განსხვავებულობა. მე მწამს, რომ ილიას სიბრძნე კვლავაც გაგვინათებს გზას, ოღონდ უთუოდ უნდა ვიყოთ გონიერნი, განათლებულნი, შრომისმოყვარენი. მინდა, ახალგაზრდობამ არ დაივიწყოს ეს.

ესაუბრა **მ. ბელაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ელგუჯა მერაბიშვილი

მოთხრობა

მხატვარი ჯემალ ლოლუა

— თქვენი შიშითა ტყისკენ ვერ გამივლია სანადიროთა, რო გკითხოთ კაცმა, სულ ჩვენა ვართ რაცა ვართო, სასკოლო სატყეოო, მწვანე ხვლიკები თუ მწვანე გუშაგებიო, ნორჩი ნიადაგმცოდნეებიო და კიდევ ვინ მოსთვლის, რეებიო. აბა, ეხლა მითხარით, თუ მართლა ხართ, რასაცა ჩემულობთ, ან ეს ნაფოტები რისაა, ან ეს წყალი რად არის ალაფულ-დალაფული?

ცაგომ მე შემომხედა.

— მაგას ჩასვლა და გაგება უნდა, — მივუგე და ახლა მეორე ნაფოტი ამოვარიდე ფაცერს, — თელა უნდა იყოს, თანაც ახალი ნაჭრავია.

— ერიჰაა, ვერა ყოფილა საქმე კარგადა, — თქვა ტუხიამ, — თელები კლდისწისქვილს ზემოთ ხარობენ, იმის ქვევით არსად მინახავს. თუ წასვლაა, იქამდის უნდა იაროს კაცმა.

— ჩემი ველოსიპედით იქამდე ვერ ავაწევ, აღმართებში ხელით სათრევი გამიხდება, — დავიჩივლე.

— ცაგო წაგიყვანთ ჩემი ვილისით, ველოსიპედი აქ დამიტოვე, რომ მობრუნდებით, უკან შემოვიდებთ მანქანაზე და ისე ჩავალთ სოფელში.

თორნიკემ ეჭვის თვალით შეხედა ჯერ ტუხიას, ხომ არ გვექილიკებაო, მერე ცაგოსკენ მიიხედა, მაგრამ გოგო იქ აღარ დახვდა, უკვე არხის გასწვრივ გარბოდა.

— ბარემ დათა პაპასაც ნახავთ და ძველებური ჩარექიანით თუთის არაყსაც დაუტოვებთ, მანქანაში მიდევს, გარსაცმის ჯიბეში, — ტუხიამ, თითქოს საცეკვაოდ ემზადებაო, ისე დაკვანწა ვეება მკლავები და ერთი გემრიელად გაიზმორა. — სანამ დაბრუნდებით, ერთ პირს მაინც გამოვიძინებ, მაინც წყალმა იკლო და... — ფაცერს გვერდით ჩაუარა, მილებს გადააბიჯა და კაკლის ჩრდილს შეაფარა თავი.

ცაგომ ზედ ჩემ ფეხებთან დაამუხრუჭა მანქანა.

— მეც წამოვალ, რა, აქ რომ დავრჩე, ცემით მომკლავს ტოლე, — შემოგვეხვეწა წრიპა.

— ვერაფერსაც ვერ გიზამს, — კაბინიდან გადმოსძახა ცაგომ. — ეგ თქვენი ტოლეორანია თუ ვიღაც თხა, ცოტა ჭკუით იყოს.

ჯერ თორნიკე გავატარე, მერე წრიპა, სანამ მეც ჩავჯდებოდი, ტოლემ მოასწრო, მათრახი დამიქნია და გამომძახა:

— ლეგა ყვავო, სულ ხომ მაგ ქალაქელთან არ იქნები, ერთხელაც იქნება, დაგიმარტოვებ და ცხვირპირს ამოგინაყავ.

ცხვირის წვერზე გაჭიმული მტკაველი მივიდე და ნისკარტივით დავუქნიე.

ცაგო მარჯვედ ატრიალებდა საჭეს. როგორც ნავი აღელვებულ ზღვაში, მანქანა ისე ადი-ჩადიოდა ოღრო-ჩოღრო გზაზე.

— ისე გულდაჯერებით მოაგელვებ, თითქოს გუშინაც აქ გაგევლოს და სად რა ორმოა, ზეპირად გახსოვდეს, — უთხრა წრიპამ.

— რა იცი, რომ არ გავიარე. ტუხიას ნაქირავები მუშები ჰყავდა და იმათ გაათოხნინა ბაღი, სანამ რწყვას დაიწყებდა. ჩამოყვანით თვითონ ჩამოიყვანა მთის სოფლიდან, მაგრამ მერე დათვრა და მომიგდო გასაღები. გვერდით ერთი ულვაშა კაცი მეჯდა, აღმართები რომ ავათავეთ და გზა ქედ-ქედ გაიკლაკნა, იმის შემდეგ ის მითითებდა, საით წავსულიყავი. იმისთანა ციცაბო დაღმართებზე ჩავიარე, ხვლიკებიც კი მუხრუჭებს ხმარობენ, როცა ხევში ჩადიან წყლის დასალევად. ჯინსის შარვალი და პიჯაკი მეცვა, კეპიც თვალებამდე მქონდა ჩამოფხატული. მთიელებს ბიჭი ვეგონე, თორემ ამდენზე არ მენდობოდნენ... ახლა ხომ დაიმშვიდე გული?

გზაზე მერუე შემოგვეყარა. მოდიოდა და თან პროთეზს მოაჭრიალებდა. ქერა, თმაწვერ-გაჭაღარავებული კაცი იყო და მზით გატრუსულს ჰგავდა.

— სათავიდანვე მოსწყდა წყალი და აბა მე სად ვიარო ამ ცალფეხა კაცმა, — გვითხრა, როცა მანქანა გავაჩერეთ და ამბავი ვკითხეთ.

მანქანა უკვე გრძელ აღმართს შეეკიდა და ძრავის საამო ძიგძიგი დაძაბულ გუგუნში გადაიზარდა. სანამ ქედის თხემზე არ ავედით, ხმა არ ამოგვიღია. გზის ორივე მხარეს ურწყავ ფერდობებზე ხელოვნური დაწვიმებით აღაღანებულ ყანებს მწიფობის ფერი შეპარვოდა, ყაყაჩოებსაც დაეყვავილებინათ, ღიღილოებსაც. ყანის ნაპირებზე მხოლოდ გვირილები ანათებდნენ თავიანთ თეთრწამწამება ყვითელ თვალებს, ალანძულ ბალახებს ფიფქივით აცვიოდა დაყვავილებული თავთავების მტვერი.

— ვინ ეძებდა გვირილას? აი, თურმე სად ყოფილა, — ცაგომ ზაზას გახედა და ლექსი წამოიწყო:

მე კვლავაც მინდა, ბედთან ვიდავო,
სივრცეს გავსდიო — ვიქცე ყვირილად,
ველი ყვავილის ფიფქით გუნდაობს.

---

გაგრძელება. იხ. „პიონერი“ № 9.

ის კი არსად ჩანს —
თეთრი გვირილა.

— გვირილა აქ არის, მძებნელი კი აღარ ჩანს, რა დაემართა? — ვიკითხე უმისამართოდ, მაგრამ მაინც ცაგოსაგან ველოდი პასუხს, რაკი ვიცოდი, მისი იყო ლექსი.

თორნიკემ მიპასუხა:

— ჩვენ ყველანი მძებნელები ვართ და ჯერ არ ვიცით, სად და რა სახით გამოგვეცხადება სიცოცხლის ყველაზე დიდი სიხარული, არც სახელი ვიცით მისი და არც გარეგნობით ვიცნობთ, ამიტომ ხან გვირილას დავარქმევთ მას, ხან იას და ხან ენძელას.

— დიდებული პასუხია, მე მეტს ვეღარაფერს დავამატებ, — ცაგო სამუხრუჭე პედალს დააწვა და ზურგით მიეყრდნო სავარძელს, ხელებზე დამეფინა მისი ფერფლისფერი თმის ფაფუკი კულულები და გულში საამოდ შემომიღიტინა. შემატყო ალბათ, სარკიდან გამეჭყანა და ენაც გამომიყო.

ხელები მაშინვე ავიღე სავარძლის საზურგედან, თორნიკეს მივუბრუნდი:

— ხედავ, პირდაპირ რომ მოჩანს ხეობის სიღრმეში. ეგ რაზმითის მთაა, ცოტა აქეთ დრისის ხევი ჩამოუდის...

— ეგ ის ადგილია, რომელზედაც ვახუშტი წერს, — შემაწყვეტინა ცაგომ და მოსარკულ ცას გახედა, თითქოს კითხულობსო, ისევ წამოიწყო: — „ამას ზევით მოერთვის ტანას ხევი დრისა, გამომდინარე რაზმითის მთისა; და არს მთა კალთა ტყიანი, თხემთა უტყეო. აქა არს საფლავი ჯაფირისა, რომლისა სიგრძე ხუთი ადლი, და სცოცხლობდა ჟამსა როსტომ მეფისასა“.

— ეტყობა, ტანით კი იყო ახოვანი, მაგრამ თავი ვერაფრით გამოიჩინა, იმიტომაც მეტს არაფერს წერს მასზე ვახუშტი, — თქვა წრიპამ და აფშეკილი ძურწა თმა დაიტკეპნა კინკრიხოზე.

— შენ, გურამ, ისე ხარ დაბრმავებული ტოლეს ვაჟკაცობით, რომ სხვები აღარ გეპიტნავება, — შესცინა ცაგომ. — ადამიანი იმიტომ ხარ, რომ უნდა ეძიო, თეთრი შავისაგან და სიმართლე ტყუილისაგან გაარჩიო...

— მაძიებელი ვარ, მაშ რა ვარ, მიჭირავს ნაფოტი და მარჩიელივით ჩავყურებ მის ყოველ ხაზს, მინდა ამოვიცნო, რა ხეა, თქვენ რომ თქვით, სულაც არ არის თელა, უზანია.

მაშინვე გადავწვდი და ნაფოტი წავტაცე, იქვე შევადარე თელას ნაფოტს, ხელში რომ მეჭირა.

— მართლა გქონია მეტყევის ნიჭი, უზანია, — შევცინე წრიპას, დაძაბულად რომ მიმზერდა და პასუხს ელოდა.

— ჰოდა, თუ ასეთი მაძიებელი ხარ, თადა პაპასათვის ერთხელ მაინც უნდა მოგესმინა და მაშინ გაიგებდი, თუ ვინ იყო ჯაფირი და რას მოახმარა თავისი გოლიათური ღონე.

— ვიცი, — არ დაუთმო წრიპამ. — ეგ შენი თადა პაპა, რაკი თვითონ გვარად ხატისკაცია, იმ ჯაფირსაც თავის წინაპრად ასაღებს, ყველას აჯერებს, ხატის კაცი იყოო, ისტორიაში კი სულაც არ წერია ეგ ამბები.

— ისტორიაში, შე სულელო, სხვაც ბევრი რამე არ არის შესული და მხოლოდ თქმულებებშია გაბნეული. მერე კიდევ, თადა პაპა სულაც არ თვლის ჯაფირს თავის



წინაპრად. აი, ხატის ბუსნო რომ გამოჩნდება, მაშინ მოგიყვებით და ნახავთ, რა ლამაზი თქმულება ძემოუნახავს ხალხის მეხსიერებას, გურამისნაირი ურწმუნო თომები კი თავს აქეთ-იქით აქნევენ, არ გვჯერაო.

— ხატის ბუსნო რაღაა? — იკითხა თორნიკემ. მას უკვე მუხლებზე ედო საველე ჩანთიდან ამოღებული თავისი ბლოკნოტი.

— მთიელები ასე ეძახიან ხატის მიწებს, სადაც რელიგიური დღესასწაულებისათვის საჭირო მოსავალი მოჰყავდათ; ამ მიწების ერთი ნაწილი უშუალოდ ხატის საკუთრება იყო და უნჯი მიწები ერქვა. აქ უმეტესად ქერსა და ხორბალს თესავდნენ, ლუდსა და არაყს ხდიდნენ. ვინც აქაურობას ეპატრონებოდა და მოსავლის მესამედს ხატს სწირავდა, შულტა ერქვა, ზოგან დასტურსაც ეძახდნენ. ახლა, სადაცაა, გამოჩნდება მდინარისპირა ტყიანი ბორცვი და დანარჩენს მერე გეტყვი, — ცაგომ დაბალ სიჩქარეზე გადაიყვანა ძრავა და ციცაბო დაღმართზე ნელა დაეშვით.

თვალებადქცეულ თორნიკეს სახატავი რბილი ფანქარი სალამურივით მიედო სქელ ტუჩზე და სივრცეს გაჰყურებდა ისე ხარბად, თითქოს უნდოდა ყველაფერი შეესრუტა, რასაც ხედავდა.

— აი, ეგ ბორცვია, შვეულ კლდედ რომ მოსდგომია მდინარეს და ზედ ძაფივით ჰკიდია თეთრი ჩანჩქერი. მის ტყიან თხემს პაწია ხევი დაუდევს, მაგ წყაროს წყლით და ზედ მიმატებული ნიაღვრებით ჩამოკაწრული, — ვეუბნებოდი მხატვარს, რაკი ვატყობდი, რომ ცაგოს საამისოდ არ ეცალა.

— სხვა ფერდობებთან შედარებით მანდ უფრო მაღალი ჩანს ტყე, — თავისთვის ჩაილაპარაკა თორნიკემ.

— იმიტომ, რომ მანდ ნაზარდი მუხები, თელები და იფნები წმინდა ხეებად ითვლებოდა ხალხში... მოსაჭრელად არავინ ეკარებოდა.

— მარტო ხეებს კი არა, — ჩაგვერია ცაგო, — მაგ ველიანებშიც კი, გვერდით რომ ეკვრის ბუსნოს, ბალახსაც არავინ თიბავდა. ეგ მოწიწება თითქმის აქამდე მოჰყვა ხალხს და ხომ უნდა ვიცოდეთ, ჩემო გურამ, საიდან მოგვდგამს ეს სიწმინდე, — კვლავ წრიპას გადაურტყა.

— ბრძანე, ქალბატონო, და გისმენ, მორჩილი ვარ, — წრიპამ მაღლა ასწია ხელები.

ვიდრე ცაგო თხრობას დაიწყებდა, ჩემში უკვე იღვიძებდა ერთხელ მოსმენილი ამბავი და მემატიანის სიდინჯით მთხრობელი დათა პაპას ხმა ჩამესმოდა.

●

მუხლმოუღლელ სინიბზე ამხედრებული როსტომ მეფე დილაუთენია შემოდიოდა წალეკულას ხეობაში, თან მხოლოდ მცირე ამალა ახლდა. ცხენკეთილი მხედრები ვიწრო ბილიკებით მიჰყვებოდნენ გამოცდილ მეგზურს, მოკლე გზით ჯავახეთში აპირებდნენ გადასვლას.

ნაშუაღამევს თაბორის კარით გამოვიდნენ თბილისის ციხიდან და ცხენხეთქებით იარეს ვიდრე აქნობამდე. მეფემ მხოლოდ ახლა შეანელა სვლა.

— ამ პატარა მდინარისათვის წალეკულა რად დაურქმევიათ? — იკითხა და ხეობას შეავლო თვალი.

— ეს იმად, მბრძანებელო, რომ როცა ჩამოწკნობილია, კულას ამოავსებ და აღარ რჩება წყალი, ოღონდ ნიაღვრებით თუ მხარს მოიცემს, მაშინ კი უნდა ერიდო, ყველაფერს წალეკავს ხოლმე, — მიუგო მხლებელთაგან უხუცესმა.

ავად ენიშნა მეფეს მისი ნათქვამი და შეფიქრიანებულმა შეხედა საავდროდ პირგამეხებულ ცას.

ათასი საფიქრალი ერთად აწვა მას განიერ მხრებზე, მაგრამ დღევანდელი საზრუნავი სულ სხვა იყო. ჭაბუკობიდანვე შორს გაიტაცა და ჩალაბულასავით სად არ გადააგდო შიდააშლილობის ქარმა. ბედმა ირანის შაჰის კარზე მოახვედრა. რა დამცირება აღარ იტანა ღალატითა და ცბიერებით სავსე მუსლიმთა ქვეყანაში, სანამ ხოსრო მირზად აღზევდებოდა. აღზევებაში კი დიდი მოურავი გიორგი სააკაძე წამოეხმარა, მან წააშველა ხელი. აკი დაუფასა კიდეც ხოსრო მირზამ გაწეული ამაგი თავის ქომაგს — როგორც კი შაჰმა ქართლის ტახტი უწყალობა, მაშინვე თავისთან უხმო გიორგი სააკაძის ვაჟს იორამს და მამისეული სამკვიდრო უწყალობა, რადგან თვითონ დიდი მოურავი აღარ იყო ცოცხალი. თურქეთში ღალატით მოკლულს ისიც კი აღარ არგუნა აწეწილმა ბედმა, რომ მშობლიური მიწისათვის მიებარებინათ მისი შფოთიანი სული და უმოწყალოდ დაჩეხილი ბრგე სხეული.

იორამთან და სხვა გამაჰმადიანებულ ქართველებთან ერთად დაბრუნდა მირზა ქართლში და, როსტომ მეფედ წოდებული, ქვეყნის მართვას შეუდგა. მალე მეუღლე გარდაეცვალა და მცირე გლოვის შემდეგ დიდებულები აღარ მოეშვნენ, სჯულ[illegible]ერი მეუღლე უნდა გიჯდესო დედოფლად ქართლის ტახტზე და საპატარძლოც დაუსახელეს — ლევან დადიანის დაი, სათნოებით, სილამაზითა და გონიერებით შემკული. ქართველ სეფექალებს ქრისტიანი დედოფალი ეწადათ პატრონად და ღვთისმოსაობით განთქმული დადიანის ასული მარიამ სწორედ რომ დაშვენდებოდა ქართლის სამეფო ტახტს.

ასე ბჭობდნენ დიდებულები და როსტომსაც ჭკუაში დაუჯდა მათი რჩევა. საქმე ის იყო, რომ კახთა ბატონი თეიმურაზი დიდად მტრობდა როსტომ მეფეს და ამ დროს დადიანთან დამოყვრება დიახაც ძალას შემატებდა ქართლის სამეფოს. ლევან დადიანს აცნობეს მეფის ნება და დასტურიც მიიღეს, მაგრამ გზა არ ჰქონდათ სამეგრელოს წასასვლელად, რამეთუ იმერეთის მეფე კახეთის მეფის თეიმურაზის მოყვარე იყო და დადიანის მტერი. მაშინ როსტომმა კაცი აფრინა ახალციხის ფაშასთან და სთხოვა გზაი. როსტომ მეფესავით რჯულგამოცვლილ ქართველს იუსუფ ფაშას გაუხარდა კიდეც, რაკი საშუალება ეძლეოდა თავის მუსლიმან მოძმეს დაახლოებოდა, და მოსცა დასტური.

ქართლის მეფეს უნდა გაევლო ფერსათი და მისულიყო კაკას ხიდთან, სადაც ლევან დადიანი შემოეგებებოდა და თან მოიყვანდა ქართლის მომავალ დედოფალს თავისი სეფექალებითა და მხევლებით.

თბილისი ელოდა მეფე-დედოფლის დაბრუნებას, სამეფო პალატებში უკვე დაწყებულიყო საქორწილო სამზადისი.

მზის ამოსვლამდე გავიდნენ წალეკულას ხეობიდან და ახლა შამბნარში დაქსაქსული ბილიკებით საქარავნო გზაზე გადიოდნენ, ეს გზა ახალციხისაკენ იყო გაწვერილი.

კაკას ხიდთან მისულ როსტომს იქ დახვდა ლევან დადიანი მცირე ლაშქრითა და ქალთა ამალით. სამგზავრო ტუნიკა ემოსა დადიანის ასულს იაფერი, ძვირფასად მოთვალული და ვერცხლით ხალასად ნაქარგი; მას მხარს უმშვენებდნენ ეგრისელი ასულნი და ყმანი.

თვალი ვეღარ მოსწყვიტა მეფემ სადედოფლოს. მცირე პურადღებას დასჯერდნენ ახალდამოყვრებულები და ერთმანეთს დაემშვიდობნენ. ლევან დადიანმა გზა დაულოცა დას — მოწიწებით ეამბორა აწ უკვე ქართლის დედოფალს.

როსტომი ჩქარობდა, რამეთუ ატყობდა, ღვარად ჩამოქცევას აპირებდა მოქუფრუხებული ცა.

იუსუფ ფაშაც აქ იყო, მანაც აღავლინა ლოცვა ხოსრო მირზას სახელზე და მშვიდობით მგზავრობა უსურვა მეფეს. ხოლო ახლდა იუსუფ ფაშას სტამბულით მოვლენილი სანიბა ფაშა თავის ასკერებით, რომელთაგან უმეტესი იყო აბრაგი. და რა იხილა სანიბა ფაშამ დადიანის ასულის სილამაზე და მზითვის სიმდიდრე, გულში შავი ზრახვა აუქოთქოთდა და მწარედ იკბინა ბეჭდიან თითზე. იუსუფ ფაშასგან მალულად დააპირა ავი ზრახვის ასრულება, ნადირობის სურვილი მოიმიზეზა და თავის აბრაგებთან ერთად ქართველი მეფის კვალს მისდია.

ღრუბლიანმა ცამ იოლად გადაიკრა ბინდი, ხეობები თქორით ჩამუქდა და მერე ერთბაშად მოსკდა დელგმა.

როსტომ მეფე ჩქარობდა, ლამობდა დროზე გაევლო წალეკულას ხეობა, რადგან შიში ჰქონდა, ვაითუ ღვარცოფმა მოგვიჭრასო გზა. დაუზოგავად მიაჭენებდნენ ცხენებს. დადიანის ასულს კოპწია ღილკილოებით ჰქონდა შეკრული საწვიმარი თეთრი ნაბადი და მეფის გვერდით მიათოხარიკებდა ჭარმაგა იაბოს.

მხლებლებმა პატრონს უკანიდან მარბიელი ლაშქრის მოახლოება ამცნეს, მხედართა რაოდენობაც მიახლოებით დაუსახელეს.

ახლომახლო არსად იყო ციხე, მხოლოდ ხატის ბუსნოსთან იდგა ერთადერთი კოშკი, იქამდე რომ მიეღწიათ, დიაცთ იქ შეაფარებდნენ და საბრძოლველად გაეხსნებოდათ ხელი. მდინარეზე გასასვლელი ფონიც იქ ეგულებოდათ.

ჯერ ისევ დღის სინათლით იხაზებოდა მთათა თხემები, როცა ხეობაში ჩაკიდულ დაღმართზე დაეშვნენ.

წვიმა დგანდგარებდა, მთელ ხეობას ავსებდა მისი ხმა. ანაზდად სათავიდან მუქარასავით მოსკდა სულ სხვა ხმაური და მერე თანდათან გამოიკვეთა ღრიალი, აგორებული ლოდების ხათქახუთქი.

მეფემ ტუჩზე იკბინა, მიხვდა, რომ ღვარცოფმა უკვე გზა მოუჭრა მის ამალას, უკანიდან კი სადაც იყო წამოეწეოდა მარბიელთა ლაშქარი.

მეფის ამალას არა ერთი და ორი თავზეხელაღებული მამაცი ერია, მაგრამ ისინიც იძულებული გახდნენ ცხენები შეეჩერებინათ და უმწეოდ მხრებჩამოყრილებს ეცქირათ, თუ როგორ მოჰქონდა არემარე აბობოქრებულ ნიაღვარს.

ორმა ჩაუქმა მოყმემ ქამანდები დაიხვია მკლავზე და იქითა ნაპირზე აყუდებული კლდის ქიმს სტყორცნა, ერთიმეორის მოყოლებით გაიშალა თოკის მარყუჟები კლდის თავზე და მჭიდროდ შეიკრა ქიმზე.

— რას სჩადიან? — დაინტერესდა მეფე.

— თოკებს დაჭიმავენ, ზედ ჯამბაზებივით გაირბენენ და აგერ იმ ორ აშვეტილ ნაძვს გადმოაქცევენ, ღვარცოფზე გადმოხიდავენ — მანდილოსნებს მაინც გავიყვანთ სამშვიდობოზე წალიკა ხიდით, საზრუნავს მოვიშორებთ და საბრძოლოდ ხელი გაგვეხსნება, — მოახსენა მხლებელთაგან უხუცესმა.

მეფემ თვალი მოავლო ხატის ბუსნოს, ოდნავ ასწია და ისევ დაუშვა ხელი, რაც დასტურს ნიშნავდა.

ერთმა ჩაუქმა მოყმემ ელვის სისწრაფით გაირბინა თოკზე, მას მეორე მიჰყვა.

— უმალ სიკვდილს ვარჩევ, ვიდრე მაგ ხიდზე შევდგამდე ფეხს, — თქვა სადედოფლომ მეფის გასაგონად და უკუდგა.

მეფემ მხოლოდ წარბი შეიკრა, რაკი ვერ ახსნა დადიანის ასულის საქციელი.

— ეგ ხატის ტყეა, მკრეხელობა იქნება ფეხი დააბიჯო წმინდა ხეს, — მარიამის სიმშვიდემ და თავგანწირვამ დააბნია მეფე.

კლდიანი ქედის თავზე უკვე გამოჩნდნენ მარბიელები.

— ენდეთ დედოფლის გონიერებას, ხატს ნუ აწყენინებთ, — კომბლით ხელში წინ წამოდგა ვიღაც გოლიათი.

ყველამ მისკენ ქნა პირი.

— თუ ღმერთი ძალას მომცემს, აგერ იმ მთა-ლოდს დავძრავ, — ჯვარი გადაისახა და ალმა გაიქცა.

წალეკულას განიერი კალაპოტი ქვა-ღორღით იყო მოფენილი. ღვარცოფის მთავარი ნაკადი გაღმითა კლდიან ნაპირს ეხეთქებოდა, მცირე ტოტები კი მთელ რიყეზე იყო მიმოფანტული. იმ ადგილას, სადაც ნიაღვარი იტოტებოდა, უზარმაზარი ლოდი ეგდო. ალმა გაქცეული გოლიათი ახლა სწორედ ამ ლოდს უახლოვდებოდა. მიადგა კიდეც, თავისი ბოძივით მსხვილი კომბალი აზარმაცივით შეუგდო ლოდს, ცალ მუხლზე ჩაიჩოქა და მხრით მიაწვა.

უწინ დედოფალი მიხვდა მის განზრახვას, სასოებით მიიტანა სამი თითი მწყაზარ შუბლთან, ხატს შესთხოვა, ძალა მიეციო მოყმეს. ამალას რამდენიმე ბრგე ტანის მხედარი გამოეყო და გოლიათის მისაშველებლად გაიქცა.

მხედრებმა ვერ მოასწრეს მისვლა, გოლიათმა დაძრა მთა-ლოდი, გადააგორა და გაღმითა კლდოვან ნაპირს მიაჯახა.

გზაჩახერგილმა ღვარცოფმა იღრიალა და ახლა იმ მხარეს გამოექანა, სადაც გოლიათი იდგა, მაგრამ მან მარჯვედ უგანა და მეფის ამალისაკენ გამოიქცა.

— უკვე გაღმით ხართ, მეფეო, ყველანი, გზა მშვიდობისა, — გოლიათმა ცალ მუხლზე ჩაიჩოქა და მხრით კომბალს ჩამოეყრდნო.

აბობოქრებული ღვარცოფი უეცრად დაცხრა, ახლა უკვე მეფის ამალის უკან, ახალი კალაპოტიდან ისმოდა მისი ავბედითი ღმუილი.

დედოფლის ამალა წყალდაწრეტილ ტოტში მიტოპავდა უკვე, ცხენებს მუხლებამდე ძლივსღა სწვდებოდა ღვარი.

**დასასრული მომდევნო ნომერში**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# აკაკი წერეთლის ცხოვრება

## მოთხრობილი გივი გეგეჭკორის მიერ

### ქორწინება. „ვედრება". „რამდენიმე სიტყვა „ჩანგურის" შესახებ". „ჩანგური".

1863 წლის დასაწყისში აკაკი ისევე რუსეთში მიდის, საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელებას აპირებს. დედას ბარათით ატყობინებს: ამ წიგნს, ე. ი. ბარათს, მიიღებთ თუ არა, ეს თხოვნა შემისრულეთ, ჩემს სახელზე გამომიგზავნეთ პასპორტი, ანუ ბილეთი მთელს ევროპასა და ამერიკაში... მე ერთი წელიწადი იქ დავრჩები და თუ მანამდე ჩემს დებს უპატრონებთ, ხომ კარგი, თუ არა და მე ჩამოვალ, საქმეში შევალ და იმდენს მაინც მოვახერხებ, რომ ოჯახი არ შევაწუხო და მაგათ ვუპატრონოთ.

მაგრამ აკაკი საზღვარგარეთ ვერ გაემგზავრება. მოსკოვში ნატალია ბაზილევსკაიას გაიცნობს. ერთ დღეს ქალი შესჩივლებს, ტვერის გუბერნატორზე დანიშნული ვარ, მე ის არ მიყვარს, ქორწილის დამეს თავს დავიხრჩობ, თუ შენ არ გადამარჩენო. აკაკის ნატალია შეებრალება, მეორე დღესვე ჯვარს დაიწერს, რუსეთს მიატოვებს და საქართველოში დაბრუნდება.

რას ფიქრობს ამ დროს აკაკი? რას აპირებს?

ამას მკითხველი მისი ერთი ლექსიდან შეიტყობს. ამ ლექსს „ვედრება" ჰქვია. აკაკი მკითხველს ძმობას აფიცებს, ძირს დაცემული კაცი რომ ნახო, ნუ იკითხავ, რატომ დაეცა, შენი ვალია, მდგომარეობაში შეხვიდე და გული გეტკინოსო. მაგრამ დაცემული ორგვარია: ერთს უნდა რომ წამოდგეს, თავი დაიხსნას, კაცისაგან შველას მოელის და თავის დამცემს ებრძვის, მეორე კი მკვდარივით გდია და მტერს პირუტყვივით ემორჩილება. პირველს ხელი მიეც და წამოაყენე, მეორეს კი მიაფურთხე და ზურგი უჩვენეო. ეს ლექსი ასე თავდება: „ამას კი ვიტყვი, გინდა მომკალით: ფურთხის ღირსი ხარ, შენ, საქართველო!" ამ შეძახილით ირკვევა, რომ ის მეორე, რომელიც მკვდარივით გდია და მტერს პირუტყვივით ემორჩილება, თურმე იმდროინდელი საქართველოა. აი, თურმე რას ფიქრობს აკაკი იმდროინდელ საქართველოზე. თურმე საქართველო არა ცდილობს, თავი დაიხსნას და თავის დამცემს შეებრძოლოს.

აკაკი ქართველ კაცს მოქმედებისაკენ, მოძრაობისაკენ მოუწოდებს. გახსოვთ? არც ილია ჭავჭავაძეს ხიბლავს უმოქმედობა და განზე გამდგარი მყინვარი. ილიას თერგი ხიბლავს, თერგი ბრძოლა და ცხოვრების დუღილია, მოძრაობა კი წინსვლის ნიშანი და ქვეყნის მომავალია.

დაცემული, უმოქმედო და მიძინებული ხალხი, თერგდალეულების ფიქრით, მწერლობამ უნდა გამოაღვიძოს.

აკაკის შეხედულებით, მწერლობა მძინარ ხალხს უნდა აღვიძებდეს, ახლად გამოღვიძებულს აფხიზლებდეს, ყურში ჩასძახოდეს და ამით სარგებლობა მოჰქონდეს. მოძღვარმა მოწაფეს ავი და კარგი უნდა გააგებინოს, მის გულის ტკენას არ უნდა მოერიდოს და მხოლოდ მის მომავალზე უნდა ფიქრობდეს. თუ ასე არ მოიქცევა, ღირსი არ იქნება მოძღვრად იწოდებოდეს... ასევე, მკურნალი სნეულს თავდადებით უნდა უვლიდეს, მხოლოდ მის განკურნებაზე ფიქრობდეს და ავადმყოფს, თუნდაც იგი მისი მგმობელიც იყოს და კიდეც უბრაზდებოდეს, პირმწარესა და ნაღველს პირში ძალდატანებით უნდა ასხამდეს.

მოძღვრისა და მკურნალის ორივე ეს ძალა და ღირსება მწერალს ერთად უნდა ჰქონდეს შეთვისებული. ერთსა და იმავე დროს ხალხს კიდეც უნდა მოძღვრავდეს და სამკურნალო წამალსაც აძლევდეს; მის ავსა და კარგს საზოგადოებას, როგორც ყრმას, დაუფარავად ეუბნებოდეს; საკუთარ ოფლში ნაღველს ულესავდეს და ძალდატანებით ასმევდეს, რომ სნეულებას არ დაახაგვრინოს...

აი, დღეს ჩვენს ქვეყანას ასეთი მწერლები ესაჭიროებიანო.

ივანე კერესელიძის „ცისკარში" ოცდახუთი წლის აკაკი ბეჭდავს რეცენზიას „რამდენიმე სიტყვა „ჩანგურის" შესახებ". „ჩანგური" ქართველი პოეტების ლექსების კრებულია, რომელიც პეტერბურგში 1864 წელს კირილე ლორთქიფანიძემ დაბეჭდა. აკაკი ამ რეცენზიაში თანამედროვე მწერლობაზე თავის შეხედულებებს გამოთქვამს.

აკაკი ამბობს, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი და ილია ჭავჭავაძე ერთ ტახტზე სხდომის ღირსნი არიან და ჩვენს ლიტერატურაში ორივეს ერთნაირი დამსახურება მიუძღვის. ორივე ქართული ერის სატკივარზე ლაპარაკობს. ბარათაშვილმა თქვა: ცოცხალი კაცი მკვდარს არ უნდა დაემსგავსოს; რახან ამ სოფლად ცხოვრობს, სოფლისათვის უნდა იზრუნოს და გზა ისე უნდა გათელოს, რომ იმ გზაზე შთამომავლობას სიარული გაუადვილოსო.

ილია ჭავჭავაძე ბარათაშვილის კვალს დაადგა, ისიც ერის სატკივარზე, ჩვენს ნაკლოვანებებზე და საჭიროებაზე ლაპარაკობს. ილია ამბობს: ფრინველივით კი არ უნდა ვიმღერო, ჭმუნვასა და სიხარულში ხალხთან უნდა ვიყო, წყლულად მისი წყლული მაჩნდეს, მისი ტანჯვით სული მეწვოდეს და გული მისი ბედითა და უბედობით დამედაგოსო.

აკაკი ამ წერილში მშობელი ერის სამსახურზე ლაპარაკობს და მისახვედრია, თუ რა ხასიათისა იქნება მომავალში მისი შემოქმედება და მომავალ ლექსებში, მოთხრობებსა და წერილებში რაზე ისაუბრებს ის.

ამ რეცენზიის დაწერის დღიდან ექვსი წელი გავა და აკაკი დაწერს ლექსს „ჩანგურს". ამ ლექსში აკაკი იტყვის, რომ მისი ჩანგური მხოლოდ სიმართლეს მოემსახურება და გულს სიწმინდით გაახურებს, ცხოვრების ლხინისა და მწუხარების გამოძახილი იქნება. დაჩაგრულს თვალზე ცრემლს შეუშრობს და მჩაგვრელს გულში ისარივით დაესობა. მის ჩანგურს იმის საფრთხე არ მოელის, კუთხეში უქმად ეგდოს და თუ მას ყურს დაუგდებენ, იმედი არ გაუცრუვდებათ.

### „დროებაში" თანამშრომლობა. წერილი „ჩანგური". „ალექსი". „ამირანი". ნიკო ნიკოლაძის სტუმრობა. „ახმედ ფაშა კახაბერი". „ხარაბუზა ღენერალი".

1866 წელს თბილისში გაზეთი „დროება" დაარსდება. მას თავდაპირველად გიორგი წერეთელი ურედაქტორებს. ოცი წლის მანძილზე ქართველი მწერლები ხალხს თავის ფიქრებს ამ გაზეთის ფურცლებზე გაუზიარებენ. აკაკი ამ გაზეთის ერთგული კორესპონდენტი და თანამშრომელი იქნება.

1867 წლის 4 იანვარს რუსეთის მთავრობა სამეგრელოს მთავარს ნიკოლოზ დადიანს ერთ მილიონ მანეთს გადაუხდის, რომ მან მემკვიდრეობაზე ხელი აიღოს და სამეგრელო რუსეთის იმპერიის მფლობელობაში შევიდეს. სამეგრელო იმერეთის გუბერნიას შეუერთდება და საქართველოს რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მისგან მოკვეთილი მხარე დაუბრუნდება. აკაკი ამ ამბავს გაზეთ „დროებაში" დაბეჭდილი პირველი წერილით გამოეხმაურება.

ამიერიდან „დროების" მკითხველი აკაკის წერილს, ლექსსა თუ მოთხრობას მოუთმენლად დაელოდება.

აკაკი სამეგრელოს თემას კიდევ ბევრჯერ მიუბრუნდება. ხუთი წლის შემდეგ აკაკის უფროსი და მატა (მავრა) მისთხოვდება ალექსანდრე დადიანს და იმავე წლის შემოდგომაზე აკაკი სამეგრელოს, სოფელ ქვახიშორს ესტუმრება. ხოლო 1888 წელს სამეგრელოს სათავადაზნაურო სკოლის სახლის კურთხევის დროს სიტყვას იტყვის, სკოლას დალოცავს და სამეგრელოში სასწავლებლის გახსნის მნიშვნელობაზე ილაპარაკებს. ამ ტაძარში, დღეს რომ ვაკურთხეთ, ჩვენმა შვილებმა თავისი თავი უნდა შეიცნონ და მიხვდნენ, რომ საქართველ-

ოს სხვადასხვა კუთხის მკვიდრნი ერთიმეორის ძმები ვართ. საერთო ისტორიამ, სარწმუნოებამ და ერთმა დედაქართულმა ენამ უხრწნელი კავშირით საუკუნოდ შეგვაერთაო. „აქ, ამ სკოლაში, მიხვდება იმერელი, რომ ის, კერძოდ, თუმცა იმერელია, მაგრამ საზოგადოდ კი იგივე ქართველია; აქ გაიგებს მეგრელი, რომ კერძოდ ის მეგრელია, თავის საკუთარი ფერის მქონი, მაგრამ საზოგადოდ კი, ძირეულად, იგივე ქართველია და თავისის კერძო მეგრელობით მხოლოდ აფერადებს ქართველობას...“

წერილში „ჩანგური“, რომელსაც აკაკი 1876 წელს დაწერს, ნათქვამია: ჩვენი საქართველო ჩანგურია და მისი სიმებია ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი, სვანეთი, აჭარა, ლაზისტანი და სხვა... ყველას თავისი საკუთარი ხმა აქვს, მაგრამ თავისთავად არცერთს არა აქვს ძალა, თუ ერთმანეთს არ შეუთანხმდებიან, შეთანხმებით კი გაკეთილხმოვანდებიანო.

21 წლის შემდეგ აკაკი დაწერს პოემა „ნათელა“-ს. ამ პოემაში ჩართულია ლექსი, რომელიც ცნობილია როგორც „ნათელას სიმღერა“. ამ ლექსში აკაკი ისევ თავის აზრს იმეორებს:

ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ — სხვადასხვა კუთხის მკვიდრნი. ეს სიმები ერთმანეთთან შეხმატკბილებულნი უნდა ვიყოთ და ყველანი ერთად, ერთიმეორის თანხმობით უნდა ვწკრიალებდეთ. ჩვენში ერთი სიმიც რომ გაწყდეს, მაშინვე შველა უნდა, რომ ჩონგური არ გაფუჭდეს. დღემდე სიმების სისუსტემ, შეუთანხმებლობამ სინათლე დაგვიბნელა, შორიდან მტერი შემოგვაპარა და სულ სხვა ხმაზე გვამღერებს. ჩვენ ცალ-ცალკე არ უნდა ვმღეროდეთ. ჩვენი ძალა შეხმატკბილებაში და ერთობაშია, მაშინ მტერი ვერასოდეს მოგვერევა; „დელი-დელა“ ერთად ვთქვათ და მტრებს „ვაი დედა“ ვაძახოთო...

1869 წელს აკაკის შეეძინება ვაჟი — ალექსი. აკაკი შვილს პოემა-ზღაპარს მიუძღვნის. ამ პოემა-ზღაპარსაც „ალექსი“ ჰქვია.

ზღაპარში ცხვარს მოტყუებით შეუვა სამყოფში მელია. ძნელი ამოსაცნობი არ არის, რომ ცხვარში საქართველოა ნაგულისხმევი, მელია კი მეფის რუსეთია, რომელიც ტკბილი სიტყვითა და დაპირებით ცხვრის სამკვიდროს დაეპატრონება.

აკაკი ამ ზღაპარს თავის შვილს ალექსის მიუძღვნის, ალექსი წამოიზრდება, წიგნის კითხვასაც ისწავლის, მაგრამ მამის ამ პოემას, ისევე როგორც აკაკის სხვა ნაწარმოებებს, ვერასოდეს წაიკითხავს იმ მიზეზის გამო, რომ ქართული კითხვა არ ეცოდინება. ალექსი დედას უფრო ხშირად რუსეთში ჰყავს, საქართველოში დედა-შვილი მხოლოდ სტუმრად ჩამოდის და დედა ალექსის რუს ინტელიგენტად გაზრდის.

აკაკის ეს ამბავი სიკვდილამდე გულს მოუკლავს.

ალექსი მეტად ზრდილი კაცია და კეთილი გულის პატრონი. მამაც ძალიან უყვარს. იგი რუსეთში ოპერის მოყვარულთა დასს შეადგენს. აკაკი შვილს ფულით მუდამ ეხმარება. მამისა და დედის გარდაცვალების შემდეგ ალექსი თავისი დასით პარიზში ჩავა და პარიზშივე გარდაიცვლება.

შვილისადმი მიძღვნილ პოემაში პირველად არის ლაპარაკი იმ გმირზე, რომელიც მოვა და ცხვარს, ანუ საქართველოს მონობისაგან დაიხსნის.

მომავალ გმირზე ილია ჭავჭავაძე „ბაზალეთის ტბაში“ გვესაუბრება. ბაზალეთის ტბის ძირას ოქროს აკვანია. იქნებ აკვანში ის ყრმა წევს, ვისი სახელიც არ ითქმის და ვისაც ჩუმი ნატვრით ქართველი დღედაღამ ნატრულობსო, ამბობს ილია. იმ ყრმის სახელი თავისუფლებაა. ნეტავი იმ ვაჟკაცს, ვისი ხელიც იმ აკვანს პირველად დასწვდება და ნეტავი იმ სახელოვან დედას, ვინც იმ ყრმას თავის მადლიან ძუძუს მოაწოვებსო!..

როგორც ვხედავთ, ილიასაც და აკაკისაც ერთი ოცნება აქვთ. ისინი იმ მომავალ გმირზე ოცნებობენ, რომელიც ბორკილებს დაამსხვრევს და საქართველოს იხსნის.

ერთ წერილში აკაკის პრომეთეს მითი აქვს მოთხრობილი. პრომეთემ ღმერთებს ცეცხლი მოჰპარა, რომ ხალხისათვის ბნელი გაენათებინა. ღმერთებმა ამისათვის კავკასიონის ქედზე მიაჯაჭვეს და ყორანი გულ-ღვიძლს უკორტნის. მაგრამ ამაყი პრომეთე დაუსრულებელ ტანჯვას უძლებს, გულ-ღვიძლი უმთელდება და მტერს არ ემონება.




ეს მითი ქართველი ხალხის ალეგორიააო, ამბობს აკაკი. ამ მითზე იგი უფრო მოგვიანებით ლექსს წერს. ლექსში პრომეთეს ამირანი ჰქვია. კავკასიის ქედზე მიჯაჭვულ ამირანს ყვავ-ყორანი ეხვევა და გულ-მკერდი დაგლეჯილი აქვს. ქვეყნად ცეცხლი რომ მოიტანა, ამიტომ ამირანს ცეცხლი არ უნელდება, რაღაც მანქანებით წყლული ისევ უმთელდება. ამირანი ჭირს უძლებს, ითმენს, არ კვნესის, არ ოხრავს, უსამართლო ძლიერებას მონურად ქედს არ უხრის და ბოლოს მაინც იმარჯვებს. აკაკი გვეუბნება: კავკასიის მაღალ ქედზე მიჯაჭვული ამირანი საქართველოა, მტრები კი ყვავ-ყორნები არიან; მაგრამ მოვა დრო, ამირანი თავს აიშვებს და ბორკილებს დაამსხვრევსო.

ის ბორკილი, ქართველი სამოციანელების აზრით, რუსეთის თვითმპყრობელობაა. საქართველო რომ რუსეთს შეუერთდა, მას მერე დაუცხრომელი ხანგრძლივი ომებისაგან შეისვენა და მიიძინა, ახლა უნდა გამოფხიზლდეს და თავი გაინთავისუფლოსო.

ის ხალხი, რომელმაც შვა ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარი, გიორგი ბრწყინვალე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები, პეტრიწი, რუსთაველი — კიდევ შობს გმირს, წინამძღოლს, განმათავისუფლებელსო...

1870 წ. „დროებაში“ აკაკი „ცხელ-ცხელ ამბებში“ იმერეთის თავადაზნაურობის მარშლის არჩევნებზე ფელეტონს დაბეჭდავს. ფელეტონის სათაურია „ყეენობა“. ამ ფელეტონს ყველა ნიკო ნიკოლაძეს მიაწერს. თვით ნიკო ნიკოლაძე უმალ მიხვდება, რომ ეს ფელეტონი აკაკის ეკუთვნის და სასტუმრო „კოლხიდაში“ მივა, სადაც აკაკის ერთი პატარა ოთახი უჭირავს. ოთახში ერთი საწოლი, ორი ძველი სავარძელი, ორი სელის სკამი და ერთი ტახტი დგას. მაგიდაზე საწერ-კალამი, ქაღალდი და ფანქარი დევს. აკაკის დილით ადრე ადგომა არ უყვარს.

აკაკისთან მოსალაპარაკებლად მისული ნიკო ნიკოლაძე თავის მეგობარს ეტყვის:

მიკვირს შენი ახირებულობა, ყმაწვილი ხარ, სულით და გულით ახალთაობას ეკუთვნი და ძველებთან, ე. ი. „ცისკარში“ კი თანამშრომლობო. ჩვენ გვინდა ჩვენთან — „დროებაში“, სერგეი მესხთან, გიორგი წერეთელთან და ჩემთან იყოო.

მე რაში უნდა მოგეხმაროთო? შეეკითხება აკაკი.

ფელეტონები დაგვიწერე, „ცხელ-ცხელი ამბები“. შენ გგონია, რომ ის „ცხელ-ცხელი ამბები“, რომელსაც მე მაწერენ, არ ვიცი, რომ შენი დაწერილია? არა! არა! აქ რა გინდა, ქუთაისში? შენი ადგილი „დროების“ რედაქციაშია, — ეუბნება ნიკო ნიკოლაძე.

მერე იქ რჩენა არ მინდა? აქ ჭელიძე მეხმარება და თბილისში რამეშველებაო, შეეკითხება აკაკი.

იქ ბინა რედაქციაში გექნება, ჩემი ჯიბიდან თვეში ხუთ თუმანს მოგცემ და იმყოფინეო, უპასუხებს ნიკო ნიკოლაძე და აკაკის ისევე დაითანხმებს, როგორც სამი წლის შემდეგ ილია ჭავჭავაძეს, როცა ახალთაობის მომხრეებს შეაგროვებს, დუშეთში, სადაც ილია მომრიგებელ მოსამართლედ მსახურობს, ხუთჯერ მაინც ავა და ეტყვის: მოდი, მეთაურად გაგვიხდი, გვიწინამძღვრე, გვიმსახურეო...

აკაკი თბილისში გადავა და „ცხელ-ცხელ ამბებში“ ფელეტონების ბეჭდვას დაიწყებს. ამ ფელეტონებში იგი ამათრახებს ადვოკატებს, რომლებიც გლეხებს ღლიტავენ; წვეროსნებს, ანუ მღვდლებს; ვაჭრებს, რომლებიც საწყალ ხალხს ტყავს აძრობენ; უსაქმურ ახალგაზრდებს... 1872 წლის „დროების“ ერთ ნომერში კი გრიგოლ ორბელიანს მიადგება.

1871 წელს საქართველოს იმპერატორი ალექსანდრე მეორე ესტუმრება, ახალთაობა გადაწყვეტს მას უმაღლესი ხასწავლებლის გახ-

ანა სთხოვოს, მაგრამ ძველი თაობა მხარს არ დაუჭერს ახლებს და თბილისში კადეტთა კორპუსის გახსნას მოსთხოვს იმპერატორს. ძველებში გრიგოლ ორბელიანიც არის.

ილია ჭავჭავაძე გამოცანებს დაწერს და ამ გამოცანებში გრ. ორბელიანზე იტყვის: ძველთაგან ეგღა დარჩა გრძნობით სავსე, გონიერი, მაგრამ გაუბედავია, თუმცა თავისი ერი კი უყვარს, მაგრამ ზოგჯერ ამ კარგ ადამიანსაც ქვეყანა ფეხებზე ჰკიდიაო.

თბილისის გენერალ-გუბერნატორი გრ. ორბელიანი პასუხს დაწერს („პასუხი შვილთა“) და ახალთაობას კოლო-ბუზებს, ლიბერალებს, ჰკუით გლახებს, გზადაკარგულებს, წყალწაღებულებს, ცრუ პოეტებს, აკაკიებს, ბაკაკიებს, რიონელებს (ნიკო ნიკოლაძე), გოგიტელებს (გიორგი წერეთელი), მესხ-მეველებს (სერგეი მესხი და ჟურნალისტი დავით მიქელაძე), მელიქ-ალებს (გაზეთ „დროების“ გამომცემელი ს. მელიქიშვილი) უწოდებს და შეეკითხება: კატის კნუტებო, საიდან კნავითო?

ილია გრიგოლ ორბელიანს „პასუხის პასუხით“ შემდეგ ეტყვის: ჩვენ თქვენსავით ჩვენი ქვეყანა ჩინებზე არ გაგვიცვლია, პატრიოტობა სალანძღავ სიტყვად არ გაგვიხდია და თქვენგან დაჩაგრული ერი ჯვრებზე არ გაგვიყიდია. ჩვენ ძუძუს ვწოვდით, როცა თქვენ ჩვენი ენა დათმეთ, შიშით აღარც შინ და აღარც გარეთ აღარ ხმარობთ და მკვდრის სუდარა გადაგიფარებიათ. ახლა ის ენა მემკვიდრეობით ჩვენ მივიღეთ, ჩვენ უნდა გავაცოცხლოთ, თქვენგან ლტოლვილი ჩვენ უნდა შევიფაროთ და ამას ცოდვად გვითვლითო?

აკაკი „ცხელ-ცხელ ამბებში“ გრიგოლ ორბელიანზე დაწერს ფელეტონს „ახმედ-ფაშა კახაბერი“ და ნეკროლოგად დაბეჭდავს, რაც იმას ნიშნავს რომ ახმედ-ფაშა კახაბერი, ანუ გრიგოლ ორბელიანი, რომელიც ახალთაობას სიტყვით მაინც თანაუგრძნობდა, სხვებივით არა მტრობდა და მომეტებულად აფასებდა, გადაუდგა მას და ამიტომ მისთვის მოკვდა.

აკაკი ორბელიანს რამდენიმე პამფლეტს მიუძღვნის, მაგრამ განსაკუთრებით დაუნდობელი იქნება ლექსი „ხარაბუზა ღენერალს“, რომელიც ხელნაწერად გავრცელდება. აკაკი სიტყვით სწორ და საქმით კუზიან ხარაბუზა ღენერალს ეუბნება: ნოვგოროდის ლიბერალო (გრიგოლ ორბელიანი 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის ნოვგოროდში იყო გადასახლებული), ლოპიანას მომღერალო (ლოპიანა გრ. ორბელიანის მეგობარი, განთქმული ყარაჩოღელი, მოკრივე და მეთევზე იყო), საათნავას მომღერალო (მე-18 საუკუნის აშუღი), ახლა უნდა შეგიბრალო, საცოდავი ხარ, რადგან ერთ დროს გულმაგარი კაცი იყავ, ის გირჩევნია, შენი მუზა დაიბრუნო, ე. ი. ისევ ლექსები წერო და იმ „ბურთივით მრგვალ ლიბერალს“ ე. ი. ილია ჭავჭავაძეს თვალები არ უპრაწოო.

თერთმეტი წლის შემდეგ, 1883 წელს გრ. ორბელიანი რომ გარდაიცვლება, ილია ჭავჭავაძე ძველ ნაწყენობას დაივიწყებს და ქაშვეთის ეკლესიაში დარბაისლური სიტყვით გამოეთხოვება მას, როგორც ბრწყინვალე ქართველ პოეტს; ხოლო აკაკი გრ. ორბელიანზე გულს ველარასოდეს მოიბრუნებს.

გრიგოლ ორბელიანი კი, როგორც იონა მეუნარგია წერს, აკაკის ლექსს თურმე ისე არ წაიკითხავდა, რომ ქვეშ არ მიეწერა: „ბარაქალა, აკაკივ“, „მაშალლაჰ, აკაკიავ!“ „შენ მაინც გაამშვენიერე ეს ჩვენი ენა, აკაკიავ!“

# თორელები

დასასრული

რის“ საქმიანობა, როგორც ვნახეთ, მარტო ეკოლოგიით არ განისაზღვრება. მისი ყურადღების ცენტრში მოექცა ბორჯომში არსებული სახალხო თეატრიც, რომელიც ამ ბოლო ხანებში ძალზე პასიურობს. სცენისმოყვარენი, ცხადია, გულგრილნი ვერ იქნებოდნენ ასეთი უმოქმედობის მიმართ და აი, აიმაღლეს კიდეც ხმა.

ამას წინათ ბორჯომის რაიონულ გაზეთში თორელები ბუნების დაცვის ზონალური ინსპექციის ინსპექტორ გ. იაშვილის კრიტიკულ წერილს გაეცნენ და გაოცდნენ: თურმე ბორჯომის რაიონის ფარგლებში მდინარე მტკვრის აუზის ეკოლოგიური მდგომარეობა საგანგაშოა, მთელი რიგი წარმოება-დაწესებულებების წყლის გამწმენდ ნაგებობათა სისტემები ან დაზიანებულია, ან, საერთოდ, მწყობრიდანაა გამოსული, არ ხდება ჩამდინარე წყლების ქლორირება, უხარისხოდ მუშაობს ნავთობპროდუქტების დამჭერი მოწყობილობები. ყოველივე ამის გამო კი უსაშველოდ ბინძურდება მტკვრის აუზი. მთელმა რიგმა წარმოება-დაწესებულებებმა ათეულათასობით ჯარიმა გადაიხადეს.

დაფიქრდნენ თორელები, ჩვენ რა შეგვიძლიაო, და ერთხმად გადაწყვიტეს, დაეწესებინათ საგუშაგოები და გაეფრთხილებინათ ყველა იმ წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელები, რომელთა მიზეზითაც უარესდება მდინარე მტკვრის აუზის ეკოლოგიური მდგომარეობა.

ჩვენმა ნაცნობმა გოგო-ბიჭებმა ერთ საინტერესო კითხვაზეც გასცეს პასუხი: რატომ უწოდეს მათ თავიანთ თავს „თორელთა ეკოლოგიური კავშირი?“

— ბორჯომის ხეობაში არის ლამაზი სოფელი თორი. გადმოცემით, წარსულში ბორჯომი თურმე თორელების საგვარეულოს ეკუთვნოდა, ეს გვარი იყო აქაურობის ბატონ-პატრონი, — გვითხრა კავშირის თავმჯდომარემ თამარ მახარაშვილმა. — ბორჯომის სრულ ბატონ-პატრონობას ჩვენ, ცხადია, ვერ დავიჩემებთ, მაგრამ ერთი კი უდავოა: ჩვენი კავშირი მთელი თავისი შესაძლებლობით ცდილობს, ბორჯომის მოვლა-პატრონობის დიდ საქმეში თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს. ამიტომაც დავარქვით მას „თორელთა ეკოლოგიური კავშირი“.

თათბირის შემდეგ სუფთა ჰაერზე გასეირნებაც კარგია! — ამბობენ თორელები



# საუბრები რელიგიაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იუდაიზმი—ებრაული რელიგია

იუდაიზმი — ებრაული რელიგია — ისეთივე ძველია, როგორიც მისი შემქმნელი ხალხი. საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებიდან გამომდინარე, ისიც შესაბამის ცვლილებას განიცდიდა, მაგრამ ყოველთვის მხოლოდ ებრაელთა რელიგიური გრძნობის გამოხატულებას წარმოადგენდა, რის გამოც დღემდე ეროვნულ რელიგიებს განეკუთვნება. ეს არის რელიგია, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ებრაელთა ფიზიკურ გადარჩენასა და ეროვნულ კონსოლიდაციაში.

იუდაიზმს ევროპასა და ამერიკაში „მოზაიზმს“ უწოდებენ, რაც სხვა არაფერია, თუ არა მოსეს რჯული, რომლის შექმნაც ბიბლიური მოსე წინასწარმეტყველის სახელთან არის დაკავშირებული. ამ რელიგიის ჩასახვა დაიწყო ჩვენს ერამდე II ათასწლეულში იუდეაში — ისტორიული პალესტინის ტერიტორიაზე. ბიბლიური ტექსტების მიხედვით, წინასწარმეტყველ მოსეს ხელმძღვანელობით უდაბნოში 40-წლიანი ხეტიალის შემდეგ ებრაული ტომები (სულ 12 ტომი იყო) აღწევენ თავს ეგვიპტის ტყვეობას და საბოლოოდ ოთხი ტომი მკვიდრდება პალესტინაში, სადაც მანამდე სახლობდნენ ქანაანელები — მიწათმოქმედი ხალხი. პირველი ებრაული ტომები, რომლებიც მომთაბარე მეჯოგეობას მისდევდნენ, ისტორიას ხაბირუს, ანუ ყაჩაღების სახელით შემორჩნენ. პალესტინაში დამკვიდრების შემდეგ ისინიც მიწათმოქმედებაზე გადადიან და იწყებენ იმ ღმერთების თაყვანისცემას, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მფარველებად ითვლებოდნენ.

უძველესი ებრაული ტომების პირველი რელიგიური წარმოდგენები ანიმიზმის, ტოტემიზმისა და ფეტიშიზმის თავისებური სინთეზი უნდა ყოფილიყო, რის კვალიც დღემდე ჩანს ებრაულ რელიგიურ ლიტერატურაში. იუდაიზმის ყველაზე ადრინდელ პერიოდს ბიბლიურს უწოდებენ. თვით ბიბლია კი წიგნია, რომლის პირველი ნაწილი — ძველი აღთქმა — მთლიანად მოიცავს ებრაულ რელიგიას. მას ტანახი ეწოდება. მორწმუნე ებრაელების წარმოდგენით, ეს წიგნი შეიცავს „უდიდეს საიდუმლოებას“, რამეთუ ის შთაგონებულია ღმერთ იეღოვას მიერ და გადმოსულია მოციქულებზე. განსაკუთრებული ღირებულება აქვს თორას (მოძღვრება, კანონი), რომელიც შეიცავს მოსეს 5 წიგნს. ებრაელების რწმენით, ეს წიგნები ღმერთ იეღოვას სინას მთაზე გადაუცია მოსე წინასწარმეტყველისათვის. ტანახში შედის აგრეთვე ნებიმი (წინასწარმეტყველებანი) და ქეთუბიმი (წერილები). ეს წიგნები საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა (ჩვ. ერამდე XIII-II სს) და თავიანთი შინაარსით მრავალგვარი თემატიკისა და საზოგადოებრივი შეხედულებების მთლიანობას წარმოადგენდა. ცხადია, მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ღმერთის მიერ სამყაროსა და სიცოცხლის, ადამიანის შექმნის პრობლემას და ებრაელთა რელიგიური რწმენა-წარმოდგენების აღწერას.

იუდაისტური რწმენის საფუძვლები მოცემულია თალმუდის სახელით ცნობილ რელიგიურ ლიტერატურაშიც, რომელიც ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე იწერებოდა. მას საფუძვლად დაედო თორა. თალმუდს უკავშირდება იუდაიზმის ისტორიის II პერიოდი — უმძიმესი ხანა ებრაელი ხალხის ცხოვრებაში. უცხოელთა ლაშქრობებს შედეგად მოჰყვა ებრაელების გაფანტვა მთელ მსოფლიოში. მშობლიურ მიწასა და სალოცავ ტაძარს მოწყვეტილი ებრაელობა თემებში ერთიანდებოდა, ზეპირად კითხულობდა თორას და როგორც ესმოდა, ისე განმარტავდა მას. ასეთ განმარტებებსა და გადმოცემებს უწოდეს მიშნა, ხოლო მის სრულ ახსნას — გემარა. მიშნა და გემარა ერთად წარმოადგენდა თალმუდს, რომელიც რელიგიური შინაარსის პარალელურად უხვად შეიცავს მორალის, სამართლის, ქორწინებისა და ოჯახის საკითხებს, რელიგიურ დოგმათა განმარტებებს და ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოსადეგ რჩევებს.

თავდაპირველად ებრაელებში გავრცელებული იყო სულიერი ძალებისადმი რწმენა; სულები იყოფოდნენ ბოროტად და კეთილად. ბოროტ სულს აზაზელას უწოდებდნენ. სულს სამი სიტყვით აღნიშნავდნენ — ნეშმა, ნეფეში, რუახი. სული სხეულში, კერძოდ — სისხლში ცხოვრობდა. როგორც ბიბლიაში, ლევიტელთა წიგნში ვკითხულობთ, ის ებრაელი, ვინც სისხლს შეჭამდა (იგულისხმება სისხლიანი ხორცი), წარწყმედილად ითვლებოდა და მოიკვეთებოდა თავისი ერისაგან, რადგანაც ყოველი ხორცის (ანუ სხეულის) სული მისივე სისხლი იყო.

მორწმუნე ებრაელებში ძველად გავრცელებული ყოფილა გარდაცვლილი წინაპრის კულტიც. წინაპრის სულს ტერაფიმა ერქვა და ოჯახის ღვთაებად ითვლებოდა. მის სახელზე პატარა ზომის ქანდაკებებსაც აკეთებდნენ და მათი დაკარგვა ოჯახისთვის უბედურების მაუწყებლად მიაჩნდათ. ამის შესახებ ბიბლიაშიც არის მოთხრობილი.

ებრაელებში უძველესი დროიდან გავრცელებული იყო ე. წ. „წინდაცვეთის“ წესი, რომლის შესრულებაც თავიდან ცხელი კლიმატით შეიძლება ყოფილიყო განპირობებული, მაგრამ შემდეგში მან რელიგიური მოტივი შეიძინა. ებრაელებმა იგი გამოაცხადეს ღმერთის მიერ სხვა ხალხებს შორის მათი ერის გამორჩეულობის გარეგნულ დამადასტურებულ ნიშნად და ნათლობის რიტუალის აუცილებელ ნაწილად აქციეს. იუდაიზმის კულტის მსახურები — რაბინები თვლიან, რომ წინდაცვეთა ძირითადი ნიშანია იეღოვას კავშირისა თავის ხალხთან. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იგივე წესი იყო და დღესაც არსებობს არაბული წარმოშობი-

სა და ისლამის რელიგიის მიმდევარ ხალხებში; მაშასადამე, წინდაცვეთა მხოლოდ ებრაელებში არ გვხვდება.

ებრაული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების შემდეგ ძველი რელიგიური წარმოდგენები თანდათანობით ადგილს უთმობენ სხვადასხვა ღმერთებს და ფეხს იკიდებს პოლითეიზმი ანუ მრავალღმერთიანობა. თუმცა ებრაელები დღემდე იჩემებენ, თითქოს მათი რელიგიური რწმენა თავიდანვე მხოლოდ ერთი ღმერთით იფარგლებოდა. ეს რომ ასე არ არის, ბიბლიაც ადასტურებს, სადაც წერია, რომ რამდენი ქალაქიც ჰქონდა იზრაელს, ღმერთიც იმდენი ჰყავდა. ე. ი. ყველა ქალაქს თავისი ღვთაება მფარველობდა. ალბათ იმ დროს უნდა მომხდარიყო იუდეას ტომის ღმერთის — იეღოვას დაწინაურებაც, რომელიც თავდაპირველად ჭექა-ქუხილს, ცეცხლსა და წყალს განასახიერებდა, მოგვიანებით ომის ღმერთის ფუნქციები შეიძინა და მრისხანე ღმერთად იქცა. მისი გულის მოსაგებად ებრაელები სწირავდნენ მსხვერპლს, რათა მას გაეღო წყალობა თავისი ხალხისათვის. შემდგომში მასში შერწყმული აღმოჩნდა მოსავლიანობისა და ხელოსნობის მფარველის ფუნქციებიც. ჩვ. ერამდე VII ს. ბოლოს მეფე იოსიას რეფორმით ოფიციალურად დაწესდა იეღოვას ერთადერთი კულტი და მისთვის მსხვერპლის შეწირვაც მხოლოდ იერუსალიმის ტაძარში უნდა მომხდარიყო. ასე ჩამოყალიბდა იუდაიზმი, როგორც ერთღმერთიანი რელიგია, რომლის მთავარი იდეა იყო: „მე იეღოვა ვარ, შენი ღმერთი. და ნუ გეყოლება სხვა ღმერთი ჩემს გარდა“. იერუსალიმის ტაძარი ამ დროიდან ებრაელი ხალხის ერთობისა და იეღოვას სიძლიერის გამოხატულებად იქცა. მას შემდეგ, რაც ქალაქი იერუსალიმი თავისი ტაძრით დამპყრობელთა მიერ რამდენჯერმე იქნა დარბეული და ებრაელი ხალხი განსახლებული აღმოჩნდა თავისი ქვეყნის გარეთ, იეღოვამ მსოფლიო ღმერთის ფუნქციები შეიძინა და დარჩა მხოლოდ ებრაელი ხალხის საკუთრებად. ამიტომაც არის, რომ იუდაიზმი ეროვნულ რელიგიად იწოდება.

იუდაიზმის მთავარი დამახასიათებელი ნიშანია ერთიანი ღმერთის აღიარება, მის მიერ ებრაელი ხალხის რჩეულობის იდეა, რელიგიური წიგნების სიწმინდე, ზეციური მხსნელის — მესიას მოსვლის გარდუვალობა, საიქიო ცხოვრების რწმენა და, ამასთანავე, ერთიანი ებრაული სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ იერუსალიმის ტაძრისათვის საერთო რელიგიური ცენტრის ფუნქციის დაკისრება.

იუდაიზმი საკმაოდ რთული და მკაცრი რელიგიაა, რომელსაც აქვს რწმენის 13 სიმბოლო. ესენია: არსებობს ღმერთი, რომელმაც შექმნა სამყარო, ის ერთია, არა აქვს სხეული, არსებობს მარადიულად, უნდა ილოცონ მხოლოდ მასზე, ჭეშმარიტება არის ღვთიური გამოცხადება, მოსე არის ყველაზე დიდი წინასწარმეტყველი, რომელსაც ღმერთმა უკარნახა თორა, ამიტომ მოსეს კანონის შეცვლა არ შეიძლება, სამყაროს მართავს ღმერთის განგება, სიკეთე ჯილდოვდება და ბოროტება ისჯება, მესია აუცილებლად მოვა ისრაელში და მკვდრეთით აღდგომა არის ჭეშმარიტება.

ჩამოთვლილი 13 სიმბოლო მარტო რწმენის კი არა, ამასთანავე, ადამიანის მთელი ცხოვრების ძირითადი კანონის გამომხატველია. ფაქტობრივად ეს არის ებრაელთა ცხოვრების წესი, რომლის დაცვის გარეშეც არსებობას აზრი არა აქვს. იუდაიზმი ებრაელებს ავალდებულებს, შეასრულონ 613 წესი, რომელთაგან 365 აკრძალვაა, ხოლო 248 — შეწყალება; მათში მრავლად არის შემონახული ლოცვები, მარხვები, დღესასწაულები და ა. შ.

დღესასწაულებიდან აღსანიშნავია აღდგომის — პასექისა და სულის — აზაზელას დღესასწაულები. პირველი გაზაფხულზე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დაწყების დღედ ითვლებოდა, ხოლო მეორე სულის მოგებისათვის იყო განკუთვნილი.

იუდაიზმის რელიგიური წესებისა და რიტუალების აღსრულება სინაგოგაში ხდება. სიტყვა სინაგოგა ბერძნულია და ნიშნავს საკრებულოს, ებრაელთა სამლოცველო სახლს, ტაძარს. რელიგიური მოთხოვნების დაცვას მორწმუნე ებრაელებში თვალს ადევნებენ რაბინები — ებრაელთა კულტის მსახურები, მოძღვარნი. რაბი ებრაული სიტყვაა და ნიშნავს „ჩემო მასწავლებელო“. უმაღლესი რელიგიური ორგანოა რაბინების საბჭო.

XVIII ს. II ნახევრიდან დაიწყო რეფორმირებული სინაგოგების თემების ჩამოყალიბება, რასაც სათავე დაუდო გერმანიაში ვინმე იაკობსონმა. მოხდა ქრისტიანული ლოცვებისა და სასულიერო სიმღერების შერევა ძველი აღთქმის ლოცვებთან და სიმღერებთან.

XVIII საუკუნეში იუდაიზმში იშვა ხასიდიზმი, რომელიც ესწრაფვოდა რაბინებისა და მდიდრების გავლენისაგან განთავისუფლებას. ამის მიღწევა შესაძლებლად მიაჩნდათ მხოლოდ ზნეობრივი სრულყოფის გზით. უფრო ადრე, VIII საუკუნეში, თავი იჩინა რელიგიურმა გადახრამ — სექტამ, რომელიც ცნობილი გახდა კარაიტების სახელით. ისინი თალმუდის წინააღმდეგ გამოდიოდნენ.

თანამედროვე იუდაიზმში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სიონიზმი (სახელწოდება აღებულია სიონის მთისაგან, სადაც, ძველბიბლიური მოთხრობის მიხედვით, აგებული ყოფილა იერუსალიმის ტაძარი) — ეროვნულ-რელიგიური მოძრაობა, წარმოშობილი XIX საუკუნის ბოლოს. ის ითვალისწინებს ყველა ებრაელის დაბრუნებასა და თავმოყრას მშობლიურ ქვეყანაში დევიზით: „მომავალ აღდგომას — ისრაელში“. სწორედ ამ მოწოდებამ შეასრულა განსაკუთრებული როლი ისრაელში სხვადასხვა ქვეყნებიდან, მათ შორის საქართველოდანაც, ებრაელთა წასვლის საქმეში.

ებრაელების საქართველოში ყოფნას დიდი ხნის ისტორია აქვს. როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, ისინი ჩვენს მიწა-წყალზე 26 საუკუნის

წინ უნდა მოსულიყვნენ: ცნობილი ქართველი მეცნიერი, გეოგრაფოსი და ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი გვაწვდის ცნობას, რომლითაც ვგებულობთ, რომ წმინდა ნინოს საქართველოში ქრისტიანობის საქადაგებლად ჩამოსვლის დროს ებრაელობა აქ კარგაჳნის ჩამოსახლებული უნდა ყოფილიყო. როდესაც ნინო ურბნისში მისულა, „...შეურვებული შევიდა უბანსა ურიათასა და ზრახვიდა მათ ენითა ებრაულითა, სადა დაჰყო მუნ თთუე ერთი". ბოლო უხილავს რა ქართველთა ღმერთებისადმი თაყვანისცემა, ერთი ურიასათვის (ებრაელისათვის) კიდეც უკითხავს, თუ რას ნიშნავდა ეს. რადგანაც ნინო ებრაელს ეკითხება ქართველთა წესის შესახებ, მაშასადამე, ებრაელებს კარგად უნდა სცოდნოდათ ქართული წეს-ჩვეულებანი, ტრადიციები. ამიერკავკასიაში ებრაელები ძირითადად საქართველოში დასახლდნენ. ეს ალბათ იმიტომაც მოხდა, რომ აქ მათ არ უგრძვნიათ ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან სიძულვილი, თავდასხმები, ხოლო სამეფო ხელისუფლებისაგან — რბევა-აწიოკება. საქართველოს ისტორიამ თითქმის არ იცის ქართველებისა და ებრაელების ეროვნულ ან რელიგიურ ნიადაგზე წარმოშობილი უთანხმოებანი. ამან განსაზღვრა ის, რომ ებრაელობა განსახლდა მთელ საქართველოში და ყველგან შექმნა თავისი სამლოცველოები — სინაგოგები.

დღეს, როდესაც საქართველოდან წასული ებრაელები თავის მშობლიურ მიწა-წყალს დაუბრუნდნენ, მათთან წარიტანეს ქართველი ხალხის უდიდესი სიყვარული და პატივისცემა, რის დასტურსაც წარმოადგენს მათ მიერ ისრაელში გაშლილი ქართული კულტურის აქტიური პროპაგანდა.

**რუსუდან წიქვაძე**

# მოზარდები ფიქრობენ, მსჯელობენ



## კოცონი

— რაში ხედავ ამჟამად ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნის აზრს? როგორ იგრძნობა გარდაქმნა იქ, სადაც შენ ცხოვრობ? — ამ თემაზე ჩვენთან გამოგზავნილი ბარათების ავტორები გვიზიარებენ თავიანთ გულისტკივილსა თუ სიხარულს, გვიამბობენ წინააღმდეგობებზე, რომლებიც მათ ხვდებათ. გაგაცნობთ ზოგიერთ წერილს კომენტარის გარეშე.

„გულახდილად გეტყვით, სანამ კლასში ისეთი „მბრძანებელი" გვეყოლება, როგორიც ჩვენი მიშიკოა, არავითარი გარდაქმნა არ მოხერხდება."

თამრიკო წერეთელი,
ქუთაისი.

„...დედა ხშირად წუწუნებს, გაჭირდა ცხოვრება, ბაზარში სიძვირეა, მაღაზიის თაროებიც ცარიელიაო; ამიტომ გულახდილად ვამბობ, მე არავითარ გარდაქმნას არ ვგრძნობ."

ჯემალ ჯიქია,
თბილისი.

„...ჩემი აზრით, გარდაქმნა იმიტომაც არის საჭირო, რომ თითოეული ადამიანი ბედნიერი იყოს, ცხოვრება არ უჭირდეს, არადა, ჩემს ირგვლივ არიან ადამიანები, რომლებსაც არცთუ გალაღებული ცხოვრება აქვთ".

ლამარა ბატარიძე,
ქუთაისი.

„...მამა ამბობს (ის მუშაა), ვინც კეთილსინდისიერად შრომობდა, ახლაც ასე განაგრძობს; ის, ვინც ადრე უსაქმურად იყო, აი, იმას სჭირდება გარდაქმნაო",

ქეთინო თვალიაშვილი,
თელავი.

„...ხშირად მესმის, როგორ განიხილავენ ხოლმე უფროსები უფროსკლასელთა წინადადებებს. იმასაც ვხედავ, როგორ საინტერესოდ საქმიანობენ. ასე რომ, გარდაქმნა სკოლაში მხოლოდ მათთვისაა! სად არის გარდაქმნა უმცროსკლასელთათვის?"

ნათია თეთვაძე,
თბილისი.

„...როცა მესმის, თბილისში გარდაქმნა არც ისე შესამჩნევად ხდებაო, ამის მთქმელს ვერ დავეთანხმები. მახსოვს როგორ მოხდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევა. ისინი ძირითადად ხალხმა აირჩია, ადრე კი, როგორც მითხრეს, მათ კანდიდატურებს ხალხი კი არა, თურმე უმაღლესი კომისიები ირჩევდნენ. ნეტა ოდესმე მეც ამირჩიონ დეპუტატად, ვიცი, საქართველოსათვის რასაც გავაკეთებ!"

ნოდარ ფუტკარაძე,
რუსთავი.

რაკი დეპუტატები ახსენეს, „...მე რომ სახალხო დეპუტატი ვიყო" — ამ თემაზე, აი, რა მოგვწერეს ყმაწვილებმა:

„...მივესალმებით საქართველოს დეპუტატთა მოქმედებას სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობაზე. მომეწონა მათი გაბედულება, მათდამი სხვების თანაგრძნობა და მხარდაჭერა".

ოთარ კილურაძე,
ქუთაისი.

„...მე რომ სახალხო დეპუტატი ვიყო, ყრილობაზე თუ სესიაზე სხვა რესპუბლიკების დეპუტატებს უფრო ღრმად ჩავახედებდი საქართველოს გასაჭირში".

ნათელა ფუთურიძე,
თბილისი.

„...მე კი ხშირად შევხვდებოდი ამომრჩევლებს, ზოგჯერ მოსწავლეების საფიქრალითაც დავინტერესდებოდი. ჩვენც ხომ გვაქვს ჩვენი გულისტკივილი, ჩვენც ხომ დამოუკიდებელი საქართველოსთვის ვიბრძვით. ამასთან ერთად, გვინდა, მშვიდობა სუფევდეს ჩვენთან, ჰოდა, აგვიხსნან, ნუთუ არაფერი შეუძლიათ ამის მისაღწევად?"

ოთარ მეხუზლა,
ჩოხატაური.

„...რომ შემეძლოს, გამოვცემდი ისეთ კანონებს, რომლებიც პირველ რიგში ბავშვებსა და მოხუცებს დაეხმარებოდა; არავის აქვს უფლება, მათ აწყენინოს".

სერგო კარტოზია,
სოხუმი.

„...მამას ვკითხე, რა არის დეპუტატის მოვალეობა-მეთქი. მიპასუხა: — დეპუტატის უმთავრესი საქმეა სიმართლისა და ხალხთა ბედნიერებისათვის ბრძოლა, რომ ყველაფერი სამართლიანად გადაწყდესო.

მაშინვე გავიფიქრე — აი, თუნდაც, ჩვეთვის საინტერესო წიგნების ყიდვა რომ შემეძლოს თავისუფლად-მეთქი".

ნათელა ჩიქოვანი,
ფოთი.

# ყვავილები გადარჩნენ




**დავით ჩაჩიბაია**

მხატვარი
ედუარდ ამზოკაძე


პიესა თოჯინების თეატრისათვის

**მოქმედი პირები**

ჭიამაია — მაია
დათვი — დათო
კურდღელი — ანიკო
თხუნელა — მიხო
მჭვარტლუნა

ტყე. ბნელა. დიდრონი ხეების ძირას ყვავილები ამოზრდილან. იქვე, ბუჩქებთან, კურდღლის სიროა. მოშორებით თხუნელას გვირაბი მოჩანს შავად. შორს, სერზე, ქარხნის აკვამლებული კორპუსი დგას.

შემოდის მჭვარტლუნა (მრავალსაცეციანი, კონტრასტული შეფერილობის ამაზრზენი არსებაა). ჩუმად ათვალიერებს გარემოს.

**მჭვარტლუნა** — მდაა... მშვენიერი ადგილია, სტრატეგიული თვალსაზრისით. აქედან ალბათ შორეული დაბა-ქალაქებიც კი მოჩანს... ასე რომ, ეს ტყე სწრაფად უნდა გადავაქციო ჩემს სამფლობელოდ, გადახრუკულ უდაბნოდ. მერე კი იმ შორეულ სოფლებსა და ქალაქებსაც დავიპყრობ. გადავწვავ, გადავბუგავ! დიახ, დიახ!.. რაც შეეხება ჩემს ნახშირის ტახტს, აქ დავდგამ, კარგი ადგილია, კარგი! (ისმის ხმაური, გაურკვეველი ბგერები) ვაი!.. როგორც ჩანს, აქ ცხოველები ბინადრობენ. არა უშავს, ადვილად ამოვხოცავ. უჰ, ეს რას მივარტყი თავი, რამხელა ხეები მდგარა, ეს ოხერი! ძირებს გავუხმობ, ძირებს!.. ეს კიდევ რა მებლანდება ფეხებში? ფუი, ყვავილები ყოფილა! ახლავე მოვსპობ, ნახშირჟანგს შევაფრქვევ... (საცეცებს ყვავილებს მიუახლოებს, ისმის შიშინი) ესეც თქვენ!.. (ყვავილები თავებს ჰხრიან).

ისმის თხუნელას სიმღერა:

დაჰკარ და დაჰკარ, ფანდურო,
კარგა მაძლიე ბანია,
შე გამოთლილო ღვიისო,
ვერ დაგაჭარბებს ბალია!

**მჭვარტლუნა** — ნეტავ ვინაა, ასეთ სულელურ ხმებს რომ გამოსცემს? (შემოდის მხარზე ნიჩაბგადებული თხუნელა მიხო, მჭვარტლუნას ვერ ამჩნევს).

**თხუნელა** — (სიმღერას განაგრძობს)

...სუ შენ მაგონებ ლექსებსა,
ნახევარ შენი ბრალია...

**მჭვარტლუნა** — სულელი!

**თხუნელა** — (შონიხედავს) ვაი! (ჩაჯდება) არ მომკლა, არ მომკლა, რა დაგიშავე?..

**მჭვარტლუნა** — (თავისთვის) ბნელი, უვიცი არსებაა...

**თხუნელა** — მშვიდად, მშვიდად! მთავარია, არ შემეშინდეს, ალბათ მეჩვენება. ვის არ მოსჩვენებია... აბა ჰე, ვიმღეროთ. (ჩაახველებს) ხმა არ მივარგა, მაგრამ მაინც ვსინჯავ (გაუბედავად მღერის) დაჰკარ და დაჰკარ, ფანდუროო... კარგა მაძლიე ბანია... (აჩქარდება. რიხიანად) შე გამოთლილო ღვიისო, ვერ დაგაჭარბებს ბალია...

**მჭვარტლუნა** — ახლა კი გამასწარი!

**თხუნელა** —ვაი, დედა! (შერბის გვირაბში).

**მჭვარტლუნა** — (იცინის) მოვკვდი სიცილით. (მამალი დაიყივლებს. მჭვარტლუნა სიცილს შეწყვეტს) აჰ. მამალი ყივის, ეტყობა, მალე გათენდება, ჩემს შავ ტბაში უნდა წავიდე. ახლა რომ დამინახონ მხეცებმა, შეეშინდებათ და გაიქცევიან, გადაიკარგებიან, მე კი მინდა, ნელ-ნელა შევაჩვიო თავი და ყველანი მოვსპო! ჰო, დიახ, დღესვე, დღისით-მზისით უნდა ვესტუმრო აქაურებს, ეს ტყე რაც შეიძლება მალე უნდა გადავაქციო უდაბნოდ!

(მჭვარტლუნა გადის. თენდება, მზე ამოდის. თხუნელას გვირაბთან სამი ცალი პანტა აგდია. დიდ მწვანე ფოთოლზე მჯდარი ჭიამაია იღვიძებს)

**ჭიამაია** — მზეც ამოსულა. რო-



გორ ჩამძინებია!.. ეჰე-ჰე! გაიღვიძეთ, ძილისგუდებო!.. ამათ თუ არ ვუმღერე, ისე არ გაიღვიძებენ (სიმღერას დააპირებს) ბულბულო ჩემოო... ბულბულოოო... (ახველებს) ეტყობა, გავცივდი... ეჰეი, მეზობლებო, გაიღვიძეთ, ძილისგუდებოო! (ჩირგვიდან ისმის კურდღლის შეშფოთებული ხმა): ახლავე, შენი ჭირიმე, ბოდიში, ჩემო ბატონო, ამ წუთას... (ჩირგვიდან გამოდის თავწაკრული ანიკო).

**ჭიამაია** — რა იყო, ანიკო, რამ შეგაშინა?

**კურდღელი** — ჩვენი ბატონი... ვაი, გული... ჩვენი ბატონი დათვი მეგონა...

**ჭიამაია** — რა ვიცოდი, ასე თუ შეგეშინდებოდა!

**კურდღელი** — ძილი უნდა აცალო ხალხს! (შედის ჩირგვში)

**ჭიამაია** — ანიკო, ანიკო!

**კურდღელი** — (გამოვა) ჩუმად, რა ღრიალებს!

**ჭიამაია** — რა მოგივიდა, ანიკო? ასეთ გუნებაზე ჯერ არ მინახავხარ!



**კურდღელი** — რამ მამყოფოს კარგ ხასიათზე? საცაა, ბატონი მოვა ხარკის ასაკრეფად. მზე რომ შუბის ტარზე ავა, მოვალო — ასე დაიბარა წინა ხარკის აკრეფაზე. (ისმის ბაჭიების ხველება) გესმის, როგორ ახველებთ ბაჭიებს? მოგიკვდეთ დედა!.. (ჩირგვში შევა და ცოტა ხანში გამოვა).

**ჭიამაია** — რა დაემართათ?

**კურდღელი** — გუშინ ქაჩალგორისკენ გავასეირნე. ადამიანებს რომ აქვთ მბოლავი სახლი გამართული, ხომ იცი, იქვე შავი ტბაა. იმას რომ მივუახლოვდით, მეც და ბაჭიებიც ცუდად გავხდით.

**ჭიამაია** — როგორ გაბედე იქ წასვლა?! თურმე მაგ შავ ტბაში ბინადრობს ის უცხო არსება, ტყეში რომ უამრავ ბოროტებას სჩადის.

**კურდღელი** — რას არ იტყვიან!

**ჭიამაია** — არა გჯერა? ახლახან იმ უცხო არსებას ტახო ღორი ცეცხლის ალში გაუხვევია, ჯაგარი შეუტრუსავს საცოდავისთვის.

**კურდღელი** — ჭორია-მეთქი, ჭორი!



**ჭიამაია** — ეგ რა ურწმუნო თომაა, ხალხო! ისიც ჭორი ხომ არ არის, რომ, რაც იმ მბოლავ სახლთან შავი ტბა გაჩნდა, ჩვენს ტყეში წყაროები გაშავდა, ხილი დროზე არ მწიფდება და ბალახმა სიმწვანე დაკარგა! შხამის ბუდედ იქცა იქაურობა, ბაჭიებიც იმიტომ გახდნენ ავად... ჭორიო... ჭორი კი არა, ადამიანებისაგან მოდის ყოველგვარი უბედურება!

**კურდღელი** — საცაა, ბატონი მოვა, ეს კი რაებს რატრატებს!

**ჭიამაია** — მოვა და მოვიდეს!

**კურდღელი** — ხარკი მიეცი, თორემ ისევე, როგორც ადრე, ახლაც დაგვაწიოკებს!

**ჭიამაია** — იცი რა, ანიკო, თუ ჩვენი ბატონია, ის მბოლავი სახლი დაანგრიოს, მტრისაგან დაგვიფაროს და ხარკზე მერე მელაპარაკოს! ასე ვეტყვი მაგ როხროხას.

**კურდღელი** — არა, არ გაბედო, შენი ჭირიმე, თორემ სიცოცხლეს გაგვიმწარებს.



**ჭიამაია** — ყველაფრისა ნუ გეშინია, ანიკო! (ისმის ბულბულის გალობა) გესმის?

ყური უგდე, ბულბული
რა ლამაზად გალობს,
ქვეყნად ყველა სულდგმული
გაზაფხულით ხარობს...

(უცებ თავდახრილ ყვავილებს შეამჩნევს და სასოწარკვეთილი იკივლებს)

ვაიმე, ანიკო, ანიკო!.. მიშველე!

**კურდღელი** — რა მოხდა, რა მოგივიდა, მაია?

**ჭიამაია** — (ტირის) ჩემი გვირილები, ყაყაჩოები... ვაიმე, დედაა!

**კურდღელი** — რამ გააგიჟა ეს გოგო?

**ჭიამაია** — (ყვავილებს ეფერება) ჩემი ყვავილები, ანიკო! თავი მიწამდე დაუხრიათ, არ სუნთქავენ (ტირის).

**კურდღელი** — ღმერთო კი მომკალი, ეს რა მოსვლიათ!
(გვირაბიდან ამოდის თხუნელა მიხო)

**თხუნელა** — რა ხმაურია, მეზობლებო, რა მოგივიდათ?.. კი მაგრამ, დათვი სად არის? მეგონა, ის ვერანა მოვიდა და დაგვაწიოკათ...

**კურდღელი** — ვერა ხედავ, ყვავილებს თავი ჩაუკიდიათ!

**ჭიამაია** — (ტირილით) რა მეშველება, მიხო... ჩემი ყვავილები...

**თხუნელა** — ყვავილები? ვაჰ!

**კურდღელი** — ტირილი საქმეს არ შველის... მაია! გესმის თუ არა?!

**ჭიამაია** — რა გინდა, რა?

**კურდღელი** — წყალი დავუსხათ, იქნებ ეშველოს. აბა, მიხო, შენა ხარ ჩვენი გაჭირვების ტალკვესი!..

**თხუნელა** — კი მაგრამ, საცაა ბატონი მოვა ხარკის ასაკრეფად...

**კურდღელი** — გეშინია?

**თხუნელა** — რისი უნდა მეშინოდეს რო...

**კურდღელი** — ამბობენ, ტყეში რომელიღაც საშინელი არსება დადისო...

**თხუნელა** — სულ ღამღამობით დავდივარ, მაგრამ ჯერ არ შემხვედრია... თუმცა ამ დილით აქ, ყვავილებთან მომეჩვენა.

**კურდღელი** — წადი, მიხო, თორემ ამას შიშისაგან გული გაუსკდება.

**ჭიამაია** — იქნებ მართლა გაცოცხლდნენ ყვავილები.. წყალი უნდა მოვიტანო. ცხრა მუხის ძირას გამოდის სუფთა წყარო.

**თხუნელა** — იყავი, მე წავალ. (გადის).

**ჭიამაია** — (ყვავილებს ათვალიერებს. ტირილით) არა, ანიკო, არა მგონია, ამათ რამე ეშველოთ.

**კურდღელი** — კარგი ახლა, დამშვიდდი... ეჰ, ცხოვრება ჰქვია ამას? ყოველდღე ცუდის მეტი არაფერი მესმის. მეუღლე რომ მყავდეს ცოცხალი, მივატოვებდი ამ ტყეს.

**ჭიამაია** — გესმის? მგონი დათვი მოდის.

**კურდღელი** — (აყურადებს) ის არის, ის როხროხა! შენ შემოგევლე, არ გააბრაზო, თორემ რამეს აგვიტეხს.

**ისმის დათვის ხმა:** და-და-და-და... მზე შუბის ტარზეა, სითბოა, დარია, მომეცით ჰიქები, მომეცით ყანწია... ჰაიტ! ყველაფერს დავანგრევ და, დავლეწავ და...

**კურდღელი** — ვაიმე, მთვრალია! სიმთვრალეში უყვარს ლექსების თქმა.

**ჭიამაია** — ლოთი!

(შემოდის დათვი)

**დათვი** — ჰაიტ, ჭიაღუებო, ხომ ვარ სიტყვის პატრონი, მზე შუბის ტარზეა, არც გვერდზეა, არც განზეა... დანიშნულ დროს მოვედი თუ არა?!

**ჭიამაია** — მართლა მხეცი...

**კურდღელი** — სუუ, ჩუმად..

**დათვი** — რას ჩურჩულებთ მანდა?!

**კურდღელი** — ამინდზე ვლაპარაკობთ, პატივცემულო, როგორ დათბა, არა?



**დათვი** — კი დათბა... ისე, როგორა ხართ, ხომ არავინ დამიჩაგრა თქვენი კარგი თავი? (კურდღელს) ამას უყურე, ამ ჭიაღუას, ამას... (ჭიამაია ტირის) ნეტავ რა ატირებს, ანიკო?

**კურდღელი** — არ ტირის, პატივცემულო, ეგ სიხარულის ცრემლებია. მეც მიხარია, თქვენ რომ მშვენიერ გუნებაზე ხართ. ხომ მართალს ვამბობ, მაიკო?

**დათვი** — მთელი ღამე მქეიფობდი. უჰ, როგორ დავიღალე, მეძინება, ანიკო. მერედა, როგორი ეშხით, რა ლაზათით ვიქეიფე! მთელი სამხეცეთი იქ იყო...

**კურდღელი** — თუ უკაცრავად არა ვარ...

**დათვი** — რაო?

**ჭიამაია** — უკაცრავად, ნუ ტრაბახობო.

**კურდღელი** — ღმერთო, მომკალი! ამას როგორ ვიტყოდი, ბატონო დათო; უბრალოდ, მე მინდოდა მეკითხა, სად ბრძანდებოდით წვეულებაზე-მეთქი...

**დათვი** — გეტყვით, გეტყვით! დაბლა ჩამოდი, ჭიამაია, და უკეთ გაიგონებ.

**ჭიამაია** — აქედანაც მესმის შენი როხროხი.

**დათვი** — ოოხ... გაგსრეს... ერთხელაც იქნება, გაგსრეს!..

**კურდღელი** — იხუმრა, ბატონო! დარწმუნებული ვარ, ძალიან აინტერესებს, როგორი დრო გაატარეთ!

**დათვი** — კარგი დრო გავატარე, კარგი. ერთი კოჭლი მელა რომ დადის მეზობელ ტყეში, ხომ იცით? რა ჰქვია... არ მახსენდება ახლა, რა მნიშვნელობა აქვს. მელა-მელაა... ჰოდა, იმ კოჭლმა, შვილი მომინათლეო, მთხოვა. მეც წავედი და ვიქეიფე, თამადა ვიყავი, მააშ! ხომ ხედავთ ჩემს ღიპს... ჰო... რამხელაა ეგ დალოცვილი... (ხვრინავს)

**კურდღელი** — ალბათ გეძინებათ...

**დათვი** — მა რა იქნება, იმდენი ღვინო ვსვი ჭიქებითა და აზარფეშებით და ყანწებით დაა... ოოხ (ჩათვლემს, ხვრინავს).

**კურდღელი** — მგონი ჩაეძინა... შენი ჭირიმე, მაია, ხომ არ გაგიჟდი. რატომ აბრაზებ?!

**ჭიამაია** — დამანებე თავი!

**კურდღელი** — რა მეტიჩარა ხარ. რა მეტიჩარა!

**დათვი** — (წამოდგება) რაო, ვინ არის მეტიჩარა? სად არიან მგლები?!

**კურდღელი** — დამშვიდდით, ბატონო, გეტყობათ, ცუდი სიზმარი ნახეთ.

**დათვი** — ჰოო, სიზმარი ყოფილა: ვითომ ვქეიფობდი, მგლები კი დამეხვივნენ, ისევე, როგორც წუხელ: მეტიჩარა და ცუდი თამადა ხარო. ამიტომაც მივლეწ-მოვლეწე იქაურობა, ერთი თეფშიც არ დამიტოვებია მთელი.

**კურდღელი** — კი მაგრამ, როგორ გაგიბედეს, პატივცემულო?

**დათვი** — სულელები არიან, ვერ ხვდებიან, რომ ჩემი მომრევი არავინაა ქვეყანაზე... ჩერჩეტები!

**ჭიამაია** — თუ ასეა, ქაჩალგორაზე რომ მბოლავი სახლია, ის დაანგრიე.

**კურდღელი** — უიმე, ხუმრობს, ბატონო!

**ჭიამაია** — არაფერიც! თუ მართლა მამაცი ხარ, ადამიანებს ებრძოლე, მბოლავი სახლი დაანგრიე, ტყეში რომ უცხო, ბოროტი არსება დადის, ის დაამარცხე!



**დათვი** — უყურე შენ! იცი თუ არა, ადამიანი ერთ ლუკმად რომ არ მეყოფა? ის უცხო არსებაც არსად შემხვდა, თორემ ცოცხალი ვერ გადამირჩებოდა!

**ჭიამაია** — ეძებე და იპოვი. მაგრამ შენ მუცლის მეტი არაფერი გადარდებს!

**დათვი** — ოჰ... ანიკო, ამას, ერთხელაც იქნება, დავიჭერ და ამ ჩემი ტორებით და... ბრჭყალებით და...

**კურდღელი** — თავს ნუ უყადრებ, ბატონო!

**დათვი** — როგორ მაბრაზებს, როგორ! ფრენა რომ შემეძლოს... ოჰ! წავედი (მიდის, მობრუნდება) კი მაგრამ, ხარკი?

ისმის თხუნელას სიმღერა:

დაჰკარ და დაჰკარ, ფანდურო,
კარგა მაძლიე ბანია!
შე გამოთლილო ღვიისო,
ვერ დაგაჭარბებს ბალია.
სუ შენ მაგონებ ლექსებსა,
ნახევარ შენი ბრალია.

(შემოდის თხუნელა, ხელში დოქი უჭირავს)

**თხუნელა** — გამარჯობა, ბატონო!

**დათვი** — მიხოც მოსულა... მიყვარს მშრომელი, პატიოსანი ხალხი.

**ჭიამაია** — მომეცი დოქი (დოქთან დაფრინდება)

(დათვი ცხვირს აცემინებს)

**თხუნელა** — შაქარი, ბატონო!

**კურდღელი** — იცოცხლეთ!

**დათვი** — (წამოდგება. ჭიამაია აფრინდება) მაგ შაქარზე გამახსენდა: მაიავ, ორი დოქი თაფლი უნდა მომცე. იმიტომ, რომ რაც თქვენი ბატონი ვარ, ჯერ არც ერთხელ არ მოგირთმევია. ახლა ამ ერთ დოქსაც ვიკმარებ.

**ჭიამაია** — გიჟია-მეთქი, გიჟი! ხომ უნდა გაიგო, რომ მე ფუტკარი კი არა, ჭიამაია ვარ?

**დათვი** — სულ ერთია, ეს ერთი დოქი თაფლი მინდა მე! აი, თქვენ, მიხო და ანიკო, ხომ ხედავთ, ჭიამაია ენამწარეა, მაგრამ თაფლი მაინც მომართვა, იმიტომ რომ ვუყვარვარ. ოჰ, ანიკო... მკლავები გაშალე. თქვენც, ყველამ! უნდა ვიცეკვოთ (დათვი და კურდღელი ცეკვავენ. დათვი წაიმღერებს) მერედა,

როგორ მიყვარს, როგორ მინდა
თაფლი, თაფლუნა,
ენაცვალოს ჩვენს მაიკოს
დათვი, დათუნა.

**ჭიამაია** — მიხო, ამას რას უყურებ, ყვავილებს დაუსხი!.. (თხუნელას ყვავილებთან დოქი მიაქვს).

**დათვი** — (ცეკვას შეწყვეტს)... ეე, დოქი სად მიგაქვს, კაცო! (დოქში ჩაიხედავს) წყალი ყოფილა...

**ჭიამაია** — მერედა, ვინ გითხრა, თაფლიაო. წყალი მოვატანინე ყვავილების მოსარწყავად, ვერა ხედავ, სულს ღაფავენ.

**დათვი** — აი, შენ, ყვავილებისათვის! (დოქს წააქცევს).

**ჭიამაია** — დაღვარა, წყალი დაღვარა ამ მხეცმა! (ტირის)

**დათვი** — ეგრე გინდა შენ! ახლა კი ყველანი მომშორდით და სანამ გავიღვიძებდე, ხარკი დამილაგეთ აქ! (წამოწვება)

**ჭიამაია** — (ჩამოფრინდება და დოქს აიტაცებს) ისევ მოვიტან შენს ჯიბრზე, აი, ნახე, თუ არა! (გაფრინდება)

**დათვი** — ჩამივარდები ხელში. (ცხვირს აცემინებს) რამ გამაცია...

**თხუნელა** — მე, ბატონო, ხარკის ნაცვლად მიწისქვეშა სასახლე უნდა გამეთხარა.

**დათვი** — სასახლე? ჰოო... მერედა, მზადაა?

**თხუნელა** — სულ ცოტა აკლია.



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

**დათვი** — რას ჰქვია, ცოტა... ზამთრის დადგომისთანავე, მზად იყოს, თორემ...

**თხუნელა** — კი ბატონო!

**დათვი** — პანტა? პანტა ვის უნდა მოუტანო, ანიკო?

**ანიკო** — მიხოს უშველის ღმერთი. ჩემი ობლები შეიცოდა და...

**თხუნელა** — წინა ხარკის აკრეფისას ხომ შევთანხმდით, ანიკოს მაგივრად მე გადამეხადა ხარკი.

**დათვი** — მოიტანე?

**თხუნელა** — ა, აგერ არის, ბატონო, გუშინ მოვიტანე, ერთი შვილებმა შემიჭამეს, თორემ ოთხი იქნებოდა.

**დათვი** — რა არის ეს, ვის იგდებ მასხარად, შე მამაძაღლო! სამი ცალი პანტა მე კი არა, ჭიანჭველას არ ყოფნის. ხედავ, ანიკო, როგორ მჩაგრავენ... აი, შენა!.. (ჩხუბობს) სამი ცალი ჭიანი პანტა მომართვი, არა? აი, ერთი პანტა. (ურტყამს), ორი პანტა. (ურტყამს), ესეც სამი პანტა. (ურტყამს)....

**კურდღელი** — გვიშველეთ!..

(ჭიამაია მოფრინდება)

**ჭიამაია** — ვაიმე, დედა! მოდის, მოდის...

(დათვი და თხუნელა ჩხუბს თავს ანებებენ)

**კურდღელი** — რა იყო, ვინ მოდის?

**ჭიამაია** — ის არის, შავი ტბის ბინადარი, ბოროტი სული!

**დათვი** — ვაიმე... ვინ არის, სად არის?!.

**კურდღელი** — შვილებო, შვილებო!.. (ჩირგვში დაიმალება)

**ჭიამაია** — ის არის... საშინელი არსება!

**თხუნელა** — რას გვაშინებ!

**დათვი** — სად დავიმალო, სად გავიქცე ახლა?! (ხეს ეფარება)

(შემოდის მჭვარტლუნა. თხუნელა გვირაბში იმალება).

**მჭვარტლუნა** — გამარჯობათ, პატივცემულებო!

**ჭიამაია** — ვინა ხარ შენ?

**მჭვარტლუნა** — რამ შეაშინათ...

**კურდღელი** — (გამოიხედავს) დედა, დედა... (ახველებს) რა უცნაური სუნია... (დაიმალება)

**მჭვარტლუნა** — აბა, შემომხედეთ. თქვენ გეუბნებით! (კურდღელი გამოიხედავს) განა შეიძლება, ჩემი გეშინოდეთ? (კურდღელს მიუახლოვდება. ჭიამაიას) თქვენ კი მშიშარა ყოფილხართ, ჭრელო.

**ჭიამაია** — ჭრელი კი არა, ჭიამაია ვარ. როგორ ყარხარ, ფუჰ, აქაც კი მცემს შენი სუნი!

**მჭვარტლუნა** — ეგ რა უზრდელი ყოფილა! (კურდღელს) თქვენ კი ფაფუკი არსება ხართ, ნუ გეშინიათ. (დაიჭერს)

**კურდღელი** — ვაიმე, ვიკივლებ!

**მჭვარტლუნა** — რატომ, ძვირფასო? ხომ ხედავთ, ცუდს არაფერს ჩავდივარ. (საცეცებს მოხვევს) აი, ასე, ჩვენ ალბათ დავმეგობრდებით, ხომ ატყობთ, რომ ვცეკვავთ (ცეკვავენ ვალსს).

**კურდღელი** — თავბრუ მესხმის, პატივცემულო, არ შემიძლია!..

(ბაჭიები ტირიან, დედას უხმობენ)

**მჭვარტლუნა** — მე თქვენ სხვა ცეკვებსაც გასწავლით.

**კურდღელი** — ჩემს ბაჭიებს დავხედავ, ხომ გესმით, როგორ ტირიან?

**მჭვარტლუნა** — კარგი, მერე გავაგრძელოთ. (გამოჩნდებიან დათვი და თხუნელა) აუუ, რამხელა მხეცები მოგროვილან... გამარჯობათ, პატივცემულებო!

**დათვი** — რა სულიერი ხარ, კაცო, შენ?

**მჭვარტლუნა** — მჭვარტლუნა მქვია, თქვენს მეზობლად ვცხოვრობ, შავ ტბაში. მე წარმოვიშვი კვამლის, გაზების და მტვრის ნაწილაკებისაგან, პატივცემულო.

**თხუნელა** — (ყვირის) არიქა! ეგ იყო, მეზობლებო, ეგ მომეჩვენა ამ დილით! (სოროს შესასვლელში კურდღელი გამოჩნდება)

**დათვი** — გაგიჟდი?!

**თხუნელა** — ესაა, გეფიცებით! ეს არის ყოველგვარი ბოროტების სათავე, ალბათ ყვავილებიც ამან გაახმო!

**ჭიამაია** — ზედვე ეტყობა, ამის ნამოქმედარია!

**მჭვარტლუნა** — განა შეიძლება ასეთი სიტყვების ხმარება? ბოლოს და ბოლოს, თქვენი სტუმარი ვარ. ასე არ არის, პატივცემულო?

**დათვი** — ჰაიტ... უცხო სტუმარი გამილანძღეს! მე თქვენ გაჩვენებთ სეირს! (კურდღელი და თხუნელა დაიმალებიან. მჭვარტლუნას) არ გეწყინოთ, მე ამათი ბატონი ვარ და დავსჯი!

**მჭვარტლუნა** — ამ უზრდელებთან ალბათ ძნელია ცხოვრება!

**დათვი** — ეგრეა, ეგრე, არაფერს მიჯერებენ. დღეს ხარკი უნდა მოეცათ და, აი, მხოლოდ სამი ჭიანი პანტა მომართვეს. ფუი!..

**მჭვარტლუნა** — პანტა რა არის, ტყეში უამრავია.

**დათვი** — როდემდე ველოდო მაგის დამწიფებას, ჩამოცვენას!

**მჭვარტლუნა** — პატივცემულო, ჩემი საცეცებიდან ისეთ ნივთიერებას შევაფრქვევ ხეს, ნაყოფი წამსვე დამწიფდება, მეორე საცეციდან სხვა ნივთიერებას დავუსხამ ძირში და ფესვებს გავუხმობ. ხეც წაიქცევა, ასე რომ, დღეიდან გამოულევლად გექნება ხილი.

**დათვი** — კარგი ხარ... აი, ხომ გესმით, ჭიალუებო... თუ არ გეწყინებათ, პაიტვცემულო, დავმეგობრდეთ, რა...

**მჭვარტლუნა** — დიდად გამახარეთ; ისე მომწონს აქაურობა, ამ ზაფხულს აქ გავატარებ, თქვენი ნებართვით.

**დათვი** — სამუდამოდ აქ დასახლდით. არსად გაგიშვებთ, იქნებ მერე თაფლიც ვიშოვოთ, კარგი? ყველაფერს მირჩევნია.

**მჭვარტლუნა** — ადვილი საქმეა, თქვენ მხოლოდ სკა მიჩვენეთ.

**დათვი** — ფუტკარს რომ ნესტარი აქვს?!

**მჭვარტლუნა** — მერე რა, ფუტკრებს ნახშირჟანგს შევაფრქვევ ჩემი საცეცებიდან და დავხოცავ, თაფლი კი...

**დათვი** — მე დამრჩება! უჰ, შენი ჭირიმე, შენი!.. (კოცნის. ახველებს) მგონია გავცივდი. წავედით, მჭვარტლუნა, პანტა დავამწიფოთ და წამოვაქციოთ. (დათვი და მჭვარტლუნა გადიან)

**ჭიამაია** — ჰეი... მიხო, ანიკო, გამოდით!

(კურდღელი და თხუნელა გამოჩნდებიან).

**თხუნელა** — აი, თურმე რანაირი ყოფილა ის უცხო არსება!

**ჭიამაია** — წყაროდან რომ მოვფრინავდი, მაშინ ვნახე; შავი ტბიდან ამოვიდა და ჩვენკენ გამოსწია... რაღაც უნდა მოვიფიქროთ, თორემ უბედურებას შეგვამთხვევს.

**კურდღელი** — კი მაგრამ, რატომ?

**ჭიამაია** — როგორ თუ რატომ, ვერ გაიგონე, თავისი პირით რომ თქვა, საცეცებში შხამები მაქვს, ხეებს შევასხამ და გავახმობო?

(შემოდის დათვი)

**დათვი** — ჰაიტ, თქვე ჭიაღუებო, თქვე ურჩებო, თქვენა!.. თქვენს ჯიბრზე ნამდვილი მეგობარი და ძმაკაცი შევიძინე!



**ჭიამაია** — მეგობარი კი არა, საშინელი არსებაა. იცოდე, ყველას დაგვღუპავს, ყველას! ხეებს ახმობს, ცეცხლს აჩენს, შხამის ბუდეა ეგ მჭვარტლუნა.

**დათვი** — შხამის ბუდე კი არა, ანიკო, თითქოს სიზმარში ვიყო. იმოდენა პანტას ძირში რაღაც შეუშხაპუნა, წამში გაახმო და წამოაქცია. ახლა თავზე საყრელად მაქვს პანტა.

**მიხო** — ბატონო, მჭვარტლუნა ყველას დაგვღუპავს, თუ რამე არ მოვიფიქრეთ!

**დათვი** — ვითომ რატომაო?

**ჭიამაია** — იმოდენა ხეს რომ ახმობს, ხომ შეუძლია, შენც წირვა გამოგიყვანოს?

**დათვი** — აი, ახლა მოვა და ნახავ შენს სეირს; შეგასხურებს რაღაცას საცეცებიდან და მოგკლავს.

**თხუნელა** — ბატონო, დაფიქრება გმართებს. თუ გინდა, შეამოწმე ჩვენი ნათქვამი და მიხვდები, რომ იგი ჩვენი მტერია.

**დათვი** — გულით ამბობ?

**თხუნელა** — ვფიცავ, ბატონო!

**ჭიამაია** — ჩუმად, მგონი მოდის.

**დათვი** — რა იცი, რომ მოდის?

**ჭიამაია** — სუნი მცემს!

**დათვი** — არ ტყუი შენ, ჰომ იცი (აცემინებს).

**კურდღელი** — (ბაჭიები ახველებენ) ჩემი ბაჭიებიც რომ ახველებენ!

(შემოდის მჭვარტლუნა, შემოაგორებს კასრს, რომელსაც ქიმიური ფორმულები აწერია).

**მჭვარტლუნა** — აი, მეც მოვედი... (თხუნელას) რა შტერივით მიყურებ, შე დაგვალულო, მომეხმარე! ამ კუნძზე შემომადგმევინე ეს კასრი!

**თხუნელა** — არა, არ შემიძლია!

**დათვი** — მოიცა, ეს რა არის?

**მჭვარტლუნა** — ამ კასრში ქიმიური ნაერთებია, საკვებად ვიყენებ. კიდევ უნდა მოვიტანო.

**თხუნელა** — მე წავედი, მიწისქვეშა სასახლე მაქვს გასათხრელი (გვირაბისკენ მიდის).

**ჭიამაია** — აბა, დათვო, ახლა ვნახავთ შენს ვაჟკაცობას!

**დათვი** — მე მარტო... არა, არა, ნუ მიმატოვებთ!

**კურდღელი** — ბაჭიებს უნდა დავხედო.

**დათვი** — მეც დავხედავ... აჰ, მიყვარს კასრები...

**მჭვარტლუნა** — შენ ნუ დამტოვებ, ფაფუკო. წეღან რომ ცეკვა შევწყვიტეთ, ახლა გავაგრძელოთ, კარგი?

**კურდღელი** — არ მინდა, არა, თავი ამტკივდება!

(მჭვარტლუნა ძალით ეცეკვება ვალსს)

(თხუნელა გამობრუნდება)

**თხუნელა** — ვის უბედავ, მჭვარტლუნა ხარ თუ ვიღაც ოხერი! (დაეძგერება) არიქა, დათო, ტორი, ტორი ჩაარტყი! (ყველანი დაესევიან მჭვარტლუნას).

**მჭვარტლუნა** — მე თქვენ გიჩვენებთ სეირს! იგემეთ ჩემი ქიმიური ნაერთები, თქვე მხეცებო, თქვენა! (ისმის მჭვარტლუნას საცეცებიდან გამოსული გაზების შიშინი. ირგვლივ ყველაფერი კვამლით დაიფარება. ისმის ხმები: „ვაიმე, ვიხრჩობი!“ „ბურანში ვარ, თავბრუ მესხმის!“ „სიზმარია, ნუ გეშინიათ!“ შემდეგ ირგვლივ ბინდი ჩამოწვება. ჩანს მზის შავი დისკო, დანახშირებული ტყე. ირგვლივ ყოველივე გამჭვარტლული და აბოლებულია. ხის კუნძზე დგას მჭვარტლუნა. დათვი, ჭიამაია, კურდღელი და თხუნელა მიწაზე ჰყრიან, მერე ძლივს წამოდგებიან, მთვრალებივით ბარბაცებენ... ისევ ეცემიან. ბოლოს დათვი წამოიმართება).

**მჭვარტლუნა** — ცემა მომინდომეთ, არა? ყველას მოგწამლავთ, ყველას! (ხარხარებს).

**ჭიამაია** — (ყვირის) ვინა ხარ შენ. რას შემოგვიჩნდი, რა გინდა ჩვენგან?!

**მჭვარტლუნა** — (ხარხარებს) მჭვარტლუნა ვარ, მჭვარტლუნა, შავი ტბის ბინადარი! ოდესმე მთელ ქვეყანაზე ველ-მინდვრებს, სოფლებსა და ქალაქებს ნახშირის უდაბნოდ გადავაქცევ. მზეც

კი შავი იქნება, სიცივესა და სიბნელეს გამოაშუქებს და იმ შავი ქვეყნის მეუფე მე ვიქნები მე, მჭვარტლუნა! (ხარხარებს).

**კურდღელი** — (წამოიმართება) რა უცნაური სიზმარია! (ნიავი დაუბერავს).

**თხუნელა** — იქნებ არც არის სიზმარი...

**მჭვარტლუნა** — აჰ, ნიავი უბერავს, ამ მოწამლულ ჰაერს ფანტავს და იმიტომაც ფხიზლდებიან. არა უშავს, მაინც ჩემს ხელში არიან. ამასობაში კიდევ ერთ კასრს მოვაგორებ (გადის).
(თანდათან გამოჩნდება მზე. ტყე განათდება).

**დათვი** — ეს რა საშინელება გვესიზმრა?

**ჭიამაია** — გვესიზმრა კი არა, თავისი შხამით გაგვაბრუა.

**კურდღელი** — რა საშინელი არსებაა, არადა, კარგად ცეკვავს! აჰ...
(ტირის)

**ჭიამაია** — ტირილის დროა ახლა?! მჭვარტლუნა მალე მოვა, ახლა მაინც ერთად შევებრძოლოთ.

**თხუნელა** — დათვი ხომ ჩვენი ბატონია, ტორი ჩაარტყას!

**დათვი** — ახლავე, მე ახლავე მოვალ და შევებრძოლები (გადის)

**ჭიამაია** — გარბის, ხედავთ, გარბის, გვიღალატა!..

**კურდღელი** — სანამ მჭვარტლუნა მოვა, ჩვენც გავიქცეთ!

**ჭიამაია** — სად გავიქცეთ, სად?!

**კურდღელი** — ვაიმე, შვილებო... რა ვქნათ?

**თხუნელა** — მოიცა, რაღაც მოვიფიქრე, ნუ გეშინიათ! ჩვენ დავამარცხებთ მჭვარტლუნას, მხოლოდ უნდა დამიჯეროთ.

**ჭიამაია** — გისმენთ, მიხო, თქვი ჩქარა!

**თხუნელა** — აი, აქ მიწისქვეშა გვირაბია. მჭვარტლუნა რომ მოვა, ანიკო, შენ ეცეკვე, ეცადე, ამ ადგილას დააყენო. ჰოდა, მიწა ჩაენგრევა და ჩავარდება, მე კი ზემოდან ქვა-ღორღს დავაყრი.

**ჭიამაია** — შენი ჭირიმე მიხო!

**თხუნელა** — მხოლოდ ანიკოს არ შეეშინდეს... აი, მგონი მოდის!

**კურდღელი** — ვეცდები, ყველაფერი გავაკეთო.

**თხუნელა** — ჭიამაია, მე და შენ დავიმალოთ. ანიკო, შენ კი მჭვარტლუნას შეეგებე, გაუცინე.

**კურდღელი** — კარგი, კარგი! (ტირილით) თუ რამე მომივიდეს, ჩემს ბაჭიებს მიხედეთ.



**ჭიამაია** — გაჩუმდი, რა დროს ტირილია! აბა, დავიმალოთ.
(თხუნელა და ჭიამაია დაიმალებიან. კასრს შემოაგორებს მჭვარტლუნა).

**მჭვარტლუნა** — ფაფუკ!

**კურდღელი** — ო, მჭვარტლუნავ, დაანებე ამ კასრს თავი.

**მჭვარტლუნა** — რას ამბობ, ეგ ჩემი საკვებია!

**კურდღელი** — კი მაგრამ, ხომ დამპირდი, ცეკვებს გასწავლიო.

**მჭვარტლუნა** — შენ გენაცვალე, შენა! ახლავე. (მიუახლოვდება) ხელი ასწიე, ასე, ყოჩაღ! რამდენჯერ შეგვაწყვეტინეს ცეკვა მაგ მხეცებმა! (ცეკვავენ ვალსს).

**კურდღელი** — აქეთ ვიცეკვოთ.

**მჭვარტლუნა** — მართალი ხარ, შიშველ ადგილას სჯობია, მოდი, მომიახლოვდი, ფაფუკ!

**კურდღელი** — მოვდივარ, მჭვარტლუნა!

**მჭვარტლუნა** — ვაი! (ორმოში ჩავარდება. გამოჩნდებიან ჭიამაია და ნიჩაბმომარჯვებული თხუნელა).

**თხუნელა** — აბა სწრაფად, მიწა დავაყაროთ! (ნიჩბით მიწას აყრის. სხვებიც ეშველებიან).

**ჭიამაია** — მაგისი ადგილი დედამიწაზე არ არის! ასე, თქვენი ჭირიმე, თქვენი, რაც შეიძლება ბლომად დავაყაროთ მიწა!

ორმოდან ისმის მჭვარტლუნას ხმა: უბადრუკებო, უვიცებო! სანამ მბოლავი სახლები იქნება, მე არ მოვკვდები, არა, ჩემისთანები კიდევ დაიბადებიან!

**თხუნელა** — ეგ რა თქვა?!

**ჭიამაია** — მერე რა, ოდესმე იმ მბოლავ სახლსაც დავანგრევთ!

**კურდღელი** — (ყვირის) მაია, მიხო, ნახეთ, ნახეთ, ყვავილები გაცოცხლდნენ! (ყვავილები თავს სწევენ).

**ჭიამაია** — ჩემო ლამაზებო, ჩემო კოხტებო, თქვენი ჭირიმე!

**მიხო** — აბა, ერთი სიმღერა შემოვძახოთ! მთელმა ტყემ გაიგოს ჩვენი გამარჯვება! (მუსიკა, სიმღერა).

(დასასრული)

# ალფრედ ნობელი: დინამიტი და პრემიები

ალბათ ყველამ იცის, რომ არსებობს ნობელის პრემიები. ისინი ყოველწლიურად ენიჭება უმნიშვნელოვანეს შრომებს მეცნიერებისა და ლიტერატურის დარგში, აგრეთვე პიროვნებებს მშვიდობის განმტკიცების საქმეში გაწეული განსაკუთრებული ღვაწლისათვის.

იცით, რამდენი გამოგონების ავტორი იყო ალფრედ ნობელი?

350 გამოგონებისა!

მოდით, თავიდან დავიწყოთ:

დიდი მეცნიერი და გამომგონებელი ალფრედ ნობელი 1833 წელს დაიბადა სტოკჰოლმში, შვეციის დედაქალაქში. მისმა მამამ, იმანუილ ნობელმა, შვეციის დედაქალაქის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ლექტორმა, 1837 წელს მიიღო მიწვევა, სათავეში ჩასდგომოდა პეტერბურგის მექანიკურ ქარხანას. და აი, 1842 წელს ცხრა წლის ალფრედ ნობელი თავის მშობლებთან ერთად პეტერბურგშია.

სწორედ აქ, პეტერბურგში, 13 წლის ბიჭუნას ერთი შეხედვით ახირებული აზრი აეკვიატა — გამომგონებელი უნდა გავხდეო.

საქმე ისაა, რომ ბიჭუნა მთელ დღეებს ატარებდა თავისი მასწავლებლების, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორების ზინინისა და ტრაპის ქიმიურ ლაბორატორიებში, სადაც სტუდენტებთან ერთად გულმოდგინედ ადევნებდა თვალს ქიმიურ ცდებს, უნდოდა ყველაფერი შეეტყო.

ბიჭუნას გატაცებამ დედის შეშფოთება გამოიწვია.

— არ ვიცი, რა ვქნა? ალფრედი სახლში იმდენ ხანს არ არის, რამდენსაც ლაბორატორიებშია, — წუწუნებდა იგი. — პირდაპირ გადაჰყვა ამ ქიმიურ ცდებს.

ქმარი ამშვიდებდა მეუღლეს:

— მასწავლებლები მარწმუნებენ, ალფრედს ძალზე დიდი მიდრეკილება აქვს ცოდნისადმი და ნიჭიერიცაა. და განა ის, რომ ბავშვს სურს მამის კვალს გაჰყვეს, საკვირველია?

ალფრედი განსაკუთრებით გაიტაცა ცდებმა, რომლებსაც ასაფეთქებელი შენაერთების მისაღებად ატარებდნენ. შეიტყო, რომ ასეთი ცდები ტარდებოდა პარიზში, პროფესორ პელუზეს ლაბორატორიაში, სადაც იტალიელმა მეცნიერმა ასკანიდო სობრერომ მიიღო ნიტროგლიცერინი. ეს სითხე არაჩვეულებრივად მძლავრი ფეთქებადი უნარით ხასიათდებოდა — აფეთქების ძალით ნიტროგლიცერინი 50-ჯერ აღემატებოდა ჩვეულებრივი დენთის ძალას.

მალე ალფრედმა ისიც შეიტყო, რომ თურმე თვით სობრერომ აღიარა ნიტროგლიცერინის გამოყენების სირთულე; ყოველი ცდა გაუთვალისწინებელი და მოულოდნელი აფეთქებით მთავრდებოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ნიტროგლიცერინის, როგორც ენერგიის წყაროს, გამოყენება შეუძლებელი იყო.

ალფრედი კითხვას კითხვაზე უსვამს თავის პეტერბურგელ მასწავლებელს, პროფესორ ტრაპს:

— რატომ არის საშიში ნიტროგლიცერინი?

— იმიტომ, რომ იგი ფეთქდება მცირე ხახუნის ან სუსტი დარტყმის შედეგად, — პასუხობს პროფესორი და უხარია, რომ მისი მოწაფე ძალზე ახირებული ყმაწვილია.

ახირებული — კარგი გაგებით.

— პატივცემულო პროფესორო, როგორ შეიძლება ცხოვრებაში ნიტროგლიცერინის გამოყენება?

— აბა, დაუკვირდი, ალფრედ: ჩვენ ტექნიკის განვითარების ახალი ეპოქის წინაშე ვდგავართ. უამრავი მძიმე სამუშაო გველის: რკინიგზების გაყვანა მთიან რეგიონებში, გვირაბების მშენებლობა, ქვანახშირისა და სამშენებლო მასალების მოპოვება. დაგვჭირდება ენერგიის მძლავრი წყარო.

ალფრედს თვალები უბრწყინავს:

— და ამისათვის საჭიროა ნიტროგლიცერინი! მაგრამ ეს თხევადი შენაერთი ძალზე საშიში სახმარია, არა?

— დიახ, ასეა, — პასუხობს პროფესორი.

17 წლის ალფრედ ნობელი საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში ჩავიდა. იგი აქ ესტუმრა პელუზეს ლაბორატორიას, სადაც იტალიელმა მეცნიერმა ასკანიდო სობრერომ ნიტროგლიცერინი მიიღო.

პროფესორმა პელუზემ აუხსნა, რომ ვერც პარიზში და ვერც პეტერბურგში ვერ მოხერხდა ნიტროგლიცერინის გაუმჯობესება.

ალფრედ ნობელი მოგზაურობს გერმანიაში, იტალიაში, ამერიკაში. ეცნობა ახალ ტექნიკას, მეცნიერების მიღწევებს. ამაში ძალზე უწყობს ხელს უცხოური ენების ცოდნა — იცის შვედური, რუსული, ფრანგული, ინგლისური, გერმანული.

შემდეგ ისევ პეტერბურგში ბრუნდება, ხოლო 1860 წელს ოჯახთან ერთად საცხოვრებლად გადადის სტოკჰოლმში. ამ დროს იგი 27 წლისაა.

ალფრედი არ ისვენებს, დაძაბულად მუშაობს, მაგრამ ექსპერიმენტებისთვის ფული არ ჰყოფნის.

ბოლოს მან თავისი ერთი ტექნიკური იდეით დააინტერესა საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონ მესამე, რომელმაც ალფრედს სესხად მისცა 100 ათასი ფრანკი.

ამ თანხით ალფრედ ნობელი სტოკჰოლმის მახლობლად აშენებს პატარა ქარხანას და დიდ ლაბორატორიას და განაგრძობს ფიქრს ნიტროგლიცერინზე — როგორ შეიძლება, იგი გადასატანად მოსახერხებელი გახდეს?

პასუხი კარგა ხანს არ ჩანს, და აი ერთ დღეს, ქარხანას რომ ათვალიერებდა, შენიშნა — რეზერვუარიდან წვრილ ჭავლად მოედინებოდა ნიტროგლიცერინი და მიწაზე იღვრებო-

და. ის იყო, ალფრედს მუშებისთვის შენიშვნა უნდა მიეცა დაუდევრობისათვის, რომ უცბად დაფიქრდა: აფეთქდება თუ არა ნიტროგლიცერინით გაჟღენთილი მიწა?

შემოწმებით დადგინდა — ნაპოვნია ნიტროგლიცერინის შემავსებელი!

ლაბორატორიული ცდებით გამოირკვა, რომ ნიტროგლიცერინს ყველაზე კარგად იწოვდა წვრილმარცვლოვანი მიწის სახეობა — კიზელგური (კაჟმიწის ნაირსახეობა), რომელიც ჰამბურგის მიდამოებში აუარებელი იყო.

ალფრედ ნობელმა შექმნა უშიშარი და სახმარად მოსახერხებელი ფეთქებადი ნივთიერება. ახალ ფეთქებად ნივთიერებას მან უწოდა: დინამიტი (სიტყვა „დინამიტი" ბერძნულად ნიშნავს ძალას) და 1867 წელს პატენტი აიღო თავის გამოგონებაზე.

აღსრულდა მრავალი მეცნიერისა და ინჟინრის ოცნება: მათ მიიღეს მძლავრი ენერგიის წყარო. დინამიტს იყენებდნენ გვირაბების გასაყვანად, თუნდაც ალპებში — სენ-გოტარდის გვირაბის მშენებლობის დროს, ამერიკაში — კლდოვან მთებში გვირაბის მშენებლობისას. დინამიტის გამოყენებით გაჰყავთ რკინიგზები, საავტომობილო გზები მთებში, მოიპოვებენ წიაღისეულს, მათ შორის ოქროს — კალიფორნიაში.

მრავალმხრივი იყო ალფრედ ნობელის მისწრაფებები, იდეები, გამომგონებლის ნიჭი. იგი მუშაობს ელექტროტექნიკის, ბიოლოგიის, ფიზიოლოგიისა და ოპტიკის დარგში, დაინტერესებულია სინთეზური კაუჩუკის, ხელოვნური ტყავისა და აბრეშუმის მიღებით. ამავე დროს, ინტენსიურად განაგრძობს ასაფეთქებელ ნივთიერებათა მშვიდობიანი მიზნით გამოყენების გზების ძიებას.

ალფრედ ნობელის საწარმოები ყველა კონტინენტის 20 ქვეყანაში მოქმედებდა. თავისი შემოსავლის ნაწილს იგი უგზავნიდა ძმებს, რომლებიც რუსეთში დარჩნენ და ამუშავებდნენ ბაქოს ნავთობის საბადოებს.

ნობელმა გადაწყვიტა, სიკვდილის შემდეგ თავისი კაპიტალი უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო ნაშრომთა ავტორებისათვის დაეტოვებინა. და აი მან დაწერა ანდერძი:

„პირველი ნაწილი თანხისა იმას, ვინც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩენა ან გამოგონება გააკეთა ფიზიკის დარგში, მეორე — მას, ვინც დიდ აღმოჩენას ან გაუმჯობესებას მიაღწევს ქიმიის დარგში, მესამე — მას, ვინც უდიდეს წარმატებას მოიპოვებს ფიზიოლოგიის ან მედიცინის დარგში, მეოთხე — შემქმნელს ისეთი მნიშვნელოვანი ლიტერატურული ნაწარმოებებისა, რომლებშიც აისახება კაცობრიობის იდეალები, მეხუთე — იმას, ვინც შეიტანს დიდ წვლილს ხალხების ურთიერთდაკავშირებაში, მონობის მოსპობაში, არსებული არმიების რაოდენობის შემცირებაში და ხელს შეუწყობს მშვიდობიან მოლაპარაკებას".

ეს ტექსტი მან შეადგინა პარიზში 1895 წლის 17 ნოემბერს, გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე. იგი ნაწილია მისი ანდერძისა, რომლის საფუძველზეც ცნობილი ნობელის პრემიები დაარსდა.

ალფრედ ნობელის ბრწყინვალე იდეამ მალე საყოველთაო აღიარება ჰპოვა. ნობელის პრემიები პირველად გაიცა 1901 წელს.

გარდა პრემიებისა, ლაურეატები ღებულობენ სპეციალურ დიპლომებსა და მედლებს. სტოკჰოლმში ჯილდოებს ფიზიკის, ქიმიის, მედიცინის, ლიტერატურისა და ეკონომიკის დარგებში გადასცემს შვეციის მეფე. ოსლოში აჯილდოებენ მშვიდობის პრემიის ლაურეატს.

ნობელის პრემიის პირველ ლაურეატებს შორის იყვნენ რუსი მეცნიერები ი. პავლოვი (1904) და ი. მეჩნიკოვი (1908), მწერალი ნ. ბუნინი (1933), საბჭოთა მეცნიერები ნ. ბასოვი, ა. პროხოროვი, პ. ლ. კაპიცა, ლ. კანტოროვიჩი, ლ. ლანდაუ, ნ. სემენოვი, ი. ტამი, ი. ფრანკი, პ. ჩერენკოვი, მწერლები: ბ. პასტერნაკი და მ. შოლოხოვი. მშვიდობის პრემიით დაჯილდოვდა აკადემიკოსი ა. სახაროვი.

**ა. ქარბელაშვილი**



ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი

## რას შვებოდით, სოლომან?

(ინტერვიუ სოლომან მორბელაძესთან თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ)

— გამარჯობათ, ბატონო სოლომან! როგორაა თქვენი საქმეები?

— ახლა — კარგად. ისეთი გატყავებული აღარა ვარ, მაშინ რომ ვიყავი. ხომ გახსოვთ, ვამბობდი, საშველი თუ დაგვადგება როდესმე, რომ კაცური ცხოვრება გვეღირსოსმეთქი? და აი, დადგა ეს დღეც. ახლა უკვე „შიშკა" კაცი ვარ, ფული თავზე საყრელად მაქვს, ჩავიგდე ხელში კაი თანამდებობა. ისე საქმეს არავის ვუკეთებ, თუ ასიანებს არ ჩამიჯიბავს. ზოგიერთი ჩემი ნაცნობი (ბესარიონ საქარაძესა და ქაიხოსრო ქათამაძეს ვგულისხმობ) ქეა ცარიელ-ტარიელი, მე კი ფულებში ვცურავ და ჩემი მაშვლობა რომ მახსენდება, სიცილით ვიგუდები.

— რახან მაშვლობა ახსენეთ, პატივცემულო სოლომან, ისიც გვითხარით, რა შეხედულებისა ხართ მასზე?

— შე კაი დედმამიშვილო, ვინღა მაშვლობს ახლა?! ახლანდელ ახალგაზრდებში ყველაფერი თავისით გვარდება, სხვისი დახმარების გარეშე. გაიპარებიან და მორჩა! მერე ქორწილიც რაღაც სასწაული იციან: თვითონ კი არ მღერიან, დაქირავებულ მუსიკოსებს ამღერებენ, ყველაფერს ვიდეოზე იღებენ და ქორწილსაც კოოპერატივში იხდიან.

— ერთი ეს გვითხარით, ბატონო სოლომან, სწავლა-განათლებაზე რა აზრისა ხართ?

— ოო, მაგაზეც მაქვს სათქმელი.

როგორც კი გავიგე, სწავლისათვის ფული არაა გადასახდელიო, შევიყვანე ჩემი შვილიც სკოლაში, მერე — უმაღლესში. ორი „ოცდაოთხის“ ფული კი დამიჯდა, მარა ახლა ისტორიკოსის დიპლომი აქვს ჯიბეში და ლუდის ბარის დირექტორია.

ახლა კი, თქვენთან დიდი ბოდიში და, სტუმრებს ველოდები, უნდა გავემზადო დასახვედრად, ახლანდელ „შკაფებს“ რა საჭმელი ეყოფათ... ისევ კოოპერატივს უნდა მივადგე, აბა სხვაგან არაფერი იშოვება და რა ვქნა... მეწვიეთ, ჩიტის რძეც კი მექნება სუფრაზე...

ეკატერინე კუპრეიშვილი,
ფოთი, მე-5 საშუალო სკოლა.

### ნეტავი ვიყო!

ნეტავი ვიყო ნაკადული,
წყარო ანკარა,
ნეტავ ზღაპარი, ან ბებერი
ჭადარი ვიყო,
ჩემი ტოტები ეხლებოდეს
ქარებს თამამად,
გულში მიკრთოდეს სიხარული,
რაიმე სიტკბო.
ნეტავი ვიყო ბობოქარი ზღვა
ზვირთიანი,
დაუღალავად ვერცხლის ზარებს
რომ აზრიალებს;
ნეტავი ვიყო ნაზი მდელო
ყვავილიანი,
ან დროშა — მაღლა იმედად
რომ აფრიალეს.
ნეტავი ვიყო მაფშალია
ენამზიანი,
ანდა არწივი, მძლავრი ფრთებით
ვხევდე ცის ტატნობს...
რა მშვენიერი,
რა ლამაზი,
თბილი დღე არის,
მე კი ვზივარ და განუწყვეტლივ
ამეებს ვნატრობ.

ლელა სამნიაშვილი,
გორი, VII კლასი.

### დამიფიცია

მიცურავს მთვარე,
ფიქრი ჩემი ცისკენ მიილტვის.
გადიდებული ანარეკლი
დროშის ფრიალებს...
დამიფიცია გოჯი მიწა
საქართველოსი,
წყარო ანკარა, ლურჯი ზეცა,
კლდენი ფრიალო.
დამიფიცია ქეთევანის
უდრეკი სული,
ხმლისა კვეთება უძლეველი
„მოკვდავი ღმერთის“,
წყალწითელას ხევს დამარხული
წმინდანთა ძვლები,
მინდვრის ყვავილთა თავმოდრეკა
თამარის ფერხთით.
დამიფიცია პოეზიად
შეკრული ღამე —
აპრილის მესხა — გული ჩვენი,
დამწვარ-დაგული.
დამიფიცია ყველაფერი,
რაც ქართულია,
დამიფიცია სიყვარული
ჩემი მამულის.

ირმა ზიოლაშვილი,
წითელწყარო, 1-ლი საშუალო
სკოლა, X კლასი.

### მინდა, სულ ლამაზი იყო!

დადგა 8 მარტი და ვფიქრობ, როგორ მივულოცო დედას ეს მშვენიერი დღესასწაული, რით გავახარო ამ დღეს.

შარშან დედიკოს იების თაიგული რომ მივართვი, ძალიან გაუხარდა. ჩემზე ბედნიერი იმ დღეს არავინ მეგულებოდა.

ახლაც ისევე მინდა გაგახარო, დედა! გპირდები, სკოლიდან ერთი ხუთიანი კი არა, მრავალი მოგიტანო.

ლანა ელოშვილი,
თბილისი, 142-ე საშუალო
სკოლა, VII კლასი.

### ალისუბანი

ძალიან მიყვარს დიდრონი მთებით გარშემორტყმული ჩემი სოფელი ალისუბანი, მისი აყვავებული მდელოები და კორდები, რომლებზედაც იები გადაიშლებიან ხოლმე. ხეები ტკბილად ემუსაიფებიან პატარა ბუჩქებს — გავიზარდოთ, დავმშვენდეთ და ალისუბანიც დავამშვენოთო.

სოფელში ერთი მდინარე გვაქვს — ჩხარა. ზაფხულობით სოფლის მთელი წვრილფეხობის თავშესაყარი ადგილი იქ არის. ყველანი მდინარეზე ჩადიან გასაგრილებლად; რომ არ მოიწყინონ, სიმღერებსაც შემოსძახებენ ხოლმე...

ახლა ზამთარია და თეთრი, ქათიბა თოვლითოა იწონებს თავს ჩემი სოფელი...

თამრიკო ხუჯაძე,
თერჯოლა, ალისუბნის საშუალო
სკოლა, IX კლასი.




ლელა კეძელაშვილი, სიღნაღი, ანაგის საშ. სკოლა, V კლასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლ ა ლ ი ც ქ ვ ი ტ ი შ ვ ი ლ ი

### ერთი დღეც კი...

კალამს მაშინ ვკიდებ ხელს,
როცა ამას გული მთხოვს.
ერთი დღეც კი არ მინდა
ულექსოდ და ურითმოდ.

მე ისე ვქსოვ ჩემს ლექსებს,
როგორც ჩიტი ბუდეს ქსოვს.
ერთი დღეც ნუ მაცოცხლოს
ურითმოდ და ულექსოდ.

### ხე უხუცესი — არაუკარია

დგას ხე — უხუცესი
დედამიწის ზურგზე,
ნეტავ რა სწყინს გულში
ან რა უხარია?
დროის მიმოქცევას
აუმღვრევლად უმზერს
და თავისას ფიქრობს
არაუკარია.

ათასობით შმაგი
ქარტეხილის მოწმეს
დედამიწის ძალა
ფარად უხმარია.

ასე იყო გუშინ,
ეს იქნება ხვალაც —
იდგომება მყარად
არაუკარია.

### ბოტანიკურ ბაღში

აქ ძალზე ბევრი სტუმარია
შორით მოსული —
ევკალიპტი თუ
ფინიკი თუ
ფიჭვი კედარის.
ქართული მიწის,
ქართული მზის
მადლით მოსილი
თავს თვითეული
მშვენივრად გრძნობს,
ყველა მხნედ არის.

აქ ჩვენებურიც ბევრი ცხოვრობს,
აბორიგენი —
ჩვენი მიმოზა,
ჩვენი ნაძვი,
ჩვენი ურთხმელი.
ყოველ მათგანში
დავინახე
ქართული გენი
და სიხარული მეუფლება
გამოუთქმელი.

და მაინც ზოგჯერ
უცნაური
სევდა მეძალვის,
არ ვიცი,
არის რეალური
თუ მითიური:
ღამით ჩემს ურთხმელს
მშვიდად სძინავს,
ხოლო ევკალიპტს
ცა ეზმანება
მშობლიური —
ავსტრალიური.

### იმედი

ამ ცხოვრების გზაწვრილზე
ხან რა მხვდება, ხან — რა:
ხან მშიერი მგლის ხროვა,
ხანაც ცხვრების ფარა.

უკუნ მოსახვევებში
ხან ვინ მხვდება, ხან — ვინ:

## ი ნ გ ა მ ა მ წ ო რ ი ა

### მიშა ველიჯანი

შენ მოგელოდნენ საქართველოში,
შენ მოგელოდა მშობელი მიწა,
„როგორც გაზაფხულს ელიან მთაში“,
როგორც ელიან დაკვირტვას ხისას.

შენ მოგელოდა კავკასიონი,
შენი თბილისი, შენი მთაწმინდა,
შენ კი შორეულ, უცხო მხარეში,
უცხო დედების ცრემლი გაწვიმდა.

გაწვიმდა ცრემლი, უხვად მდინარი...
ტიროდა ზეცა, გრგვინავდა მიწა,
ვერ დაბრუნდები საქართველოში,
არ დაგეყრება ქართული მიწა.

ველარ იხილავ შენს სატრფო მამულს,
ვერც მშობელ დედას ველარ იხილავ,
შენ თავს გასწირავ სამშობლოსათვის
და უცხო მიწა მიგიღებს შვილად.

შენ მოგელოდნენ საქართველოში,
შენ მოგელოდა მშობელი მიწა,
„როგორც გაზაფხულს ელიან მთებში“,
როგორც ელიან ამოსვლას მზისას.

### გამარჯობა, ჩემო მამულო!

მთა მთას ამშვენებს, ხეთა რიგს — ჩრდილი,
ბალახს — ცვრის ნამი, ბროლისგან
თლილი,
ტყეს — ფრინველების ნაზი გალობა,
ქალაქს — ხმაური, ხალხთა მრავლობა,
სოფელს — თონეში ჩაკრული პური,
ბავშვთა ყიჟინი, მათი ხმაური,
ძროხის ბღავილი, მამლის ყივილი,
ტყეში გაბმული ჰოტის კივილი.

ხან თეთრი ანგელოზი,
ხან ალქაჯი შავი.

ცა ხან ტყვიისფერია,
ხან ულაჟვარდესი,
ხან მომესმის გოდება,
ხან გალობა მესმის.

მაგრამ არც კარგი მიკვირს,
ვერც მაშინებს ავი:
გზის ბოლოს ხომ მიმელის
ჩემი სალოცავი!

## მესმის ძახილი

მხოლოდ სახელში, მარტო სახელში
რა დიდი სიბრძნე არს ჩაქსოვილი...
ოჰ, ბეთანიის შემოგარენში
თვალწინ მიდგება სვეტიცხოველი.

მხოლოდ სახელში...
მარტო სახელში —
გრემი... ოპიზა... ხანძთა... ვარძია...
პატარა ქალის მესმის ძახილი —
ქართვლის იმედის —
აქა ვარ, ძია!

გზად მიმავალი ურმის ჭრიალი,
ყანაში ცელის მარჯვედ ტრიალი,
იქით „ლილეო“, აქეთ „ჩაკრულო“...
გამიძლიერდი, ჩემო მამულო!...

## გაფრენილი ბავშვობა

ვით ლამაზი სიზმარი,
გამიფრინდა ბავშვობა,
მენატრება ძალიან,
თამაში და გართობა.
მაგრამ წლები მიჰქრიან
უხილავი მარხილით,
უკან მომდევს ბავშვობის
იდუმალი ძახილი.
მემატება წლები და
მალე ახალგაზრდობაც
სანატრელი გახდება,
როგორც ტკბილი ბავშვობა.

# სამყარო უფრო ხნიერი უნდა იყოს

თანამედროვე შეხედულებით, სამყაროს განვითარების ახლანდელი ეტაპი დაიწყო ე. წ. „დიდი აფეთქების“ მომენტიდან, რომელიც 10-20 მილიარდი წლის წინათ მოხდა. დედამიწა დაახლოებით 4,5 მილიარდი წლის წინათ წარმოიქმნა, სიცოცხლის ჩასახვიდან კი 3,8 მილიარდმა წელმა გაიარა. ამრიგად, არაორგანული ნივთიერების ევოლუციის წილად, რაც ცოცხალი ორგანიზმების გაჩენით დამთავრდა, რამდენიმე ასეული მილიონი წელი რჩება. რაც საამისოდ აშკარად არასაკმარისი დროა. გამოდის, რომ ან სიცოცხლეს ჰქონია თვითწარმოქმნის ძალზე სწრაფი (ცხადია, დროის გეოლოგიური მასშტაბით) თვისება, ან კიდევ სამყარო და ჩვენი პლანეტა გაცილებით უფრო ხნიერები არიან, ვიდრე აქამდე ვფიქრობდით. მაგრამ, თუკი ასეა, როგორ მივუსადაგოთ ეს დასკვნა კოსმოლოგიას?

შესაძლოა, პრობლემის გადაჭრის გასაღებად გამოდგეს ჰიპოთეზა, რომელიც ჯერ კიდევ 1917 წელს ა. აინშტაინმა წამოაყენა. იმყოფებოდა რა სამყაროს უცვლელობის იდეის ტყვეობაში, მან ფარდობითობის თეორიის განტოლებაში შეიტანა კიდევ ერთი წევრი — ე. წ. კოსმოლოგიური მუდმივა. იგი ითვალისწინებდა სამყაროში განზიდვის უნივერსალური ძალის არსებობას. ეს ძალა დამოკიდებულია მხოლოდ სხეულთა შორის მანძილზე და დამოკიდებული არ არის მათ მასებზე, რომლებიც მიზიდულობის ძალებს აწონასწორებენ და ხელს უშლიან მანძილის ცვლას გალაქტიკებს შორის.

მას შემდეგ, რაც საბჭოთა მათემატიკოსმა ა. ფრიდმანმა ოციანი წლების დასაწყისში დაადგინა, რომ სამყაროს ნივთიერებას მშვიდად ყოფნა არ შეუძლია, ხოლო ამერიკელმა ასტრონომმა ე. ხაბლმა აღმოაჩინა გალაქტიკათა „გაბნევის“ ეფექტი (1929 წ.), კოსმოლოგიური მუდმივას საჭიროება მოიხსნა. მაგრამ მოგვიანებით გულმოდგინე ანალიზმა ცხადყო, რომ ამ მუდმივას უფლება აქვს შედიოდეს განტოლებაში, და განზიდულობის არარსებობის მტკიცება მთლად საფუძვლიანად არ გამოიყურება. ყოველივე ამაში ჩვენთვის არსებითია ერთი რამ: განზიდვის ძალთა არსებობას შეუძლია მნიშვნელოვნად გაზარდოს სამყაროს ასაკის შეფასების სიდიდე და, ამრიგად, ცაიტნოტიდან გამოიყვანოს ბიოლოგიური ევოლუცია.

„დიდი აფეთქების“ დასაწყისში, როდესაც მატერიის სიმკვრივე კოლოსალური სიდიდისაა, მიზიდულობა ხელს უშლის გაფართოების (ანუ „გაბნევის“) პროცესს. შემდეგ, სიმკვრივის შემცირებასთან ერთად, მიზიდულობის ძალა უტოლდება განზიდვის ძალას და ამის შედეგად დგება გაფართოების შეყოვნების მომენტი — ე. წ. კვაზისტატიკური ფაზა. ეს ფაზა აქვე მოყვანილ გრაფიკზე გამოსახულია ჰორიზონტალური სწორი ხაზით, რომელიც შეიძლება 100-200 მილიარდი წლის განმავლობაში გრძელდებოდეს, მაგრამ რატომ მაინცდამაინც 100-200 მილიარდი წლისა? საქმე ისაა, რომ ვარსკვლავთა წიაღში მიმდინარე თერმოატომგულური რეაქციების დროს მიმდინარეობს წყალბადის ჰელიუმად გარდაქმნის შეუქცევადი პროცესი. დაკვირვების თანახმად, სამყაროს ხილული ნაწილის წყალბადის ატომთა რამდენიმე ათეული პროცენტი უკვე გარდაიქმნა ჰელიუმის ატომებად. ამას, ბევრი-ბევრი, დაახლოებით 100 მილიარდი წელი დასჭირდებოდა. სამყარო რომ ორჯერ უფრო ხნიერი იყოს, იგი ახლა თითქმის




მთლიანად „ჰელიუმოვანი“ იქნებოდა — ამ დროში დაიწვებოდა მთელი წყალბადი, ვარსკვლავებიც სულ ოდნავ იბჟუტებდნენ და ა. შ. რაკი მსგავსი არაფერი მომხდარა, სამყარო თერმოდინამიკურად ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდა ყოფილა და მისი ასაკის ზემო შეფასებად შეიძლება მივიღოთ დასახელებული რიცხვები.

ამრიგად, კოსმოლოგიური მუდმივას შემოტანას შეუძლია მოარიგოს კოსმოლოგია და ბიოლოგია: სწორედ კვაზისტატიკური ფაზის უზარმაზარ ხანგრძლივობას შეუძლია ახსნას არაცოცხალი ნივთიერების ცოცხალ ნივთიერებად გარდაქმნის პროცესი. და პირიქით, თვით სიცოცხლის და, მაშასადამე, ჩვენი არსებობაც შეიძლება ჩაითვალოს იმის არგუმენტად, რომ ბუნებაში არსებობენ განზიდვის ძალები, ისეთივე ფუნდამენტურნი, როგორიც მსოფლიო მიზიდულობის ძალებია.

ჟურნალი
„ტეხნიკა — მოლოდიოჟი“

გ რ ა ფ ი კ ზ ე: სამყაროს ასაკი (T), რომელიც ხაბლის მუდმივათია განსაზღვრული. შესაძლოა არ შეესაბამებოდეს მის ნამდვილ ასაკს.

# ჩვეულება მაქვს ასეთი

ი. ერმოლაევი

მხატვარი
თემურ ფხიკიძე

„სტროიმონტაჟის“ კანტორის უფროს ბუღალტერს კონსტანტინ პეტროვიჩ სლიჟიკოვს არ სჩვეოდა, შინაურებისთვის გაეზიარებინა თავისი სამსახურის ახალი ამბები. მაგრამ დღეს სხვა დღე იყო — პირველი აპრილი — და თავის შეკავება ვერ შეძლო.

ნავახშმევს კოსტანტინ პეტროვიჩი მოხერხებულად მოკალათდა ღრმა, რბილ სავარძელში და სიამოვნებით უთხრა მეუღლესა და ცამეტი წლის ვაჟიშვილს:

— რომ იცოდეთ, რა დღე იყო დღეს! მომავალ პირველ აპრილამდე არ დამავიწყდება.

ბორკამ უმალ ყურები ცქვიტა და მამას ახლოს მიუჩოჩდა. მეუღლე მაგიდას უჯდა.

— პირველად ანდრეი ანდრეიჩი გავათამაშეთ, — ხელების ფშვნეტით დაიწყო თხრობა ოჯახის უფროსმა. — როგორც კი ოთახში შემოვიდა, მაშინვე გამოვუცხადეთ: „მადლობა უთხარი უფროსობას, პრემია გამოგიწერეს“. ანდრეი ანდრეიჩი კარგა ხანია ელოდა პრემიას და მაშინვე დაიჯერა, სახე გაებადრა, როგორც შენ, ბორკა, არდადეგების წინ; უმალ ცოლს დაურეკა, უთხრა, შაბათისათვის მეგობრები დაპატიჟეო. ვერა ვასილევნას კი — ეს ჩვენი პროფკავშირის მოღვაწეა — მაგიდაზე ბარათი დავუდეთ: „ადგილკომის სხდომა არ შედგება“, — ვითომ მის არყოფნაში სამმართველოდან დარეკეს. მას ძალიან გაუხარდა, უნდოდა, მაშინვე დაერეკა მეგობარი ქალისთვის და შეხვედრაზე შეთანხმებოდა, მაგრამ მემანქანე სონეჩკამ ურჩია: „თქვენ თვითონ დააზუსტეთ თათბირის ამბავი, იქნებ გაგათამაშეს, დღეს ხომ პირველი აპრილიაო...“ ამასობაში ანდრეი ანდრეიჩმა ბუღალტერიაში დარეკა, იქ, ცხადია, არავითარი ბრძანება არ იყო. ორივეს ძალიან ეწყინა. ბავშვებივით არიან პირდაპირ. ხუმრობა სულ არ ესმით! — კონსტანტინ პეტროვიჩმა გადაიხარხარა და დაუყოვნებლივ განმარტა სიცილის მიზეზი: — დღეს კიდევ ერთი ბებრუხანა მოვიდა. თურმე ოდესღაც ჩვენთან უმუშავნია. არც ვიცნობ. რომელიღაც თანამშრომელს მისთვის საფოსტო ყუთში ბარათი ჩაუგდია, ვითომ ორი თვით სამუშაოდ ვიწვევდით. ისიც მოვიდა, და რომ გაიგო, მომატყუესო, მთლად გადაირია. ორი საათი მოვუნდი თქვენთან მოსვლას და თქვენ კი თურმე გამათამაშეთო. კიდევ კარგი, ამ დროს უფროსი შემოვიდა, იცნო და მართლა შესთავაზა ზაფხულში შვებულებაში მიმავალთა მაგიერ მუშაობა. ასე რომ, გათამაშება საქმიანი წინადადებით დამთავრდა და ბებრუხანაც კმაყოფილი წავიდა. — კონსტანტინ პეტროვიჩმა გამარჯვებულის იერით გადახედა ცოლ-შვილს და დაიტრაბახა: — მე კი არ წამოვეგე, თუმცა ძალიან ეცადნენ, გავეთამაშებინე...

— აი, მესმის! — თქვა ბორკამ და გაოცებისაგან პირი დააღო. მას მიაჩნდა, რომ იმის დაჯერება, რასაც მამამისის თანამშრომლები ამბობდნენ ერთმანეთის გათამაშებისას, ძალიან იოლი იყო.

— შენს გათამაშებას რითი ცდილობდნენ? — დაინტერესდა ცოლი.

— ძალიან შაბლონურად და უინტერესოდ! მითხრეს, ვითომ სკოლიდან დარეკეს ბორკას თაობაზე და მთხოვეს, შემევლო სკოლაში. აბა, საიდან უნდა იცოდნენ ჩემი ტელეფონი, ეგეც რომ არა, დიდი ხანი არ არის, რაც სკოლაში ვიყავი. ასე რომ, ვერ გამაცურეს. ისე კი, ანდრეი ანდრეიჩი ძალიან ბუნებრივად ლაპარაკობდა. შეიძლებოდა დაეჯერებინა კიდეც.

— სულ ტყუილად არ დაგიჯერებია, — უთხრა ცოლმა, — მე ვრეკავდი. მე კი მარია სერგეევნამ დამირეკა. ჩვენი ყმაწვილი ცუდად იქცევა თურმე.

ბორკამ უცებ ჩამოყარა ყურები. რა ერთბაშად გასცა დედამ! შესვენებაზე დაფის საწმენდი ჩვარი დაფერთხა, უნდოდა თავის გარშემო ცარცის მტვრის საფარი გაეკეთებინა, ეს იყო და ეგ. მორიგე რაიკა საჩკოვა კი მაშინვე კლასის დამრიგებელთან გავარდა: „სლიჟიკოვმა იატაკი დასვარა და გაწმენდა არ უნდაო“. — ჰოდა, ატყდა ერთი ამბავი.

ბორკას პირველი აპრილი რომ გახსენებოდა, ყველაფერს თვალისდახამხამებაში მოწმენდდა და როცა მარია სერგეევნა მოვიდოდა და ნახავდა, ყველაფერი სუფთად იყო, ეტყობა: „რაეჩკამ პირველი აპრილი მოგილოცათო“, და ყველანი გაიცინებდნენ. აფსუს, როგორ დაავიწყდა. მათთან არავის არავინ არ გაუთამაშებია.

— კიდევ რა ჩაიდინე? — უსაყვედურა შვილს კონსტანტინ პეტროვიჩმა, მაგრამ უმალვე მოლბა: რა გაეწყობა, ხვალ დილით დავრეკავ სკოლაში; ახლა იქ მაინც აღარავინ იქნება. ეგეც რომ არა, დღეს ისეთი დღეა, ხასიათი არ მინდა წავიხდინო.

ბორკა გამხნევდა. უცებ მას ძალიან მოუნდა, ახლავე, ვიდრე ეს უჩვეულო პირველი აპრილის დღე გაილეოდა, რომელიმე თავისი თანაკლასელი გაეთამაშებინა, ალბათ უმჯობესი იქნებოდა, რაზმის საბჭოს თავმჯდომარე, ირა ხოტოვა. გაუჭირა საქმე ამდენი ჭკუის დარიგებითა და შეგონებებით: აბა, ნიშნები გამოასწორე, აბა, გაკვეთილებზე ნუ ლაპარაკობ, ფანჯარაში ნუ იყურებიო! ნამდვილი ზედამხედველია! სწორედ ისეთი რამე უნდა მოვიგონო, რომ ხვალ ორიანი მიიღოს. თითქმის ხუთოსანია და — ორიანი! მაშინ დაანებებს თავს მბრძანებლობას. მაგრამ რა მოვიგონო?

ბორკამ საათს დახედა. ირა მას

ყოველდღე ამ დროს ურეკავდა და შეახსენებდა ხოლმე: დღის რეჟიმის თანახმად, ახლა დროა გაკვეთილების მომზადებას შეუდგე და თუ რამე ვერ გაიგე, დამირეკეო. მაგრამ ირა რატომღაც არ რეკავდა. იქნებ ეზოში თამაშში გაერთო. თუმცა ზარს დიდხანს არ დაუგვიანია. „ეგეთი ტიპი განა რეჟიმს დაარღვევს?! — მოიღუშა ბორკა, როგორც კი ყურმილში ირას ხმა გაიგონა. ყველაფერი



განაწილებული აქვს, ჯერ მათემატიკას ამზადებს, რომელიც ყველაზე მეტად უჭირს, მერე — რუსულს...“ და ბორკას უცებ გაუნათდა გონება. როგორც კი ირამ ჰკითხა, დაიწყე თუ არა გაკვეთილების მომზადებაო, ბორკამ უპასუხა:

— ახლა დავჯდები, ხვალისთვის ხომ მათემატიკა არა გვაქვს მოსამზადებელი...

— როგორ თუ არა გვაქვს? — იკითხა ირამ.

— შენ რა, არ იცი? შენთვის არ დაურეკავთ? — მოსინჯა ნიადაგი ბორკამ.

— იქნებ რეკავდნენ კიდეც, — თქვა ირამ. — მე და დედა შინ არ ვიყავით. ჩემთვის ფეხსაცმლის საყიდლად წავედით. ამიტომ დამაგვიანდა შენთან დარეკვაც. რა იყო, რა მოხდა?

— განსაკუთრებული არაფერი. — მხიარულად განაცხადა ბორკამ. — ხვალ მათემატიკა არ გვექნება, მასწავლებელი ავად გახდა. იმის მაგივრად ზედიზედ ორი რუსული ჩაგვიტარდება. მე ჟენკა სტეკლოვმა და ლარისა ლარიონოვამ მითხრეს, — მან განგებ დაასახელა ის ბავშვები, რომელთაც ტელეფონი არ ჰქონდათ და ირა ვერ შეძლებდა, შეემოწმებინა მისი ნათქვამი. — მარია სერგეევნა მე თვითონ შემხვდა ქუჩაში და მითხრა, პირველი გაკვეთილი გამოკითხვა გვექნებაო.

— გმადლობთ, რომ გამაფრთხილე, — გაუხარდა ირას. — ამ მაღაზიებისაგან ისე დავიღალე, აღარაფრის თავი აღარა მაქვს.

— აბა, ხვალამდის! — სიხარულით ჩასძახა ყურმილს ბორკამ.

აი, გათამაშებაც ამას ჰქვია! თუ ხვალ მათემატიკის მასწავლებელმა გაიძახა, ორიანი განაღდებული აქვს. რაც მთავარია, ამ ოინისთვის ის პასუხს არ აგებს. ყველამ იცის: „დღეს პირველი აპრილია, მოტყუება ადვილია“. თუ მოტყუვდა, თავისთავს დააბრალოს. დოყლაპია არ უნდა იყო!

ამ პირველმა წარმატებამ ბორკას ფრთები შეასხა. ეზოში გავარდა და პირველი სართულის ფანჯარაზე თავის თანაკლასელ ზინას დაუკაკუნა.

— რა გინდა? — ფანჯარაში თავი გამოყო ზინამ.

— სად არის დედაშენი?

— სურსათზე წავიდა მაღაზიაში.

— საქმეც მაგაშია, — გაჯავრებით უთხრა ბორკამ. — შენ ზიხარ და ყურებს აბარტყუნებ, დედას კი ტვირთავ. დედაშენი ეგერ, მოსახვევში, მთლად ფერდაკარგული ზის მერხზე, სულს ძლივს ითქვამს, ეტყობა, უჭირს მძიმე ჩანთის თრევა.

ზინას დედამ სულ ახლახან იავადმყოფა გრიპით, მერე ფილტვების ანთება გადაიტანა, ამიტომ ზინა ძალიან შეშინდა, სწრაფად მოისხა შალი და ეზოში გავარდა.

— სად ზის? აბა სად? — შეანჯღრია მან ბორკა.

— აბა მე რა ვიცი, — გაიცინა მან. — „დღეს პირველი აპრილია, მოტყუება ადვილია“!

— მომატყუე? — ზინას ცრემლები წამოსცვივდა. — ასეთი ხუმრობა შეიძლება? — უსაყვედურა მან ბორკას.

— აბა, სხვანაირად როგორ იქნება? — ცოტა არ იყოს, დაბნეულად ჩაილაპარაკა მან. — დღეს ყველა ერთმანეთს ატყუებს. მამაჩემთან სამსახურში ერთი ბებრუხანა, იცი როგორ გააპამპულეს?..

მაგრამ ზინამ არ მოუსმინა, შინ გაიქცა.

„ხუმრობა არ ესმის“, — თქვა ბორკამ ზინას მისამართით, მერხზე ჩამოჯდა და იმაზე დაიწყო ფიქრი, კიდევ ვინ შეიძლებოდა მოეტყუებინა.

ამ დროს მათი სადარბაზოდან უფროსკლასელი ვიკა გამოვიდა, რომელსაც ძალიან უყვარდა ყვავილები. ბორკა უმალ მივარდა:

— ჩვენი შესახვევის ბოლოს, ფარდულში, მიმოზებს ყიდიან. ძალიან იაფია, ტოტი — 10 კაპიკად, — უთხრა ვიკას, თან გუნებაში ეცინებოდა.

მაგრამ ვიკამ თვალები მოჭუტა და თითი დაუქნია.

— ტყუილად ცდილობ, მე დღეს უკვე მომატყუეს;

ვიკასთან წარუმატებლობამ მას გული ვერ გაუტეხა, წინ მთავარი გათამაშება იყო. ბორკამ გადაწყვიტა, მამა გაეცურებინა. მაგრამ ამისათვის სერიოზული მომზადება იყო საჭირო. იმას ასე ადვილად ვერ მოატყუებ, სამსახურშიც ხომ ვერ მოუხერხა ვერავინ.

ბორკა შინ დაბრუნდა და თავის ოთახში ჩაიკეტა, ვითომ გაკვეთილებს ჩაუჯდა. ამოიღო ფლომასტერი,

თეთრი, სქელი ქაღალდის დიდი ფურცელი და შეუდგა ჩანაფიქრის განხორციელებას. თავდაპირველად ლექსი შეთხზა და ფურცელი მსხვილი ასოებით შეავსო; ლექსის გვერდზე დახატა სქელკისერა მსუქანი კაცი, რომელსაც თავზე გრძელი ხელები ჰქონდა შემოჭერილი. მერე თავის ადგილი მრგვლად ამოჭრა და შიგ მამამისის სურათი ჩასვა. ძალიან კარგად გამოვიდა. სურათზე მამა ლექსისაკენ იყურებოდა, თითქოს ლექსი წაიკითხა და თავში ხელი იტაცა: „ეს რა მომივიდა, როგორ წამოვეგე ანკესზეო“.

ბორკამ ნახატიანი ქაღალდი საწერ მაგიდაში შემალა, რომ მამას დრომდე არ ენახა და სასტუმრო ოთახში გავიდა. ერთხანს ჩუმად იყო, მერე კი ვითომცდა დანანებით უთხრა მამას:

— საწყენია, რომ დღეს პირველი აპრილია.

— ვითომ რატომ? — გაიკვირვა კონსტანტინ პეტროვიჩმა.

— მე შენ საჩუქარი მოგიმზადე „მარჯვე ხელების“ წრეში. შენ კი, რახან პირველი აპრილია, შეიძლება არ დამიჯერო.

— შინ მოგეტანა ეგ შენი საჩუქარი, გეჩვენებინა და მეც დაგიჯერებდი, — თქვა კონსტანტინ პეტროვიჩმა.

— მოტანილი მაქვს, — გაუბედავად თქვა ბორკამ.

— მოტანილი თუ გაქვს, მაჩვენე, რაღას უცდი! —დაინტერესდა კონსტანტინ პეტროვიჩი.

— ახლავე! — გაუხარდა ბორკას. მართლა გაუხარდა, მამას ხომ აზრადაც არ მოსდიოდა, რომ ატყუებდნენ.

ბორკა თავისი ოთახისაკენ გაიქცა, მაგრამ კარებში მოტრიალდა და მამას უთხრა:

— ოღონდ შენ სავარძელში ჩაჯექი და თვალები დახუჭე. როცა გეტყვი, მაშინ გაახილე. ასე უფრო საინტერესო იქნება, ჯერ საჩუქარი მაგიდაზე უნდა გავშალო.

კონსტანტინ პეტროვიჩმა თვალები მოჭუტა.

— ეს პირობის დარღვევაა! — პროტესტი განაცხადა ბორკამ. მე ვხედავ, რომ მითვალთვალებ.

— კარგი, კარგი, თუ ეჭვი გეპარება, მაშინ პირსახოცი მოიტანე და შენ თვითონ ამიხვიე თვალები, — ხალისით დაეთანხმა კონსტანტინ პეტროვიჩი.

ბორკამ აბანოს დიდი პირსახოცით აუხვია მამას თვალები, მერე თავისი ოთახიდან სწრაფად გამოიტანა ფოტოსურათიანი პლაკატი და მაგიდაზე დაამაგრა, ბოლოს ხმამაღლა გასცა განკარგულება.

— ერთი, ორი და სამი!.. მოიხსენი სახვევი და შეხედე!

კონსტანტინ პეტროვიჩმა სასწრაფოდ მოიხსნა პირსახოცი და დაინახა ქაღალდის დიდი ფურცელი. უმალ თვალში მოხვდა თავისი სურათი, რომელიც მიმაგრებული იყო მაიმუნივით გრძელხელებიან, სასაცილო სქელ ტანზე. ფოტოსურათი მსხვილი ასოებით დაწერილი ტექსტისკენ იყურებოდა. კონსტანტინ პეტროვიჩმა კითხვა დაიწყო:

მამა, სამსახურში შენ ვერავინ
მოგატყუა,
სამაგიეროდ ღვიძლმა შვილმა
გაგათამაშა!
არავითარი საჩუქარი მე შენთვის
არა მაქვს,
გაგაპამპულა შენმა ვაჟმა —
ბორია სლიჟიკოვმა.

კონსტანტინ პეტროვიჩმა ლექსი ჩაამთავრა და წამოენთო:

— ამას აკეთებდი ამდენ ხანს, შე ლაწირაკო?! ყველა ბავშვი გაკვეთილებს უზის, ჩემი კი რაღაც სიმახინჯეებს ჯღაბნის და ამასთანავე ჩემს სურათებს აფუჭებს! როგორც ჩანს, საკმაოდ არ მოგხვედრია ჩემგან, შე საძაგელო! — კონსტანტინ პეტროვიჩი სავარძლიდან წამოვარდა.



— კოსტია, შენ რა, გადაირიე?! — შეაჩერა ცოლმა.

— შენ თვითონ არ ამბობდი: „დღეს პირველი აპრილია, მოტყუება ადვილიაო?“ — წაიბურტყუნა დედის ზურგს ამოფარებულმა ბორკამ. მას არაფრით არ ეგონა, რომ მამა ასე გაბრაზდებოდა. პირიქით, ფიქრობდა, მამა მხიარულად გაიცინებს და შემაქებსო. მაგრამ საქმეში ხარ?! მამა მთლად გამხეცდა.

— შენ რომ სამსახურში ხალხი მოატყუე, კარგი იყო? — ისევ წაიბურტყუნა ბორკამ და კარებისკენ დაიხია.

— ის მე ვიყავი, შენ კი, შე ლაწირაკო, უფროსისთვის ჭკუის სწავლება გადაწყვიტე, არა? — არ ცხრებოდა კონსტანტინ პეტროვიჩი.

როცა მამა ოთახიდან გავიდა, ბორკას უფრო მოეცა გული — „ეგ რა გამოდის, ესე იგი, უფროსებს შეუძლიათ, მე კი უფლება არა მაქვსო?“ — შეეცადა თავის გამართლებას.

— არც უფროსებისთვისაა მოსაწონი ასეთი დაუნდობელი ხუმრობა. პირველი აპრილი სასიამოვნო ხუმრობების დღეა და არა გულისტკენისა, — თქვა დედამ და გაიღიმა. — იცი, ბაბუაშენმა — მამაჩემმა, ამ ათი წლის წინათ პირველ აპრილს როგორ გამათამაშა? სამსახურიდან რომ დავბრუნდი, მეუბნება: „ტელეფონის დადგმაზე უარი გვითხრეს, აი, შეტყობინება მოვიდა, ფოსტის ყუთიდან ამოვიღეო“. გამოვართვი ღია ბარათი, ზერელედ შევავლე თვალი, რომ დამეხია და გადამეყარა. ბარათში კი წერია: „თქვენს ბინაში ტელეფონი დადგმული იქნება ამა და ამ რიცხვში. გთხოვთ, სატელეფონო კვანძში მობრძანდეთ და გადაიხადოთ სატელეფონო აპარატისა და დადგმის ღირებულება“. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა!

— ოღონდაც! — დაეთანხმა ბორკა და უცებ მოუნდა დაერეკა ირასთვის და თავისი ბოროტი ტყუილის შესახებ ეთქვა.

თარგმნა ზ. ხაჩინოელმა



# კონსტანტინე კახაი და თარხუჯი

მეცხრე საუკუნე საქართველოში დიდი პოლიტიკური ძნელბედობის დრო იყო.

853 წელს საქართველოში ცეცხლითა და მახვილით შემოიჭრა არაბი სარდლის ბუღა თურქის მრავალრიცხოვანი ლაშქარი და გადაწვა თბილისი. ამ დარბევის დროს დაიღუპა 50 ათასი თბილისელი. შემდეგ თბილისიდან გორის Ⴑანახებამდე ქვეყანას დიდად ავნო ჯარმა, რომელსაც ზირაქი სარდლობდა. და აი, გორის მახლობლად, სოფელ რეხასთან, მტერს გზა გადუღობა ქართლის ლაშქარმა. მას წინამძღოლობდნენ კონსტანტინე, რომელსაც შინაურულად კახაისაც ეძახდნენ, და მისი შვილი თარხუჯი.

ქართველებმა ძალა მოიცეს და მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მომხდურს. მაგრამ გადამწყვეტ ბრძოლაში ურიცხვი მტრის მიერ იძლივნენ. კონსტანტინე კახაი და თარხუჯი ტყვედ იგდეს და თბილისში ჩაიყვანეს. ბუღა თურქი ამ დროს ალვანში ლაშქრობდა, და ზირაქმაც შებორკილი მამა-შვილი იქ მიჰგვარა სარდალს.

როდესაც ბუღა თურქმა შეიტყო, რომ ქართლის მთავარი 85 წლის მოხუცი იყო, ძალიან გაიკვირვა თურმე და თქვა: „როგორ, ეს 85 წლის მოხუცი სარდალი ებრძოდა ჩემს უძლეველ მხედრობასო?!“

— დიახ, სარდალო, — დაუმოწმებია ზირაქს. — მეც გამაკვირვა დიდად მამა-შვილის გმირობამ. მაგათი ლაშქარი სიმამაცით ჩვენსას როდი ჩამოუვარდებოდაო.

ბუღა თურქი ახლა ტყვე მამა-შვილს მიუბრუნდა თურმე და თვალები დაუბრიალა: „ნუთუ არ იცით, რომ ჩემგან დაუმარცხებელი ვერავინ წავა, მე ყველა განდგომილი ვძლიე და ვინც შემებრძოლება, ყველა დამარცხდებაო?!“

შემდეგ ბუღა თურქს უბრძანებია: ურჩიეთ მაგათ, დაგმონ თავიანთი სჯული, იწამონ ისლამი, ჭეშმარიტი სარწმუნოება ჩვენი, თუ არა და, წამებულ იქნანო.

მამა-შვილმა მტკიცე უარი განაცხადა სჯულის შეცვლაზე.

იმდროინდელი ისტორიული წყაროების მოწმობით, ტყვე მამა-შვილი ალვანიდან თბილისს ჩაუყვანიათ და დილეგში ჩაუყრიათ.



აქვე უნდა ვთქვათ ერთიც: კონსტანტინე-კახაი მეტად მდიდარი და დიდად გულმოწყალე კაცი ყოფილა. აკად. ივ. ჯავახიშვილის ცნობით, „დიდ ქონებასა და შეძლებას მისი კეთილი გული არ გაუციებია, გაჭირვებულთა და ტვირთმძიმეთა დახმარება სასიამოვნო მოვალეობად ჰქონდა მიჩნეული“. ჰოდა, კონსტანტინეს დასჯის მოლოდინში წიგნები მიუწერია ქალაქის მამასახლისისა და მონასტრების მესვეურთათვის, ასე და ასე განაგეთ ჩემი ქონება და მამულიო და თანაც დაუძენია: „შეავედრეთ ჩემი და ჩემი შვილის სული უფალს, რამეთუ ხელთა პყრობილი ვართ ურჯულოთა“.

ბუღა თურქმა მამა-შვილი არაბთა ხალიფასთან გააგზავნა სამარიაში. საფიქრებელია, რომ იგი მოერიდა წარჩინებულ ტყვეთა დასჯის გამო პირად პასუხისმგებლობას და გმირი მამა-შვილი ხალიფას სამართალს მიანდო.

წარუდგინეს თუ არა ქართველი ტყვეები, ხალიფა ჯაფარმა ავად შეხედა მათ და უთხრა: „ახლა თქვენ ჩემს ხელთა ხართ, მე მაქვს უფლება კეთილსა და ბოროტზედაც. ისმინეთ ჩემი: იწამეთ ჩვენი ჭეშმარიტი სჯული და უარყავით თქვენი მცდარი სჯული. შენ, გხედავ, მოხუცი ხარ და დედაკაცისაგან შობილ კაცს ღმერთად როგორ აღიარებ? გახდი ჩემი თანამზრახველი და კეთილსა და ღირს პატივს მიიღებ ჩემგან, დიდი მოყვასი ვიქნები შენს ნათესავთათვისაც, არა და მოკვდებით „პირითა მახვილისათაო“.

მამა-შვილს ამაზე მხოლოდ ერთი უპასუხია: „თქვენს ხელთა ვართ ხორციელად. მაგრამ არ გვეშინია შენი მახვილისა. თქვენ მხოლოდ შეგიძლიათ გვავნოთ, ჩვენს სულს კი ვერ დათრგუნავთ“.

ხალიფა ჯაფარმა ბრძანა:

„საპყრობილეში ჩაყარეთ, თვალით არ დამანახოთო“.

როგორც ჩანს, შემდეგ ხალიფას შეუნანებია თავისი სიმკაცრე, რადგან პყრობილ მამა-შვილს მან ისლამზე მოქცეული ორი არმენი ნახარარი მიუგზავნა და დაარიგა: „თქვენ მაინც ურჩიეთ, კეთილ გზაზე დადგნენო“. ნახარარები მივიდნენ საპყრობილეში და უთხრეს კონსტანტინეს: მთავარო! ხომ კარგად იცით, ჩვენც ქრისტიანები ვიყავით, მაგრამ ვერ გადავედით ხალიფას ბრძანებას, და ამისათვის მხოლოდ პატივი მივიღეთ მისგან. ხოლო სა-

## პასუხი 1989 წლის № 10-ში დასმულ კითხვებზე



# თირის მონასტერი

თირის მონასტერი ისტორიულ შიდა ქართლში, ცხინვალიდან 8 კმ-ის დაშორებით, მისგან ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს. ამჟამად სოფელი თირი აღარ არსებობს, მის მაგივრად შეიქმნა ორი სოფელი — ზემო მონასტერი და ქვემო მონასტერი. ძეგლი ქვემო მონასტერშია. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში იგი „თირის მონასტრის" სახელითაა ცნობილი, ამიტომ ჩვენც მას ამ სახელით მოვიხსენიებთ.

ძეგლი პირველად შეისწავლა ცნობილმა ქართველმა მკვლევარმა ვახუშტი ბატონიშვილმა. იგი წერს: „კვალად ქცხილვანსზეით არს, ლიახვის დასავლით, თამარაშენი, მცირე ქალაქი... თამარაშენს ზეით ერთვის თირის მონასტრის ხევი. ამ ხევზედ, გორის ძირს, არს აჩაბეთი, ხსახლე და ციხე მეფეთა. ამის დასავლეთით არს, მთაში, თირის მონასტერი, უგუნბათო, არამედ ფრიად კეთილშენი, კეთილს ადგილს". ძეგლის ადგილსამყოფელი მართლაც მშვენიერია. ცხინვალიდან მიმავალი გზა მას გვერდზე ჩაუვლის და სოფელ ზედა მონასტრისკენ მიდის. ძეგლამდე საცალფეხო ბილიკი ჩადის.

თირის მონასტრის ხუროთმოძღვრული ანსამბლი ვიწრო ტერასაზეა განლაგებული. ჩრდილოეთით მას ქარაფი საზღვრავს, სამხრეთით კი — საკმაოდ ციცაბო დაღმართი. ანსამბლი სიგრძეშია განლაგებული, რადგანაც სხვა ფართობი აქ არ არის. ეკლესიის ეზოში დასავლეთიდან შევდივართ. აქვეა სოფლის სასაფლაო და ნამოსახლარი. სოფლის მცხოვრებთა ცნობით, აქ მიწის სამუშაოების დროს ხშირად პოულობენ სხვადასხვა დანიშნულების უძველეს ნივთებს. ამ ადგილის არქეოლოგიური შესწავლა აუცილებელია.

თირის მონასტრის ხუროთმოძღვრული ანსამბლის მთავარი ნაგებობა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაა. ეს არის ორსაფეხურიან ცოკოლზე დადგმული საკმაოდ მოზრდილი ერთნავიანი ტიპის ნაგებობა სამხრეთისა და ჩრდილოეთის გვიანდელი მინაშენებით. ეკლესია კარგად გათლილი ბაზალტის ფილებითაა მოპირკეთებული, კარნიზი და სარკმელ-კარების საპირეები — მდიდრულად მოჩუქურთმებული.

ეკლესიის გეგმა სწორკუთხედია, სწორკუთხედშივე ჩაწერილი აფსიდითა და დასავლეთის სათავსოთი. ეს არის საერთო კამარის ქვეშ მოქცეული დამოუკიდებელი სივრცითი ერთეული, რომელიც ძირითადი ნავისაგან ღია თაღოვანი კედლითაა გამოყოფილი. ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს, ორივე — სამხრეთიდან. მთავარი შესასვლელი დასავლეთის ფასადის ცენტრშია გაჭრილი და ძირითად ნავში შედის, მეორე შესასვლელი კი უფრო მცირეა და დასავლეთისკენ გადახრილი; იგი დასავლეთის მინაშენში შედის. კარების საპირეები კარგად დამუშავებული ქვის ფილებითაა მოპირკეთებული. ეკლესიის ინტერიერი განიერი მაღლა აზიდული პროპორციით ხასიათდება. შიდა სივრცე მარტივადაა გადაწყვეტილი. ეკლესიას რამდენიმე სარკმელი ანათებს: ერთი — აღმოსავლეთის ფასადიდან, ერთი სამხრეთის კედელსა და ბემაშია, ორიც — ძირითად ნავში. შესასვლელის თავზე მრგვალი სარკმელია. ამჟამად ჩრდილოეთის მინაშენსაც აქვს ასეთივე მრგვალი სარკმელი. საკურთხევლის აფსიდა ნახევრად ოვალურია. აფსიდასა და ნავს შორის ვიწრო ბემაა. ჩრდილოეთის კედელში გაჭრილია მცირე ზომის კარი, რომელიც ჩრდილოეთის მინაშენში გადის. ადრე იგი სამკვეთლოს საკურთხეველთან აკავშირებდა. აღმოსავლეთის კედელთან ტრაპეზი დგას, რომელიც სამფეხზეა შეყენებული და კედლიდან ოდნავ დაცილებული. მის ჩრდილოეთით ოთხკუთხა თახჩაა. საკურთხეველი შემაღლებულია, აქვს უხეშად დამუშავებული ქვის კანკელი. ეკლესიის გრძივი კედლები პილასტრებითა და კედლის დეკორატიული თაღებითაა დანაწევრებული. პილასტრების ფორმა განსხვავებულია ერთმანეთისაგან: სამხრეთისა ორსაფეხურიანია, ჩრდილოეთისა კი — ერთსაფეხურიანი. პილასტრებზე საბჯენი თაღებია დაყრდნობილი, კაპიტელები პროფილირებულია. კედლების დეკორატიული თაღები სამხრეთის კედელზე პილასტრის საფეხურებს ებჯინება, ხოლო ჩრდილოეთით, მის ქვედა ნაწილში, სხვადასხვა დონეზეა ჩამოსული და მარტივ კაპიტელებს ეყრდნობა. ეკლესიას ცილინდრული კამარა აქვს. საკურთხევლის სატრიუმფო თაღი ორსაფეხურიანია, მისი სიმაღლე კამარის სიმაღლეზე არ ადის, უფრო დაბალია და კონქის თავზე შემაღლებული შუბლი აქვს. ამრიგად, ეკლესიის აფსიდა ცენტრალურ სივრცესთან შედარებით დაბალია, თუმცა ფასადს ეს არ ემჩნევა. კედლებს გვერდებზე ქვის საფეხური გასდევს. აფსიდის კედელი არასწორი მოხაზულობისაა. აფსიდის კუთხეებთან კონქზე გადასვლა აფრისებური ფორმით ხდება. კუთხეებში ღრმა ორმოებია. აფსიდა შელესილი და მოხატულია. მოხატულობა, ყველაზე კარგად აფსიდაშია შემორჩენილი. ეკლესიის განივ კედლებზე და კამარაში ბათქაში ჩამოცვენილია. მაინც ჩანს, რომ ეკლესია მთლიანად იყო მოხატუ-

უკუნოსა მას ცხორებასა, ვინ უწყის, ეგებ ეს უმჯობესი არისო.

ამის გამგონე კონსტანტინე კახაი და თარხუჯი აღშფოთდნენ:

— რა გინდათ, გინდათ თქვენ გემსგავსოთ? არა, ეს არ მოხდება! გაგვშორდითო! — ხოლო კონსტანტინემ დაიჩოქა და შეევედრა ღმერთს: „გიგალობ, უფალო, ღმერთო ძალთაო, ღმერთო საუკუნეთაო, რომელმაც მომეცი ძალა წინაღმდეგობად უკეთურისა ამისა მსაჯულს". მამას მიბაძა თარხუჯმაც; ლოცვის შემდგომ ისინი მხურვალედ გადაეხვივნენ ერთმანეთს და ერთხანს ასე დარჩნენ.

ნახარარები წავიდნენ და ჯაფარს აცნობეს ყველაფერი, რაც ნახეს და გაიგონეს.

მაშინ ხალიფა ჯაფარმა ბრძანა, სიკვდილით დაისაჯათ მამა-შვილი. და... გმირ მამულიშვილებს თავები მოჰკვეთეს.

ქართველმა ხალხმა ატენის სიონის წარწერაში უკვდავყო კონსტანტინე კახაისა და თარხუჯის სახელები, აი, ეს წარწერაც:

„თუესა აგვისტოსა 5-სა დღესა შაბათს... ქალაქი ტფილისი დაწუაბულა და შეიპყრა ამირა სააკ და მოკლა. და მასვე თვესა აგვისტოსა 5-სა დღესა შაბათსავე ზირაქ შეიპყრო კახაი და ძეი მისი თარხუჯი".

გმირი მოხუცის, კონსტანტინე კახაისა და მისი შვილის, თარხუჯის სახელი საუკუნეთა განმავლობაში გულით უტარებია მის მშობელ ერს, მეათე საუკუნეში მათზე ჰიმნი — საგალობელი შეუქმნია დიდ ქართველ ჰიმნოგრაფს მიქაელ მოდრეკილს.

**ვახტანგ სიდამონიძე**

# იცნობ თუ არა შენს მშობლიურ მხარეს?



ელექტრონული ბიბლიოთეკა

ბავშვებო, მოგვწერეთ, რა არის ამ ფოტოზე აღბეჭდილი და რა იცით მის შესახებ

ლი, მხატვრობა მაღალი დონისაა. კარ-სარკმელთა მოხაზულობა შიგნიდან თითქმის ყველგან თაღოვანია. დასავლეთის ინტერიერი ვიწროა და იგი ძირითად ნავზე მაღალი ჩანს. ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლები დეკორატიული თაღებითაა დანაწევრებული. ჩრდილოეთის ერთმალიან თაღს სამხრეთის ორმალიანი თაღი უპირისპირდება. იგი აღმოსავლეთით პილასტრს ეყრდნობა, დასავლეთით — იმპოსტს. ეკლესიის ინტერიერი ახლა თითქმის გაშიშვლებულია, მოჩანს სხვადასხვა ფორმისა და მოცულობის ქვები, ხშირია კარგად გათლილი ბაზალტის ქვის ფილები, გამოყენებულია ყვითელი ქვიშაქვა, რიყისა და ნატეხი ქვაც. ეკლესიის სამხრეთის მინაშენი მცირე ზომისაა, მარტივად გაფორმებული სივრცით. გარედან სწორკუთხა ნაგებობას სწორკუთხედშივე ჩაწერილი აფსიდა აქვს. ჩრდილოეთის მინაშენი შედარებით უფრო დიდია და ნაგებიც — უფრო ხარისხიანი. სწორკუთხა სათავსო აღმოსავლეთით სწორკუთხედში ჩაწერილი ღრმა ნახევარწრიული აფსიდა აქვს. მინაშენს შესასვლელი დასავლეთიდან აქვს, ხოლო ეკლესიიდან კიდევაა ორი შესასვლელი. სატრიუმფო თაღი ჩრდილოეთით აფსიდასთან მდებარე განიერ პილასტრს ემყარება. სამხრეთის კედელში ჩასმულია პროფილირებული კონსოლი. აფსიდაში ქვის ტრაპეზი დგას.

თირის ეკლესიას ჩვენამდე თავდაპირველი სახით არ მოუღწევია. სამხრეთისა და ჩრდილოეთის მინაშენები ეკლესიას სახეს უცვლის. აღმოსავლეთის კედელი რუხი ფერის ქვითაა მორთული, სამხრეთის კედელი კი ყვითელი ქვისაა. ეს კონტრასტი შთაბეჭდილებას აუფერულებს. აღმოსავლეთის ფასადის ძირითადი მხატვრული აქცენტია მოჩუქურთმებული, საპირიანი, ლილვებიანი თაღოვანი სარკმელი. კუთხეებს ახლავს შეწყვილებული ლილვაკები, რომელთა ბოლოები შემკულია ჩუქურთმიანი ბაზისებით, იმპოსტებით, ბურთულებით, სარტყლებით. ლილვებს კოპიანი ვარდულები ენასკვება. აქვეა მრგვალი სარკმელი, რომელსაც ორნამენტით მორთული საპირე ამშვენებს, მის ზევით ჯვრის რელიეფური გამოსახულებაა, უფრო ზემოთ კი ექვსქიმიანი ვარსკვლავით შემკული პატარა ვარდულია ჩასმული. მონასტრის ეზოში შემსვლელი პირველად დასავლეთის ფასადს ხედავს. ამ ფასადის მორთულობის სქემა იგივეა, რაც აღმოსავლეთი ფასადისა, თუმცა ბევრია განსხვავებაც. დასავლეთის ფასადი კარგად აღიქმება მის წინ არსებული საკმაოდ დიდი ფართობის გამო. ფასადის ძირითადი ელემენტებია თაღოვანი სარკმელი ორნამენტით გაფორმებული საპირეთი. თაღის ირგვლივ სამი ჩუქურთმიანი კოპია, აქვეა „განედლებული“ ჯვარი. კარნიზი ისეთივეა, როგორიც აღმოსავლეთის ფასადზე. სარკმლის მარჯვნივ ყვითელი ფერის სამი ქვის ფილაა ჩასმული, კედელი კი რუხი ფერის სხვადასხვა ზომისა და ფორმის ბაზალტის კარგად გათლილი ფილებითაა შემოსილი. ქვებს ზოგან ჟანგისფერი და იასამნისფერი გადაჰკრავს. წყობის რიგი ზუსტად არის დაცული. სამხრეთის ფასადი დეკორატიულად საინტერესოა და სხვა ფასადებზე მდიდრულადაა გაფორმებული. ამავე ფასადზეა ორი პორტალი, სარკმლები, კედლის კუთხეების მოჩუქურთმებული, კოპიანი ვარდულები, ორნამენტირებული კარნიზი, კარსარკმელთა საპირეების ჩუქურთმები.

სამრეკლო მხატვრული თვალსაზრისით სამონასტრო ანსამბლის მნიშვნელოვანი ნაგებობაა. იგი ორსართულიანია, მდებარეობს ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით, ექვსი მეტრის მანძილზე, და კლდეს ებჯინება. მისი კონსტრუქცია ტრადიციულია: ქვემოთ — კუბი, ზემოთ — მრავალწახნაგა თაღებით გახსნილი ფანჩატური. სამრეკლოს აგვირგვინებს პირამიდული სახურავი, რომელიც ქვის ლორფინებითაა გადახურული. სათავსო გადახურულია ნახევარწრიული კამარით, შესასვლელი აღმოსავლეთიდანაა, აქვეა ქვის კიბე. ფასადები მორთული არ არის, თუმცა ფანჩატურის თაღებს ზევით ჩუქურთმიანი ფილები და კოპებია ჩასმული. მას ზემოდან რელიეფური ლილვი შემოსდევს, რომელსაც სადა კარნიზი აგვირგვინებს. სატრაპეზო ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთითაა. მას კამარა ჩამოქცეული აქვს, დაზიანებულია ფასადიც. დასავლეთის კედელზე შემორჩენილია კამარის საბჯენი თაღების ფრაგმენტები. შედარებით უკეთაა შენახული სამხრეთის კედელი. მას ორი ღიობი აქვს: ერთი — შესასვლელი და მეორე — კედლის ზედა არეში (ალბათ სარკმელია). შესასვლელი თაღიანია. კედლები კირქვისაგან არის ნაგები. შეიმჩნევა გვიანი ხანის შეკეთების კვალი.

თირის მონასტერს მკვლევარები XIII საუკუნის მეორე ნახევრით ათარიღებენ, რაც დასტურდება ძეგლის მხატვრულ-სტილისტიკური ანალიზით. ამავე პერიოდშია აგებული საკულტო და სამეურნეო ნაგებობები, სატრაპეზო, კლდეში ნაკვეთი სენაკები, კოშკი და გალავანი, საცხოვრებელი სახლები. შემდეგ სამონასტრო ანსამბლს შეემატა (XIV ს. ბოლო) სამრეკლო, ხოლო XV ს-ის 20-იან წლებში ეკლესიის კარიბჭე და ეგვტერი მიაშენეს. ეკლესიის მინაშენები უფრო გვიანდელია (XVII ს.). XIV-XV საუკუნეებისაა ეკლესიის მხატვრობაც.

თირის მონასტერი 1811 წლამდე მოქმედებდა, შემდეგ იგი სამრევლო ეკლესიად გადაკეთდა. თირის მონასტრის ანსამბლი შექმნილია ძნელბედობისას, საქართველოში მონღოლთა ბატონობის დროს. მიუხედავად ამისა, იგი ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლია.

ამირან ჩხარტიშვილი



● პატარა ნახაზზე ფანქრის შტრიხის წაშლა ძალზე მოსახერხებელია ლასტიკის პაწია ნაჭრით, რომელიც ცანგური ფანქრის სამაგრშია ჩაჭერილი.

● თუ ფეხსაცმლის კრემს რამდენიმე წვეთ შაქრის ვაჟინს დაუმატებ, კრემის ხარისხი გაცილებით უკეთესი გახდება და ფეხსაცმელი ბზინვარებას დიდხანს შეინარჩუნებს.

● როცა ღრმა ხვრელში ან ტორსულ კილოში ლურსმნის ჩაჭედება საჭირო, შუალედური ართყამით უნდა ისარგებლო. ლურსმანი რომ სწორად წავიდეს და არ გაილუნოს, მას მილაკი ჩამოაცვი და რბილი დაჭმუჭნილი ქაღალდით ან პლასტილინით გაამაგრე.

● ყოველი ჩაცმა-გახდისას ფეხსაცმლის თასმების გახსნა-შეკვრა რომ აიცილო, შეგიძლია გამოიყენო რეზინის ლენტი, რომელიც ფეხსაცმლის ფერის შესაბამისადაა შეღებილი. ნახვრეტებში მისი გაყრა ზემოდან დაიწყე, ქვემოთ კი ფაქიზად გამონასკვე.

● როცა ფიცარს აშალაშინებ, დაზგაზე ფიცრის საჭირო კუთხით დაყენება პრობლემად იქცევა ხოლმე. რომ არ გაწვალდე, გამოიყენე ნახაზზე ნაჩვენები საჩერ-სამაგრი, რომლის კბილებიც საიმედოდ დააყენებენ დეტალს საჭირო მდგომარეობაში. საჩერი 3-4 მმ სისქის ფოლადის ზოლისაგან გააკეთე. იგი დაზგის სპეციალურ კილოში თავსდება. როცა გაშალაშინებას დაამთავრებ, საჩერი მოხსენი ან ბოლომდე დაუშვი.

● ხაზვისას სახაზავის ქვეშ ტუში რომ არ დაგელვენთოს, ჩვეულებრივ ხის სახაზავს ქვემოდან ჭიკარტები გაუკეთე. ჭიკარტები სახაზავს ზევით ასწევს და ნახაზი არ გაგელვენთება.













# სარჩევი

ეროვნული ბიბლიოთეკა


თ. ცაგარელი — თორელები (ნარკვევი) . . . გარეკ. 2
საკუთარ თავსაც მოვთხოვოთ (საუბარი) . . . . . 2
ე. მერაბიშვილი — ხატის კაცი (მოთხრობა) . . . . 4
გ. გეგეჭკორი — აკაკის ცხოვრება (წერილი) . . . . 8
რ. წიქვაძე — იუდაიზმი — ებრაული რელიგია (წერილი) . 11
კ ო ც ო ნ ი . . . . . . . . . . 13
დ. ჩაჩიბაია — ყვავილების გადარჩენა (პიესა) . . . 14
ა. ქარბელაშვილი — ალფრედ ნობელი (წერილი) . . . 21
ა ი ს ი . . . . . . . . . . 22
ლ. ცქვიტიშვილი — ლექსები . . . . . 24
ი. მამფორია — ლექსები . . . . . 24
სამყარო უფრო ხნიერი უნდა იყოს (წერილი) . . . 25
ი. ერმოლაევი — ჩვეულება მაქვს ასეთი (მოთხრობა) . . 26
ვ. სიდამონიძე — კონსტანტინე კახაი და თარხუჯი (წერილი) 29
ა. ჩხარტიშვილი — თირის მონასტერი (წერილი) . . 30
გ ა მ ო გ ა დ გ ე ბ ი . . . . . . . 32
ც ხ რ ა კ ლ ი ტ უ ლ ი . . . . . . . გარეკ. 3
ს. შამფრიანი — რას ამბობს ცხენისწყალი (ლექსი) . გარეკ. 4


გარეკანის 1-ელ გვერდზე ნახატი ელისო ცაგაძისა
გარეკანის მე-4 გვერდზე — არსენ ჩარკვიანის სლაიდი


მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ანა ალავერდაშვილი, ნუგზარ აშხაზავა (პ/მგ. მდივანი), ზურაბ ბოცვაძე, მანანა ბელაშვილი, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, იოსებ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლიანა შიშირული, ზურაბ ჭუმბურიძე.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-31-81, პ. მგ. მდივნის — 93-97-03, 93-53-95, განყოფილებების — 93-97-02, 93-97-01. გადაეცა ასაწყობად 26.01.90 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 4.04.90 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,85, შეკვ. 194. ტირაჟი 117.000. ეგზ., უე 07922.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096 თბილისი, ლენინის ქ. № 14.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Накадули» журнал для школьников.
Выходит один раз в месяц на грузинском языке.

Главный редактор
ШЕЛИЯ БАБУЛЯ АКАКИЕВНА

Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Формат 60×90 1/8, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,85.
Тираж 117.000 экз. Цена 20 коп.


© „ნაკადული", 1990 წ.




## კროსვორდი

**შვეულად:** 1. მუხის ნაყოფი; 2. სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენელი; 3. ერთგვარი კბილი; 4. საშენი მასალა; 7. მტაცებელი ცხოველი; 8. საქართველოს მდინარე; 9. ხილი; 13. ციებ-ცხელება; 14. საქართველოს რაიონული ცენტრი; 16. საბრძოლო ფეთქებადი იარაღი; 17. ინდური ვედიზმის უმაღლესი ღვთაება; 21. ყვავილი; 22. აზიის სახელმწიფო; 23. რადიოაქტიური ელემენტი; 29. საქართველოს მდინარე; 30. მჭრელი იარაღი; 32. ელექტროხელსაწყო; 33. ეპოქა, ანუ...




**თარაზულად:** 5. ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლებელი; 6. საქართველოს კუთხე; 10. ბიბლიური პიროვნება; 11. ხმელთაშუაზღვის კუნძული; 12. ქართული ანბანის ასო; 15. კონტინენტი; 16. სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულება; 18. გადასახდელი თანხა; 19. ორგანიზებული ჯგუფი; 20. დასავლეთ ევროპის მდინარე; 24. აღმოსავლური საკრავი ინსტრუმენტი; 25. ეგვიპტური მითოლოგიის ქალღმერთი; 26. თოკი (ძაფი), გაჭიმული სწორი ხაზის დასაცავად; 27. ფიცრული სახლი; 28. მარცვლეული კულტურა; 31. მეტყველების ორგანო; 34 ვაჟა ფშაველას პოემა; 35. მცენარეული სალებავი.

შეადგინა
გ. მარცვალაშვილმა

## შარადები

თხელ, გამყოფ კედელს
რაც მქვია,
გაგახსენდება ხელად,
შეიცვლება მარტოდენ
პირველი ორი ბგერა. —
და სულს ჩაიდგამს მაშინვე!
სცადე, თუ არა გჯერა.

●

ფრჩხილის ირგვლივ რომ
კანია,
მისი სახელით ვიწყებთ,
სიტყვის მეორე ნახევრის
მოშლა არ დაგავიწყდეს.
ველური ვაზის პირველი
მარცვლით შარადას
მოვრჩით.—
ვაჟამ რომ ენა აუდგა,
ის ცხოველია ნორჩი.

შ. ამირანაშვილი

## თავსატეხი



ჩაწერეთ თარაზულ უჯრებში აკაკი წერეთლის ლექსების სათაურები ისე, რომ ფერად სვეტში მიიღოთ დიდი პოეტის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ლექსის სათაური — „განთიადი“.




## პასუხები № 2-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე“

### კროსვორდი

**თარაზულად:** 5. შანო; 6. მარტი; 8. ჯავახიშვილი; 11. კერკი; 13. ამირა; 15. კომისია; 17. ლირა; 18. შეფი; 19 მარში; 20. „დროშა“; 21. გეზი; 23. მასა; 24. „იკაროსი“; 27. ლიბია; 29. შაირი; 30. სარაჯიშვილი; 31. ხვატი; 32. ბზარი.

**შვეულად:** 1. სამანი; 2. როხარიო; 3. დარვინი; 4. იტალია; 7. „მინდია“: 9. პერიპეტია; 10 პროფესორი; 12. კრამიტი; 14. მუშამბა; 15. კურსი; 16. აზოტი; 22. პრემია; 25. კობალტი; 26. სერვიზი; 28. არაგვი; 29. შილერი.

### გამოცანები

მკუა, ხეხილი, თამბაქო, კაკალი, მთვარე, თოვლი, მაჟარი.

### შარადა

ჩიტი, ნარი, ჩინარი.

## თავსატეხი




## გამოცანები

მოდი და ყური დამიგდე,
გითხრა ამბავი მართალი:
ბალახობს — ძროხა არ არის,
კვერცხს დებს —
არ არის ქათამი,
ტანზე ძვლის კაბა აცვია
და არა რამე ფართალი.

●

არის ჩვენი მეზობელი,
განა გადამთიელია —
უკვერცხებოდ შვილს რომ
აჩენს,
ის რომელი ფრინველია?

ნ. მარიხია

ეროვნული ბიბლიოთეკა



## რ ა ს ა მ ბ ო ბ ს ც ხ ე ნ ი ს წ ყ ა ლ ი

სვანეთის მთებში შობილი,
ჯერ ნაკადულად ვწკრიალებ, —
ჩვილის თვალებით ავცქერი
მწვერვალებს, ციდან მზირალებს,

მაგრამ მზრდის დევის ძუძუ და
დევის ძალ-ღონით ვივსები;
მოვქრივარ მხარგამართული,
მომდევს ლაშქარი ნისლების.

შევხარი ჩემი მშობელი
მიწის საოცარ სანახებს;
მისი ფერები მაოცებს,
მისი სიტურფე მალაღებს.

დე, მებატიოს, ხანდახან
დელგმა გზა-კვალს თუ ამირევს...
მეც საქართველოს შვილი ვარ,
ვაშა მის იმერ-ამიერს!

ცხენისწყალი მაქვს სახელად,
ვარ ბედაურის ჯიშისა
და არ შევდრკები აროდეს,
შიში არა მაქვს შიშისა.

სულ იდგებიან ცერებზე
ჩემი ტალღები — ვეფხვები,
სანამდის უფროს მეგობარს
რიონს არ გადავეხვევი.

ა რ ს ე ნ  ნ ა რ კ ვ ი ა ნ ი ს  ს ლ ა ი დ ი

ს ი მ ო ნ  ზ ა მ ფ რ ი ა ნ ი

ინდექსი 76157

ფასი 20 კაპ.